



კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა სახელმძღვანელო



*რაფალ შპორუკო
ანნა დროზდოვსკა
რატი გაბრიჩიძე*



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური საინვესტიციო გეგმების შემუშავების



სარჩევი

1. შესავალი.....	6
1.1. სახელმძღვანელოს საგნობრივი სფერო და შინაარსი	6
1.2. განმარტებები / ლექსიკონი.....	8
1.3. CIP პროცესის მონახაზი	12
1.4. რეკომენდაციები კადრებთან დაკავშირებით	13
2. პროექტის სკრინინგი და წინასწარი შერჩევა	18
2.1. ინფორმაციის თავმოყრა საჭიროებების შესახებ (ნაბიჯი 1).....	18
2.2. საწყისი შეფასება (ნაბიჯი 2).....	22
2.3. პროექტის კონცეფციის ბარათის (PCN) შემუშავება (ნაბიჯი 3).....	24
2.4. პროექტის კონცეფციის შეფასება (ნაბიჯი 4).....	36
2.5. როლები, პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი.....	41
3. პროექტის შეფასება	42
3.1. შესავალი: პროექტის შეფასების მიზნები.....	42
3.2. საპროექტო წინადადებების შემუშავება (ნაბიჯი 5).....	42
3.3. საპროექტო წინადადებების შეფასება და რანჟირება (ნაბიჯი 6).....	44
სიტუაციური ამოცანა: წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის როლი კასპის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მაგალითზე.....	57
4. პროექტის შერჩევა და ბიუჯეტირება	60
4.1. CIP-ის სამუშაო/წინასწარი ვერსია.....	60
4.2. განაცხადის შეტანა გარე დაფინანსებაზე და ბიუჯეტირება (ნაბიჯი 7).....	63
4.3. შესწორებული CIP	64
4.4. მუნიციპალური ბიუჯეტის მიღება და დამტკიცებული CIP (ნაბიჯი 8)	65
5. კაპიტალური საინვესტიციო გეგმის განახლება	66
6. დასკვნები.....	68
კაპიტალური საინვესტიციო დაგეგმვა.....	70
დანართები.....	70
დანართი 1: პროექტის კონცეფციის ბარათის ნიმუში.....	70
დანართი 2: საპროექტო წინადადების ნიმუში	77
დანართი 3. საპროექტო წინადადების შეფასების ბარათი (ნიმუში)	82
დანართი 4: კაპიტალური საინვესტიციო გეგმის ნიმუში	84
დანართი 5: ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის თემატური სფერო და მეთოდოლოგიური მიდგომა.....	88
დანართი 6: კაპიტალური ინვესტიციის დაგეგმვის პროცედურა (ნიმუში)	94

დანართი 7: პროექტების რანჟირება (ნიმუში).....101

სურათი 1: კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის დიაგრამა	13
სურათი 2: კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვაში გადანაწილებული როლები	15
სურათი 3: განაცხადის ფორმის ნიმუში	20
სურათი 4: პროექტის სარგებლის ნიმუში	31
სურათი 5: პროექტის ხარჯები სხვადასხვა ფაზაში	33
სურათი 6: პროექტის კონცეფციების შეფასების კრიტერიუმების მაგალითი.	37
სურათი 7: პროექტის ქულებით შეფასების ცხრილი	46
სურათი 8: პროექტების შესაფასებელი კრიტერიუმების მაგალითები	47
სურათი 9: პროექტის შეფასების ნიმუში	47
სურათი 10: ხარჯები და სარგებელი პროექტის მაგალითზე	49
სურათი 11: პროექტის სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული ხარჯების მაგალითი - ვარიანტების ანალიზი	55
სურათი 12: საპროექტო წინადადების მომზადების სქემა	57
სურათი 13: კაპიტალური ხარჯი კასპის CIP-ში (ძირითადი კატეგორიები ათას ლარში)	58
სურათი 14: 1-ლი ვარიანტის სასიცოცხლო ციკლის ხარჯი (მხოლოდ 1 WWTP-ის აშენება) ლარებში (ათასი)	59
სურათი 15: კაპიტალური საინვესტიციო გეგმის განახლების სქემა	66

1. შესავალი

1.1. სახელმძღვანელოს საგნობრივი სფერო და შინაარსი

წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს დაეხმაროს საქართველოს მუნიციპალიტეტებს გაიუმჯობესონ კომპეტენციები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვაში. აღნიშნული სახელმძღვანელო შემუშავდა პროექტის ფარგლებში, სახელწოდებით „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით“.

წინამდებარე სახელმძღვანელო გამიზნულია საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებსაც ჯერ არ აქვთ დადგენილი პროცესები ან დაინტერესებულნი არიან არსებული პროცესების გადახედვით (პრინციპში ყველა მუნიციპალიტეტი ახორციელებს ინვესტიციებს, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ყველას აქვს კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის/კაპიტალური საინვესტიციო გეგმის სისტემა).

წინამდებარე სახელმძღვანელოს შემუშავებამდე ავტორები ეწვიენ გარკვეულ მუნიციპალიტეტებს, რის შედეგადაც გაკეთდა შემდეგი დასკვნები: როგორც წესი, არ არსებობს დაწერილი პროცედურები ინვესტიციების მომზადებასთან დაკავშირებით, არც ერთიანი ფორმები პროექტების შესახებ. პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ჩატარებული ანალიზი მეტად მწირია: არ ხდება სამომავლო საოპერაციო/საექსპლუატაციო ხარჯების შეფასება, რაც აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე და ძალიან იშვიათად ხდება ალტერნატივების შეფასება და ანალიზი. ხშირ შემთხვევაში არ არსებობს პროექტების შერჩევის მკაცრად გაწერილი კრიტერიუმები. აქედან გამომდინარე, საჯარო ინვესტიციების მართვის სფეროში სათანადო პროცედურების შემოღებით შესაძლებელი გახდება სამუშაო ეფექტურობის მნიშვნელოვნად გაზრდა.


სახელმძღვანელოს შემუშავებისას გამოყენებული იყო მრავალი წყარო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ შემდეგი:

- მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო);
- საჯარო ინვესტიციების მართვის (PIM) სახელმძღვანელო (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო);

- საჯარო ინვესტიციების მართვის „ძალა“: რესურსების გარდაქმნა ზრდის მომტან აქტივებად. განვითარების მიმართულებები. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: მსოფლიო ბანკი.

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის (შემდგომში **CIP**) უნივერსალური მიდგომა არ არსებობს. წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მითითებები ეფუძნება ავტორთა საერთაშორისო გამოცდილებას, მაგრამ ამავდროულად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან განხილვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ავტორებს სურდათ მაქსიმალურად აესახათ საქართველოს თვითმმართველობებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ამის მიუხედავად აუცილებელია მოწოდებული რეკომენდაციების კრიტიკულად შეფასება და მათი დანერგვა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მისაღები და გამართლებულია ადგილობრივი ვითარებისთვის.

სახელმძღვანელოს მთავარი დანიშნულებაა მისცეს მინიციპალიტეტს შესაძლებლობა შეიმუშაოს საკუთარი CIP პროცედურა, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგს: პასუხისმგებლობები, დოკუმენტაციის ფორმატი მ.შ. განაცხადის ფორმები, პროექტების შეფასების წესები და კრიტერიუმები (იდეები და საპროექტო წინადადებები), ასევე მთლიანი პროცესის განრიგი.



მეტად მნიშვნელოვანია მოხდეს პროცედურის მიღებას საკრებულოს მიერ.

მთავარ ტექსტობრივ ნაწილთან ერთად მოცემული იქნება ქვემოთ ნაჩვენები გამოსახულებები, რაც დაგეხმარებათ კონტექსტის უკეთ აღქმასა და გაგებაში:



შედარებით
მოწინავე
მუნიციპალიტეტებისთვის



ცალკეული
პრობლემის
ანალიზი /
მაგალითი



მნიშვნელოვანი
ჩანაწერი



შეხსენება



სხვა
ალტერნატივები

SRMIDP-ის ¹ ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში შემუშავდა კიდეც ორი სახელმძღვანელო აქტივების მართვასა და სივრცით დაგეგმვაში. დამატებითი მასალების ნახვა ასევე შესაძლებელია ჩვენი პროექტის პარალელურად მიმდინარე პროექტის - „პროექტის ციკლის მართვა“ - ვებ.გვერდზე (<https://pcm.ge>).

1.2. განმარტებები / ლექსიკონი

ხარჯთ-სარგებლიანობის კოეფიციენტი (BCR) - პროექტის მსვლელობის მანძილზე მთლიანი დისკონტირებული სარგებლის თანაფარდობა მთლიან დისკონტირებულ ხარჯებთან.

კაპიტალური ხარჯები წარმოადგენს ხარჯებს, რომელიც მიიძღვრება აქტივის შესაქმნელად. იგულისხმება, როგორც მატერიალური აქტივები (შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები), ისე არამატერიალური აქტივები (საინფორმაციო, საკომუნიკაციო, IT სისტემები). კაპიტალური ხარჯები მოიცავს არსებული აქტივის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას (განახლება, რეკონსტრუქცია, გაფართოება). კაპიტალური ხარჯები განსხვავდება მოვლა-პატრონობისა და სარემონტო სამუშაოების ხარჯებისგან.

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა – კაპიტალური ინვესტიციების (მ.შ. პროექტის სკრინინგი, წინასწარი შერჩევა, შეფასება, შერჩევა და ბიუჯეტირება) დაგეგმვის პროცესი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა საქმიანობებში

¹ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი.

ინტეგრირებული რეგულარული ქმედება, რომელიც ეფუძნება კარგ საჯარო მმართველობას.

საინვესტიციო (კაპიტალური) პროექტი წარმოადგენს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მქონე აქტივობების ერთობლიობას, რომელიც ფიქსირებული გრაფიკის მიხედვით ხორციელდება, ზოგჯერ დროებითი „ორგანიზაციული სტრუქტურის“ მეშვეობით და ქმნის აქტივს, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა კონკრეტული ჯგუფისათვის სარგებელს ან/და მიღებული სარგებლის გამოყენების შესაძლებლობას. კაპიტალური პროექტი გულისხმობს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებულის საგრძნობლად გაუმჯობესებას.

ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA) - ფულად გამოსახულებაში პროექტის ხარჯებისა და სარგებლის რაოდენობრივი შეფასება ალტერნატიული ღირებულების შეფასების საფუძველზე.

ხარჯთ-ეფექტიანობის ანალიზი (CEA) - პროექტის შედეგების განსაზღვრა და ამ შედეგების მისაღწევად პროექტის განხორციელების იმგვარი სტრატეგიის შერჩევა, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს მთლიანი დისკონტირებული კაპიტალური და მიმდინარე ხარჯები. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც სარგებლის ფულადი ღირებულების შეფასება ძნელია ან ძვირი. ასევე ისეთ შემთხვევებში, როდესაც არჩევანი უნდა გაკეთდეს ერთსა და იმავე ან ძალიან მსგავსი შედეგების მომტან ალტერნატივებს შორის. მოცემული ანალიზი შესაძლებელია განხორციელდეს პროდუქციის ერთეულის (ანუ არაფულადი სარგებლის) თვითღირებულების გაანგარიშების ფორმით.

დისკონტირება - მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის პროცესი, მომავალ ღირებულებაზე დაყრდნობით, ანუ ხარჯი და სარგებელი. სხვა სიტყვებით ეს არის სამომავლო ღირებულების გარდაქმნა არსებულ ღირებულებაში. პროცესი ასახავს ფაქტს, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან 1 ლარს მომავალში ნაკლები ღირებულება აქვს, მომავალთან დაკავშირებული გაურკვეველობის გამო.

დისკონტირების განაკვეთი - უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის მსგავსი წლიური განაკვეთი, რომლის საფუძველზეც ხდება სამომავლო სარგებლისა და ხარჯების გამოკლება შესადარისი მიმდინარე ღირებულების დადგენის მიზნით.

გარე ფაქტორები - ეკონომიკური საქმიანობის (მაგ: საინვესტიციო პროექტის) დადებითი ან უარყოფითი შედეგი, რომელსაც იღებს მესამე მხარე ფინანსური კომპენსაციის გარეშე. ეს ფაქტორები არ აისახება ინვესტორის ფინანსურ ნაკადებში.

ბენეფიციარი (მომხმარებელი) - საჯარო საინვესტიციო პროექტის შედეგად მიღებული ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის და/ან მომსახურების საბოლოო მიმღები.

შიდა უკუგების დონე/ნორმა (IRR) - დისკონტირების განაკვეთი, რომლის დროსაც (კონკრეტული წლიური წმინდა სარგებელთა) წმინდა მიმდინარე ღირებულება ნულის ტოლია. ეს ის ნორმაა, რომელიც ათანაბრებს დისკონტირებული ხარჯების ჯამსა და დისკონტირებული სარგებლის ჯამს.

LGU – ადგილობრივი მთავრობა, მუნიციპალიტეტი.

წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) - პროექტის წლიური წმინდა სარგებლის (სარგებელს გამოკლებული ხარჯები) დისკონტირებული სიდიდეების ჯამი.

ახალი პროექტი – მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს მომდევნო წლების ბიუჯეტით. ახალი პროექტი შეიძლება მოდიოდეს მონაცემთა ბაზაში არსებული პროექტებიდან (არსებული საპროექტო იდეა - PCN ან საპროექტო წინადადება უკვე ინახება მონაცემთა ბაზაში), ან შეიძლება იყოს მიმდინარე წელს ჩაბარებული სრულიად ახალი საპროექტო იდეა.

მიმდინარე პროექტი - პროექტი, რომელიც დამტკიცებულია მიმდინარე წლის ბიუჯეტში ან შეტანილია მომდევნო სამი წლის გეგმაში.

ალტერნატიული ღირებულება - რესურსის ღირებულება, შესაძლო ალტერნატივებს შორის საუკეთესო გამოყენების შემთხვევაში. ეკონომიკური ანალიზის დროს პროექტის შეძენილი რესურსის ალტერნატიული ღირებულება არის მისი ზღვრული სოციალური ღირებულება საუკეთესო ალტერნატიული გამოყენების დროს (რომელიც პროექტს არ უკავშირდება) ან მისი ღირებულება ამჟამინდელი გამოყენების შემთხვევაში (იზომება გადახდის მიმართ მზადყოფნის საფუძველზე), თუ ეს საბოლოო პროდუქტი ან მომსახურებაა.

პროექტის შეფასება - პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე მაღალი სოციალური და ეკონომიკური შედეგების მომტანი პროექტის

გამოვლენას (არსებული სიტუაციის შენარჩუნების ერთერთ ალტერნატივად განხილვის ჩათვლით).

პროექტის შესრულება - პროექტის შესრულება ფასდება მისი ეკონომიურობის, ეფექტურობის (ხარჯთ-სარგებლიანობის საუკეთესო მაჩვენებლის) და ეფექტიანობის მიხედვით. „ეკონომიურობა“ ნიშნავს, რომ პროექტში გამოყენებული რესურსების ხარისხი მისაღებია, ღირებულება კი - ყველაზე დაბალი. ეფექტურობა ნიშნავს, პროექტის შედეგების/პროდუქტების შექმნას რესურსების და დროის მინიმალური რაოდენობის გამოყენებით. „ეფექტიანობა“ ნიშნავს, რომ პროექტის შედეგები/პროდუქტები ხელს შეუწყობს პროექტის ამოცანის (შესაბამისად მიზნის) წარმატებულ მიღწევას. პროექტის ეფექტიანობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებების მიღებას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს.

პროექტების წინასწარი შერჩევა - პროექტის სტრატეგიული ამოცანის, ლოგიკური დასაბუთების, ბიუჯეტზე ზემოქმედების, ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და სოციალური გავლენის წინასწარი შეფასების პროცესი. აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის პირველ ეტაპს, რაც გულისხმობს პროექტის კონცეფციის ბარათის შემუშავებას, რომლის საფუძველზეც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული.

პროექტის პრიორიტეტულობის განსაზღვრა/შერჩევა - ყოველმხრივი ანალიზის გზით ყველაზე მიზანშეწონილი ვარიანტის შერჩევისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად რეკომენდაციების შემუშავების პროცესი.

პროექტის კონცეფციის ბარათი (PCN) - პროექტის მოკლე აღწერა, რომელიც მზადდება პროექტის იდენტიფიკაციის შემდეგ წინასწარი შერჩევის ეტაპზე, პროექტის სიღრმისეული ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

რესურსების ღირებულება - საქონლის ან მომსახურების რეალური ეკონომიკური ღირებულება. იგი განსხვავდება „ხარჯებისაგან“, ვინაიდან ისეთი ხარჯები, როგორცაა გადასახადები ან მოსაკრებლები, მთლიანი ეკონომიკის მასშტაბით წარმოადგენს არა ხარჯს, არამედ რესურსის ტრანსფერს საზოგადოების ერთი ჯგუფიდან მეორეში.

სოციალური ზემოქმედების შეფასება - პროექტის პოტენციური უარყოფითი და დადებითი სოციალური შედეგების შეფასება, როგორებიცაა: შემოსავლის გადანაწილება, სიღარიბე, უმუშევრობა, გენდერული თანასწორობა და სხვა. სოციალური ზემოქმედების შეფასების დროს კეთდება არა მთელი საზოგადოების ზარალისა და სარგებლის სიდიდის ანალიზი, არამედ ანალიზი იმისა, თუ ვინ ზარალდება და ვინ იღებს სარგებელს პროექტის შედეგად (ამ უკანასკნელთა შეფასება ხდება ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის მეშვეობით).

პროექტის მთლიანი ღირებულება - კაპიტალური საინვესტიციო პროექტისთვის საჭირო ყველა ხარჯი, საინვესტიციო პროექტის დაგეგმილი შედეგების/პროდუქტის მისაღებად საჭირო მთლიანი ფინანსური რესურსი, დაფინანსების წყაროს (სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორის დაფინანსება, სესხები და/ან ბენეფიციარის თანადაფინანსება) მიუხედავად.


1.3. CIP პროცესის მონახაზი

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოებში საჯარო ინვესტიციების მართვის შესახებ, აღწერილია საჯარო ინვესტიციების გონივრული მართვის ექვსი აუცილებელი კომპონენტი: (i) პროექტის სკრინინგი/წინასწარი შერჩევა; (ii) პროექტის შეფასება; (iii) პროექტის შერჩევა/ბიუჯეტირება; (iv) პროექტის განხორციელება; (v) პროექტის მონიტორინგი; (vi) რეტროსპექტული (ანუ *post factum*) შეფასება. პირველი სამი მოიცავს კაპიტალური საინვესტიციო გეგმის შემუშავების პროცესს.

- **პროექტის სკრინინგი / წინასწარი შერჩევა** - პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხდება პროექტების წინასწარი შეფასება და შერჩევა და პროექტის რაციონალურობის გადამოწმება. გადაწყვეტილება მიიღება პროექტის კონცეფციის ბარათიდან გამომდინარე.
- **პროექტის შეფასება** - გადაწყვეტილებების მიღების პროცესი პროექტის ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტიანობაზე დაყრდნობით. საჭიროების და მიხედვით - გადაწყვეტილება მიიღება საპროექტო წინადადებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე.

- პროექტის შერჩევა / ბიუჯეტირება - წინასწარი საინვესტიციო გეგმის მომზადება, რომელშიც დაბალანსებულია ხელთ არსებული საბიუჯეტო და სხვა ფონდების სახსრები, მაგ: RDF (რეგ-ფონდი).

სრული CIP პროცესი შეიძლება აიხსნას გრაფიკში გამოსახული 8 საფეხურით. დროის ჰორიზონტალურ ღერძზე გამოსახული კონკრეტული ეტაპისთვის ვადების დადგენა მუნიციპალიტეტის გადასაწყვეტია. თუმცა, საბოლოო CIP მზად უნდა იყოს 15 ნოემბრისთვის, როცა ბიუჯეტი ბარდება საკრებულოში. წინამდებარე სახელმძღვანელოში ყველა საფეხური ახსნილია შესაბამის თავებში.



სურათი 1: კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის დიაგრამა

1.4. რეკომენდაციები კადრებთან დაკავშირებით

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ფუნქციები მოიცავს ყველა ქმედებას, რომელიც საჭიროა კაპიტალური ინვესტიციების ადრეულ ეტაპებზე განსახორციელებლად. კაპიტალური საინვესტიციო გეგმის შემუშავება და მასში ცვლილებების შეტანა (განახლება) უნდა ევალუოდეს სხვადასხვა ერთეულებისა და დეპარტამენტების თანამშრომლებისგან დაკომპლექტებულ, მულტი-

დისციპლინარულ გუნდს (გეგმის მომზადების პროცესში CIP გუნდი² პერიოდულად უნდა იკრიბებოდეს). CIP-ისთვის სპეციალური ერთეულის შექმნა არ არის აუცილებელი. თუმცა, აუცილებელია, რომ CIP პროცესს მუნიციპალიტეტში ჰყავდეს კოორდინატორი (პროცესის „მფლობელი“). CIP კოორდინატორი უნდა იყოს სათანადო უნარებისა და ცოდნის მქონე პირი, რომელიც ამავდროულად იქნება მაღალ თანამდებობაზე, რათა ეფექტურად მართოს მთელი ეს პროცესი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის.

კოორდინატორის ძირითად პასუხისმგებლობაში შედის:

- მთლიანი პროცესის კოორდინაცია;
- CIP გუნდის შეხვედრების ორგანიზება;
- CIP გუნდის მიერ ყველა საჭირო გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა;
- ყველა ჩართული მხარის მიერ თავიანთი დავალებების დროულად და განრიგის მიხედვით შესრულების უზრუნველყოფა (CIP პროცედურის მიხედვით).

CIP კოორდინატორი ანგარიშვალდებული უნდა იყოს უშუალოდ მერთან (ან მერის მოადგილესთან), რომელიც პასუხისმგებელია ინვესტიციების გატარებაზე.

CIP კოორდინატორი კარგად უნდა იცნობდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას და უნდა შეეძლოს პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა.

როგორც წესი, CIP კოორდინატორი არის ეკონომისტი, ინჟინერი ან მართვის (მენეჯმენტის) სპეციალისტი. CIP გუნდის წევრები უნდა იყვნენ თანამშრომლები მუნიციპალიტეტის ინვესტიციებზე, მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაზე, ფინანსებზე, სტრატეგიულ დაგეგმვაზე, შესყიდვებზე და გარე სახსრების მოძიებასა და დაფინანსებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტებიდან (ასეთი დეპარტამენტების არსებობის შემთხვევაში).

ინვესტიციებზე პასუხისმგებელი მერი ან მისი მოადგილე უნდა უძღვებოდეს ამ პროცესს.

² ხანდახან გამოიყენება სხვა ტერმინები: სამუშაო ჯგუფი, CIP საბჭო ან სამეთვალყურეო საბჭო.

დარწმუნდით, რომ:

- პროცესის კოორდინაციას უძღვება ადამიანი, რომელსაც გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და ამავდროულად მას ზედამხედველობას უწევენ გადაწყვეტილების მიმღები პირები, კერძოდ მერი:

- ანუ, კვალიფიციური პირი, რომელსაც შეუძლია განაცხადების საწყისი გადარჩევა

- გააჩნია სოციალური უნარები სხვადასხვა განმცხადებლებთან კომუნიკაციისთვის



- კოორდინატორი, გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან ერთად, პასუხისმგებელია CIP-ის საბოლოო შედეგებზე.

პროექტის მომზადებაში, მართვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართული თანამშრომლების ფუნქციები და დავალებები ნაწილობრივ განისაზღვრება სამართლებრივი გარემოებებით და ნაწილობრივ შეიძლება დამოკიდებული იყოს ადგილობრივი ორგანოების შეხედულებაზე. ჩვენ გთავაზობთ ამოცანების შემდეგნაირად გადანაწილებას:

ეტაპი	შემსრულებელი	დამტკიცება/ზედამხედველობა
ნაბიჯი 1. ინფორმაციის თავმოყრა საჭიროებების შესახებ	ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი	CIP კოორდინატორი
ნაბიჯი 2. საწყისი შეფასება	ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი	მერი
ნაბიჯი 3. პროექტის კონცეფციის შემუშავება	განმცხადებლები	CIP გუნდი
ნაბიჯი 4. პროექტის კონცეფციის შეფასება	CIP კოორდინატორი და CIP გუნდი	მერი
ნაბიჯი 5. საპროექტო წინადადებების მომზადება	ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი და სხვა დეპარტამენტები	CIP გუნდი
ნაბიჯი 6. საპროექტო წინადადებების შეფასება და რანჟირება	CIP გუნდი	მერი
ნაბიჯი 7. გარე დაფინანსებაზე განაცხადის შეტანა და ბიუჯეტირება	ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი ან ფინანსური დეპარტამენტი ან სხვა სათანადო დეპარტამენტი მუნიციპალიტეტში (ერთეული პასუხისმგებელი დაფინანსების გარე წყაროების მოძიებაზე)	საფინანსო/ გრანტის გამცემი ორგანიზაცია
ნაბიჯი 8. მუნიციპალური ბიუჯეტის მიღება	მუნიციპალიტეტის საკრებულო	-

სურათი 2: კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვაში გადანაწილებული როლები

მოვალეობების გადანაწილება ინვესტიციების დაგეგმვის პროცესში დეტალურად არის წარმოდგენილი დანართში 6: კაპიტალური ინვესტიციის დაგეგმვის პროცედურა (ნიმუში).

2. პროექტის სკრინინგი და წინასწარი შერჩევა

2.1. ინფორმაციის თავმოყრა საჭიროებების შესახებ (ნაბიჯი 1)

როგორც წესი საპროექტო იდეა იზადება საჯარო მომსახურებაში დაუკმაყოფილებელი საჭიროებიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ ინფორმაციის თავმოყრა საჭიროებების შესახებ უნდა იყოს CIP პროცესის პირველი ნაბიჯი. საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღება უნდა იყოს მიმდინარე და უწყვეტი პროცესი, რომელშიც ჩაერთვებიან მაცხოვრებლები, ადგილობრივი ბიზნესების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.

საზოგადოების უშუალო საჭიროებებიდან და გადაუდებელი სიტუაციებიდან გამომდინარე, ინფორმაციის მოძიება (იდენტიფიცირება) პრობლემებისა და საინვესტიციო საჭიროებების შესახებ უწყვეტი პროცესი გახლავთ.

თუმცა, არსებობს პროექტის დადგენის სხვა გზებიც/წყაროებიც, კერძოდ:

- სახელმწიფო/რეგიონული გეგმები;
- განვითარების სტრატეგია;
- სივრცითი და ურბანული გეგმები;
- ინფორმაცია მუნიციპალური აქტივების მდგომარეობის შესახებ;
- საკანონმდებლო ცვლილებები, დაკავშირებული მუნიციპალიტეტისა და მისი ერთეულების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხისა და პირობების მოთხოვნებთან (მაგალითად 2017 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე პასუხისმგებლობა სკოლის შენობების მოვლა-პატრონობაზე გადავიდა მუნიციპალიტეტებში, რამაც გამოიწვია ახალი საინვესტიციო საჭიროებები);
- გადაუდებელი/საგანგებო სიტუაციები.

თითოეული საჭიროების შესახებ უნდა მოვიძიოთ სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

- გადასაჭრელი პრობლემის აღწერა;
- პრობლემის ადგილმდებარეობა;
- პრობლემის მქონე მაცხოვრებლების რაოდენობა;
- იმ შემთხვევაში თუ პიროვნებას გააჩნია ერთზე მეტი წინადადება, როგორ მიანიჭებენ ისინი პრიორიტეტებს საკუთარ წინადადებებს.

ამ ეტაპზე ჯერ არ ვსაუბრობთ პროექტებზე.

ქვემოთ მოცემულია მარტივი განაცხადის მაგალითები საინვესტიციო საჭიროებების შესახებ.

აპლიკაციის ფორმა N1 - ძირითადი ინფორმაცია საინვესტიციო საჭიროების შესახებ	
პროექტის კოდი / ნომერი	
პროექტის სახელი	მრავალსართულიანი ავტომობილების პარკინგის აშენება 480 მანქანისათვის - სტასზიცას ქუჩა
აპლიკანტი	"კა-ეს-ემ პრზილესიე" (ბინათმშენებლობის / საცხოვრებელი კოოპერატივი) და უბნის საბჭოები
1.1 პროექტის სამუშაოების / მასშტაბის აღწერა	
მრავალსართულიანი ავტომობილების პარკინგი 480 მანქანისათვის	
1.2 პრობლემის ადგილმდებარეობა	
სტასზიცას ქუჩა, მიწის საკადასტრო კოდი 17/569/4	
1.3 პროექტის ტიპი	
<input checked="" type="checkbox"/> საინვესტიციო პროექტი <input type="checkbox"/> შეკეთება <input type="checkbox"/> შეძენა	
1.4 პროექტის მიზანი (გადასაჭრელი პრობლემის აღწერა)	
ნაკლებად განვითარებული მიწის "დეველოპმენტი", მანქანების პარკირების და დაცვის ტვირთის, ასევე შენობების შორის ავტოსადგომების გადატვირთვის შემცირება და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება	

აპლიკაციის ფორმა N1 - ძირითადი ინფორმაცია საინვესტიციო საჭიროების შესახებ	
პროექტის კოდი / ნომერი	WBILK/030/98
პროექტის სახელი	ლუჩნიცა - კრასინსკიევი: საცხოვრებელი კორპუსის აშენება გაქირავების მიზნით - დაახლ. 300 ბინა
აპლიკანტი	შპს "შჩეცინსკიე ტავარიშტვო ბუდოვნიცვა სპოლექნევი ეს-პი"

1.1 პროექტის სამუშაოების / მასშტაბის აღწერა
<p>საცხოვრებელი კორპუსის აშენება პარკინგით, გასაქირავებლად და ამ ინფრასტრუქტურის მართვა.</p> <p>პირველი სართული - 100 ბინა. მეორე სართული - 200 ბინა.</p> <p>ამასთანავე წყლის მილსადენი და ტრანსფორმატორი ლუჩნიცას ქუჩაზე</p>
1.2 პრობლემის ადგილმდებარეობა
<p>ლუჩნიცას და კრასინსკიევოს ქუჩების მიმდებარე რაიონი</p>

სურათი 3: განაცხადის ფორმის ნიმუში

შედარებით მოწინავე მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, თავმოყრილი ინფორმაცია შეიძლება იყოს უფრო ფართე და დამატებით მოიცვას:

- განსახორციელებელი საინვესტიციო იდეის მასშტაბის აღწერა;
- ინფორმაცია მესაკუთრის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მაცხოვრებელთა რაოდენობა, რომელიც მიიღებს სარგებელს პროექტის განხორციელებით;

განხორციელებით;

- ხარჯების შეფასება;
- დაფინანსების შესაძლო წყაროების ჩამონათვალი;
- განხორციელების მოსალოდნელი დრო.

ვის შეუძლია საინვესტიციო საჭიროებების წარდგენა? პრინციპში ყველა დაინტერესებულ პირს, მ.შ.:

- **მოსახლეობას/ადგილობრივ მაცხოვრებლებს** – უშუალოდ მაცხოვრებლები ან მათი წამომადგენლები, რომლებიც მეტწილად ადგენს პრობლემას და არა საპროექტო იდეას;

- **არასამთავრობო ორგანიზაციებს** – წარმოდგენილი სხვადასხვა სოციალური ჯგუფებით, მაგ უნარშეზღუდული, ასაკოვანი, სოციალურად დაუცველი და ა.შ. პირები;
- **საინიციატივო ჯგუფებს** - მაცხოვრებელთა სხვადასხვა ჯგუფი, რომელიც შეამჩნევს პრობლემას ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში და რომელსაც სჭირდება ინფრასტრუქტურა მოსახლეობისთვის გარკვეული მომსახურების მიაწოდებლად (შემთხვევათა უმრავლესობაში ჯგუფი შედგება ერთი ქუჩის/კვარტლის/შენობის/დასახლების მაცხოვრებლებისგან ან დედებისგან, რომლებსაც სურთ თავიანთი შვილებისთვის ბავშვთა დღის მოვლის ცენტრის ჩამოყალიბება, რაც საბავშვო ბაღის ალტერნატივას წარმოადგენს და ა.შ.)
- **მუნიციპალიტეტის საორგანიზაციო ერთეულებს** - მუნიციპალიტეტის მერიის ერთეულები და სხვა გარე ერთეულები (მაგ: სკოლები, საბავშვო ბაღები, მუნიციპალური კომპანიები).
- **ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებს** – საჯარო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, რაც ბიზნესს გარემოს განუყოფელი ნაწილია ან ხელს უწყობს ბიზნესს საქმიანობას/ბიზნესის განვითარებას.

როგორ შეიძლება საინვესტიციო იდეების მიწოდება? ყველაზე ტიპური გზები გახლავთ:

- **ელ. ფოსტა** - სპეციალურად გამოყოფილი ელ. მისამართი, რომელიც მითითებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა ტიპის საინვესტიციო იდეის მფლობელისთვის. იქვე ბმულის სახით მოცემული უნდა იყოს განაცხადის ფორმის ნიმუში, რომელიც მოიცავს იმ მინიმალური ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც აღწერს იდეას.

- **ვებ-გვერდი** - განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია უშუალოდ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

მოქალაქეებისა და საინიციატივო ჯგუფების საჭიროებების გამოვლენის პროცესში ჩართვის მიზნით, CIP კოორდინატორს შეუძლია რეგულარული შეხვედრების ორგანიზება მათ წარმომადგენლებთან (მაგალითად წელიწადში ერთხელ).

ამავდროულად, მოსახლეობის დასწერბა შეხვედრებზე დაგვანახებს მოცემული იდეის მხარდაჭერის დონეს ამ ჯგუფების მხრიდან.



2.2. საწყისი შეფასება (ნაბიჯი 2)

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ საჭიროების / საპროექტო იდეის შემდგომ ეტაპებზე განხილვის აუცილებლობა, შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი (დიახ/არა ტიპის) კრიტერიუმები:

1. იდეა შედის ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობაში;
2. საიმედოა და პასუხობს საჯარო მოთხოვნას (ანუ იდეას აქვს სოციალური მხარდაჭერა);
3. არ არსებობს ზედდება/გადაფარვა სხვადასხვა განმცხადებლის მიერ მოწოდებულ იდეებს შორის;
4. იდეა განხორციელებადია ტექნიკური, ფინანსური, ეკოლოგიური და სამართლებრივი ასპექტების კუთხით;

კრიტერიუმი 1. საწყისი შეფასების მთავარი ამოცანაა შეირჩეს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული იდეები, ანუ ისეთი იდეები, რომელიც გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო შეთავაზების სახით. ამ ეტაპზე, ყველა იდეა, რომელიც სცდება მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობას უნდა იყოს უკუგდებული.

კრიტერიუმი 2. ამ ეტაპზე შემფასებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროექტები მნიშვნელოვანი სარგებელის მომტანი იყოს ადგილობრივი საზოგადოებისთვის; ამის ერთერთი ინდიკატორი იდეის პოპულარობაა. სოციალური მხარდაჭერა CIP პროცესის ამ ეტაპზე უნდა შეფასდეს ძალიან ზოგადად და შესაძლოა გაიზომოს შემდეგი ინფორმაციის მიხედვით: განმცხადებელთა რაოდენობა, სოფლის მოსახლეობის რაოდენობა, სადაც იგეგმება იდეის განხორციელება, ადგილობრივ გაზეთებში გამოთქმული შეხედულებები და ა.შ. სოციალური მხარდაჭერის შეფასება ასევე შესაძლებელია პრიორიტეტულობაზე დაყრდნობით, რაც უშუალოდ არის მითითებული განმცხადებლების მიერ (რაც უფრო მაღალია პრიორიტეტი იდეებს

შორის მით მეტია მხარდაჭერა). თუმცა, რასაკვირველია ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს მხოლოდ საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის მქონე პროექტები. ძალიან ბევრი საინვესტიციო საჭიროების დაკმაყოფილებას შეუძლია წვლილის შეტანა ადგილობრივ განვითარებაში, თუმცა ეს საჭიროებები შესაძლოა დიდად აქტუალური არ იყოს მოსახლეობის თვალსაზრისით. მაგ: ნაგავსაყრელები ან საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობა. მსგავსი პროექტები უმეტესწილად ინიცირდება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ და მათ შესახებ განაცხადებს მოსახლეობისგან ნაკლებად უნდა ველოდეთ. თითოეულ საპროექტო იდეას უნდა მივუდგეთ ინდივიდუალურად და უნდა დავასაბუთოთ წარმოადგენს თუ არა საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა შერჩევის ძირითად კრიტერიუმს.

კრიტერიუმი 3. სანამ საპროექტო იდეა საპროექტო წინადადებად გარდაიქმნება, შემფასებლებმა უნდა გადაამოწმონ სხვადასხვა განმცხადებლების მიერ შემოტანილ იდეებს შორის ზედდება. შეიძლება მოხდეს ისე, რომ იდეა იგივე პრობლემის გადაჭრის შესახებ შემოიტანოს სხვა განმცხადებელმაც.


კრიტერიუმი 4. იმის მიუხედავად, რომ ამ ეტაპზე არ არის საჭირო ყოვლისმომცველი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება, გამოცდილმა შემფასებლებმა უნდა შეძლონ ისეთი პროექტების გამოვლენა და უკუგდება, რომელთა განხორციელებაც ამკარა მიზეზების გამო შეუძლებელია (ფინანსური, ტექნიკური ან ეკოლოგიური და სხვ.).

პრაქტიკული რჩევები:

1. შეადგინეთ ყველა შემოტანილი საჭიროების/საპროექტო იდეის სია და შეინახეთ არქივში;
2. უპასუხეთ საპროექტო იდეის შემომტან ყველა განმცხადებელს. ეცადეთ დაასაბუთოთ თქვენი გადაწყვეტილება (თუ უარყოფითია) და აუხსნათ თუ როგორ შეიძლება იდეის გაუმჯობესება/დახვეწა მომავალში.
3. შეფასება ჩაატარეთ გამჭვირვალედ და გამოიყენეთ საკონტროლო ჩამონათვალი (ე.წ. „checklist“).

ზემოაღწერილი პროცესის საბოლოო შედეგი უნდა იყოს დადგენილი საინვესტიციო საჭიროებების (ან საპროექტო იდეების) ჩამონათვალი.


იმპლემენტაციის და მონიტორინგის მსგავსად, ინფორმაციის თავმოყრა საჭიროებების შესახებ და საწყისი შეფასება მიმდინარე / უწყვეტი პროცესებია. განმცხადებლებს შეუძლიათ თავიანთი საპროექტო იდეების ჩაბარება მთელი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. აღნიშნულის შემდეგ ხდება კონცეფციის ბარათებისა და წინადადებების მომზადება CIP-ის და საბიუჯეტო პროცედურების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. საპროექტო იდეებზე განაცხადების შემოტანის რეკომენდებული ბოლო ვადა შეიძლება იყოს 30 აპრილი. CIP პროცედურით დადგენილი საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადების განხილვა მოხდება მომდევნო წელს.



2.3. პროექტის კონცეფციის ბარათის (PCN) შემუშავება (ნაბიჯი 3)

PCN-ის როლი

პროექტის კონცეფციის ბარათის (შემდგომში PCN) შემუშავება პროექტის სკრინინგისა და წინასწარი-შერჩევის ეტაპში შედის. დადგენილი იდეა ფორმალიზებული სახით აღიწერება პროექტის კონცეფციის ბარათში, რომელიც მზადდება ყველა საჯარო კაპიტალური საინვესტიციო პროექტისთვის. ხშირ შემთხვევაში პროექტის კონცეფციების დადგენა ხდება წინა საფეხურზე: საინვესტიციო საჭიროებების თავმოყრა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ



საპროექტო კონცეფციის სახით მომზადებული ყველა პროექტი არ საჭიროებს საინვესტიციო იდეის წინასწარ ჩაბარებას. ზოგი მათგანი შეიძლება პირდაპირ იყოს შემოტანილი PCN-ის ფორმის გამოყენებით. ის მოიცავს მაგალითად ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად მუნიციპალიტეტისთვის და როგორც წესი უშუალოდ მუნიციპალიტეტის ინჟინრების მიერ არის შემუშავებული PCN-ის სრული ვერსიის სახით. PCN-ის როლი მდგომარეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მხარდაჭერაში/გამარტივებაში, ამიტომ მისი მომზადება არ უნდა აღვიქვათ როგორც უბრალოდ ადმინისტრაციული საქმიანობა.

პროექტის კონცეფციის ბარათი თანდართულია დანართში 1. აღნიშნულ ფორმატში შედის მინიმალური ინფორმაცია, მაგრამ ყველა მუნიციპალიტეტს შეუძლია საჭირო მონაცემების (ველების) დამატება.

A. ადმინისტრაციული ინფორმაცია

საჭირო ინფორმაცია პროექტის შესახებ, მაგალითად: დასახელება, პროექტის წარმდგენი ერთეული, პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეული, პროექტზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირი და ა.შ. *(თანდართულ ფორმაში მოცემული პუნქტები 1-6).*

B. პროექტის დასაბუთება და საჭიროებების შეფასება

პირველ რიგში პროექტმა ნათლად უნდა დაადგინოს პრობლემა *(ფორმაში მოცემული პუნქტი 7)*, რომელიც საჭიროებს ჩარევას და აღწერილი უნდა იყოს აღნიშნული პრობლემის სიმწვავე/სიმძიმე. უნდა წარმოჩინდეს პრობლემის ეკონომიკაზე ან საზოგადოებაზე უარყოფითი ზემოქმედების ასპექტები.

პასუხები უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:

- პრობლემის ადგილმდებარეობა
- ვინ ექცევა ყველაზე მეტად ამ პრობლემით გამოწვეული ზემოქმედების ქვეშ
- რამდენი ხანია რაც ეს პრობლემა არსებობს
- როგორია პროცესის ინტენსივობა
- პრობლემის (უარყოფითი) შედეგები და გავლენები

უფრო დახვეწილი განაცხადის შემთხვევაში (მე-2 და მე-3 დონე) ფორმაში მითითებული უნდა იყოს დამატებითი ინფორმაცია პრობლემის გამომწვევი მიზეზების შესახებ, მაგალითად: მოთხოვნა ახალ მომსახურებაზე, ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა (ახალი დასახლებები), სარემონტო სამუშაოების ნაკლებობა (მიუხედავად), რის გამოც ინფრასტრუქტურა ცუდ მდგომარეობაშია. დამატებითი ინფორმაციის მოწოდებით დასაბუთებული უნდა იყოს პრობლემის სიმძიმე. აღნიშნული დასაბუთება გახდება პროექტის პრიორიტეტების სათავეში მოქცევის საფუძველი.

მაგალითი:

გზაგამტარის აშენება სარკინიგზო ხაზის თავზე

სად? - ქალაქის სამხრეთ უბანი. ამ ტერიტორიაზე გადის ტრანზიტული სატრანსპორტო მარშრუტი. ტექნიკური ინფრასტრუქტურა მეტწილად მძიმე მდგომარეობაშია (განსაკუთრებით ასფალტი, წყალმომარაგების ქსელი, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემა). სამხრეთ მხრიდან ქალაქში შემომავალი მთავარი გზა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. უბნის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ აქ გვხვდება ინდუსტრიული, სასაწყობო, კომერციული და საცხოვრებელი დანიშნულების ობიექტები.

ვინ? - სამხრეთით მდებარე უბნის მაცხოვრებლები - „სამინებელი უბნები“ და დამატებით კომიუტერები, რომლებიც 3 მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან მოძრაობენ ამ უბნის გავლით ქალაქის ცენტრისკენ.

რამდენი ხანი? - დილით და პიკის საათებში განსაკუთრებით შეიმჩნევა სატრანსპორტო სისტემის გაუმართაობა / არაეფექტურობა.

შედეგები - 91-ე ეროვნულ გზატკეცილზე შექმნილი საცობები აფერხებს დანიშნულების პუნქტში დროულად მისვლის შესაძლებლობას. ფეხით მოსიარულეთათვის იქმნება უსაფრთხოების რისკები, ვინაიდან ამჟამად სანდომიერსკას ქუჩაზე გადასასვლელი გადის უშუალოდ ლიანდაგებზე.



Source: www.gdansk.naszemiasto.pl

სტრატეგიული დასაბუთება / დავალება PCN-ის მნიშვნელოვანი კომპონენტი და წინასწარი შერჩევის მთავარი კრიტერიუმია პროექტისთვის (ფორმის მე-8 პუნქტი). PCN-ში ახსნილი უნდა იყოს თუ როგორ გადაჭრის პროექტი მითითებულ პრობლემას.

პირველი პასუხია ის თუ რას ვთავაზობთ ჩვენ და რატომ არის არჩეული გზა ყველაზე მეტად საჭირო/ეფექტიანი.

განაცხადის ყველაზე დახვეწილი ფორმის შემთხვევაში მოცემული უნდა იყოს სხვა ალტერნატივებიც, მ.შ. არაფრის გაკეთება/უმოქმედობა (ალტერნატიული არჩევანი).

მაგალითი:

შემოთავაზება - გზაგამტარის აშენება სარკინიგზო ხაზის თავზე.

რატომ? - შემოთავაზებული პროექტი მნიშვნელოვნად გადაჭრის დადგენილ პრობლემას და გაამარტივებს ტრანსპორტის გადაადგილებას ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით, ასევე გააუმჯობესებს ქალაქის მისადგომობას სხვა მეზობელი დასახლებებისთვის.

ალტერნატივები:

ინვესტიციის არ ჩადება: შუქნიშნების ანთების თანმიმდევრობის შეცვლა (მეტად სინქრონიზება), ღონისძიებების გატარება სატრანსპორტო მოძრაობის შესამცირებლად ამ ტერიტორიაზე (მაგ: მძღოლების მოწოდება გამოიყენოს საჯარო ტრანსპორტი).



ინვესტიციის ჩადება: უნდა დაექვემდებაროს დამატებით კვლევებს. ერთ-ერთი ვარიანტია გვირაბის გაყვანა სარკინიგზო მაგისტრალის ქვეშ.

უმოქმედობა: აღნიშნული პრობლემა უფრო მწვავე გახდება სამხრეთ დასახლებაში მოსახლეობის ზრდასთან ერთად.

შემდეგი საფეხურია PCN-ში საბოლოო ბენეფიციართა ჯგუფის (მ.შ. პროექტით შექმნილი მომსახურების მიმღები პირების) მითითება (*ფორმის მე-9 პუნქტი*).

უფრო დახვეწილ განაცხადში შეგვიძლია ასევე შევიტანოთ არაპირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობა (თუ ცნობილია).

ინფორმაცია პროექტის საბოლოო ბენეფიციართა / მომხმარებელთა რაოდენობის შესახებ

საჭიროა ფორმის უფრო დახვეწილი ვერსიისთვის. აღნიშნულის შემთხვევაში **მომხმარებელთა არსებულ რაოდენობასთან** ერთად უნდა შევიდეს ახალ **მომხმარებელთა პროგნოზული მაჩვენებელი**, ანუ ის ადამიანები, რომლებიც ისარგებლებენ ახალი ან განახლებული ინფრასტრუქტურით. ეს მოგვცემს პროექტის შედეგად შექმნილ **მომსახურებაზე** სავარაუდო/მოსალოდნელი **მოთხოვნის** მიახლოებით შეფასებას (*ფორმის მე-10 პუნქტი*).

მაგალითად, წყალმომარაგების ახალი ქსელის მწმენებლობის შემთხვევაში უნდა დაფიქსირდეს ქსელზე დაერთებული კომლების არსებული რაოდენობა და დამატებით ის კომლები, რომლებიც პროგნოზების მიხედვით დაერთდებიან ქსელზე.

მაგალითი:

ვინ მიიღებს სარგებელს პროექტით? - ქალაქის მოსახლეობა, განსაკუთრებით ორი უბნის მაცხოვრებლები, რომელთა რაოდენობა აღწევს 64 390-ს.

რამდენი ბენეფიციარი დაემატება მომავალში? - პროგნოზების მიხედვით მომდევნო წლებში ამ ორ უბანში მცხოვრებთა რაოდენობა გაიზრდება დაახლოებით 20%-ით, რაც თავის მხრივ გაზრდის სარკინიგზო გადასასვლელის მომხმარებელთა რაოდენობას (დაახლოებით 3-4%-ით წელიწადში).

შემდეგი ეტაპი ეხება პროექტის უკუგდების შედეგებს (ფორმის 11-ე პუნქტი). აღნიშნული ინფორმაცია დაგვანახებს პროექტის უკუგდების არასასურველ შედეგებს. განაცხადის უფრო დახვეწილ ვერსიაში (მე-3 დონე) ეს ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს რაოდენობრივი მაჩვენებლებით, მაგალითად: ინფრასტრუქტურის სარემონტო და ტექ. მომსახურებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები, ნორმების დარღვევით გამოწვეული ჯარიმები და ა.შ.

ამას გარდა, PCN-ში უნდა შევიდეს პროექტის მასშტაბის/დაგეგმილი სამუშაოების (ფორმის 12-ე პუნქტი) აღწერა და ახსნა-განმარტება თუ როგორ წარმოადგენს ის პრობლემის გადაჭრის საუკეთესო ხერხს.

მაგალითი:

კონცეპტუალური დიზაინის შემუშავება მულტიმოდალური სატრანსპორტო ჰაბის ასაშენებლად ქალაქში.

სამშენებლო პროექტის შედგენა გზაგამტარის ასაშენებლად სარკინიგზო ხაზის თავზე.

გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის შედგენა.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება.

სამშენებლო სამუშაოები (გადასასვლელი, გზაგამტარი, ტროტუარები და ა.შ.).

დიდი პროექტების ან მოწინავე მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, PCN-ში უნდა შევიდეს პროექტის პროგნოზირებული კაპიტალური ხარჯი და სათანადო ალტერნატივები. ამ უკანასკნელში მოიაზრება ნებისმიერი ალტერნატივა, რომელიც

უკუგდებული იყო მაღალი ხარჯის გამო, ასევე ის ალტერნატივები, რომელთა მომავალში განხილვა შეფასება მიზანშეწონილად მიიჩნევა (ანუ იმ ალტერნატივების, რომელთა საბოლოო უკუგდება არ მოხდა ამ ეტაპზე).

ბოლოს, ფორმაში შესატანი ინფორმაცია შეიძლება იყოს სავარაუდო კავშირები სხვა ინვესტიციებთან (ფორმის 13-ე პუნქტი). ეს კავშირები შესაძლოა სხვადასხვა ტიპის იყოს. თუმცა, კონცეფციის ბარათის შედგენის დანიშნულებით ინფორმაცია უნდა იყოს უფრო ზოგადი ხასიათის. კოორდინატორმა უნდა შეძლოს ძირითადი რისკებისა და სამუშაოების მოსალოდნელი მასშტაბის დადგენა, რაც უფრო დეტალურად ჩამოყალიბდება საპროექტო წინადადების მომზადებისას.

პირველ რიგში საჭიროა ისეთი პროექტების მითითება, რომლებიც უნდა განხორციელდეს პარალელურად ან განსაზღვრული თანმიმდევრობით, მაგალითად: გზის მშენებლობისას უნდა შეკეთდეს ან განახლდეს გზის ქვეშ გამავალი საკანალიზაციო ქსელი ან მოეწყოს წყალმომარაგების ახალი ქსელი სამომავლოდ დაგეგმილი ინვესტიციებისთვის. თქვენ ასევე უნდა გაითვალისწინოთ არის თუ არა სხვადასხვა განაცხადის პროექტებს შორის ისეთი პროექტები, რომელთა განხორციელებაც უნდა დაუკავშირდეს სხვა შეფასებულ და გაანალიზებულ პროექტებს. ასეთების არსებობის შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს რეკომენდაცია მსგავსი პროექტების ერთ საპროექტო წინადადებაში გაერთიანების თაობაზე.

CIP პროცედურის შემდეგი საფეხურის დროს (საპროექტო წინადადების მომზადება) უნდა დადგინდეს არსებული ინფრასტრუქტურა (განსაკუთრების მიწისქვეშა) და შეფასდეს დეტალურად, ასევე უნდა გამოვლინდნენ ინფრასტრუქტურის მფლობელები. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ადექვატურად დაგვეგმოდ პროექტის სამუშაოების რეალური მასშტაბი.

C. პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი

სარგებელი განსახილველია სხვადასხვა ჭრილში: სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ეკოლოგიური (ფორმის 14-ე და 15-ე პუნქტები). საჭიროა პროექტის განხორციელებით მიღებული ყველა ტიპის სარგებლის მითითება. სარგებელი უნდა

აღინიშნოს თავისი მნიშვნელობის მიხედვით და პირველ რიგში უნდა დადგინდეს ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი.

უფრო დახვეწილი განაცხადი ასევე უნდა შეიცავდეს სარგებელსა და ხარჯებს არაპირდაპირი მომხმარებლებისთვის და სხვა არამატერიალურ სარგებელსა და ხარჯებს, რომელთა ღირებულების დადგენაც რთულია.

მაგალითი:

გზაგამტარის მშენებლობა სარკინიგზო მაგისტრალის თავზე

სარგებელი პირდაპირი მომხმარებლებისთვის (მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეებისთვის):

- **გაუმჯობესებული უსაფრთხოება** - უბედური შემთხვევების რაოდენობის კლება, იმის გამო, რომ ფეხით მოსიარულეები აღარ გადაკვეთენ შლაგბაუმებს.
- **დროის დაზოგვა მძღოლებისთვის** - ლოდინის დრო შლაგბაუმებთან პიკის საათებში შეადგენს დაახლოებით 23 წუთს (1 საათში).

არამატერიალური სარგებელი:

- მგზავრობისა და ცხოვრების გაუმჯობესებული კომფორტი და მაცხოვრებელთა კმაყოფილების გაზრდა.

ამავდროულად, ღირებულია იმის მითითება თუ როგორ აისახება ინვესტიცია (დადებითად ან უარყოფითად) სხვა სექტორებზე.

მაგალითი:

სხვა სარგებელი:

- **ეკოლოგიური დაბინძურების შემცირება და სათბურის აირების ემისიის კლება, ასევე ხმაურის შემცირება.**
- **ქალაქის მიმზიდველობის გაზრდა ბიზნესებისთვის** - ქალაქში არსებული უბნების პოტენციური მიმზიდველობის გაზრდა ბიზნესებისთვის, ასევე ადგილობრივი ბიზნესების ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა.
- **ქალაქის მიმზიდველობის გაზრდა ტურისტებისთვის** - კომფორტული გადაადგილება დასახლებებში წარმოადგენს ქალაქის დადებითი აღქმის წამყვან ფაქტორს პოტენციური სტუმრებისთვის.

სხვადასხვა ტიპის პროექტის მოსალოდნელი სარგებლის ქვემოთ მოცემული მაგალითები უნდა 'მოერგოს' ინდივიდუალურ პროექტს. სარგებელი თითოეული პროექტისთვის შესაძლოა განსხვავებული იყოს:

ეკონომიკური განვითარების სექტორი	განათლების სექტორი	საჯარო ადმინისტრირების სექტორი
<ul style="list-style-type: none"> ○ დასაქმების გაზრდის ან შენარჩუნების შესაძლებლობა; ○ ხელფასების გაზრდის შესაძლებლობა; ○ სარგებელი კონკრეტული ჯგუფებისთვის (დარიბი მოსახლეობა, ხანში შესული პირები, ინვალიდები); ○ პირობების შექმნა კერძო ინვესტიციების წასახალისებლად. 	<ul style="list-style-type: none"> ○ უნარებისა და ცოდნის გაზრდა სტუდენტებში; ○ სტუდენტების უკეთ მომზადება საუნივერსიტეტო გამოცდებისთვის; ○ უკეთესი მომზადება შრომის ბაზრისთვის. 	<ul style="list-style-type: none"> ○ მაღალი დონის მომსახურების მიწოდება უშუალოდ მაცხოვრებლებისთვის; ○ ახალი ან უფრო იაფი მომსახურების შეთავაზება მოქალაქეებისთვის.
<p>სადრენაჟო სისტემები</p>	<p>ქალაქის განადგურებული მიდამოების რევიტალიზაცია</p>	<p>კულტურული სექტორი</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ საყოფაცხოვრებო, ეკონომიკური (ინდუსტრიული, მომსახურების) შენობებისა და კომუნალური ქსელების, კერძო და საზოგადოებრივი ქონების დაზიანების თავიდან აცილება; ○ კომუნალური ინფრასტრუქტურისა და სატელეფონო ხაზების დაზიანების თავიდან აცილება; ○ საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანების თავიდან აცილება და საგზაო საცობების შემცირება; ○ მეტეოროლოგიური ფენომენებით გამოწვეული არასასურველი შედეგების მინიმუმამდე შემცირება; ○ დატბორვის/წყალდიდობის მინიმუმამდე შემცირება; ○ სამაშველო ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება; ○ დანადგარებისა და ტექნიკური მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლის შედეგად და მავნე ნივთიერებების გარემოში მოხვედრით გარემოს დაბინძურების უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა; ○ მაცხოვრებელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკების შემცირება. 	<ul style="list-style-type: none"> ○ საცხოვრისის პირობების გაუმჯობესება ქალაქის მაცხოვრებლებისთვის; ○ სამეწარმეო საქმიანობის განვითარება და უმუშევრობის შემცირება; ○ კერძო საკუთრების ღირებულების გაზრდა რევიტალიზაციის მიდამოებში; ○ უსაფრხოების შეგრძნების გაზრდა; ○ საჯარო სივრცეების ხარისხის გაუმჯობესება, საჯარო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და უსაფრთხოება; ○ ინფრასტრუქტურის შექმნა სოციალური ინტეგრაციისთვის; ○ საჯარო სივრცეებისა და ლოკაციების ადაპტაცია უნარშეზღუდული ადამიანების საჭიროებების გათვალისწინებით. 	<ul style="list-style-type: none"> ○ კულტურული ცხოვრების გაზრდა მაცხოვრებლებისთვის; ○ დროის გატარების ალტერნატიული გზების მიწოდება თინეიჯერებისთვის; ○ მუნიციპალიტეტის მიზიდველობის გაზრდა; ○ მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია რეგიონში.

სურათი 4: პროექტის სარგებლის ნიმუში

D. პროექტის შესაბამისობა სტრატეგიულ მიზნებთან

PCN-ში ასახული უნდა იყოს პროექტის მნიშვნელობა მთავრობის სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სექტორული პოლიტიკის ჭრილში (ფორმის 16-ე და 17-ე პუნქტები). ეს არის აუცილებლად შესასრულებელი მთავარი მოთხოვნა, იმ შემთხვევაშიც, როცა პროექტი ლოგიკურია და ჩარევის აუცილებლობა დღესავით ნათელია.

მაგალითი:

პროექტი შეესაბამება ეროვნულ ეკონომიკაში სამთავრობო ჩარევის პრიორიტეტებს. დადგენილი პრობლემების გადაჭრის შემოთავაზებული გეგმა-გრაფიკი თანხვედრაშია 2020 წლამდე არსებულ ეროვნულ და ადგილობრივ სტრატეგიების გეგმა გრაფიკთან და ასევე ეროვნული განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიისა და ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიის განხორციელების ვადებთან.

E. ფინანსური ხელმისაწვდომობა

თითოეული საინვესტიციო პროექტი გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე ორი გზით: საოპერაციო ბიუჯეტი და საინვესტიციო ბიუჯეტი.

საოპერაციო ბიუჯეტი

ზემოქმედება ბიუჯეტზე შეიძლება იყოს დადებითი (მაგ: შემოსავლების გაზრდა, ტექ. მომსახურების ხარჯების შემცირება) ან უარყოფითი (მაგ: მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდა, განსაკუთრებით როცა იგეგმება ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა). პროექტის განხორციელებამდე აუცილებელია მისი ბიუჯეტზე ზეგავლენის მითითება. პროგნოზები დამატებითი დანაზოგებისა თუ ხარჯების შესახებ ასევე შესატანია ბიუჯეტში (ფორმის 18-ე პუნქტი).

საინვესტიციო ბიუჯეტი

ზეგავლენა საინვესტიციო ბიუჯეტზე დამოკიდებულია პროექტის გარე დაფინანსებაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა სუბსიდია თუ გრანტი, რომელიც გავლენას ახდენს საკუთარი სახსრების მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფაზე.

დამატებით დაფინანსებას, დაფინანსების გარე წყაროებს დადებითი გავლენა აქვთ მუნიციპალურ ბიუჯეტზე. აღნიშულ სახსრებზე წვდომისა და ამ რესურსის მოპოვების

შესაძლებლობები მითითებული უნდა იყოს განაცხადი ფორმაში, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებას საბიუჯეტო თვალსაზრისით.

მაგალითი:

გზაგამტარის მშენებლობა სარკინიგზო მაგისტრალის თავზე

- საოპერაციო ხარჯები იფარება ბიუჯეტიდან - მოსალოდნელია 10%-იანი პროგნოზირებული მატება მიმდინარე ხარჯებთან შედარებით (გასათვალისწინებელია ბიუჯეტში 2023 წლიდან).

F. მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხები

აუცილებელია იმის მითითება თუ ვინ მართავს მომავალში ახალ/განახლებულ ინფრასტრუქტურას. უფრო კონკრეტულად კი - ვინ იქნება პასუხისმგებელი მის მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციაზე.

G. პროექტის ხარჯები

მოცემული უნდა იყოს პროექტის პროგნოზირებული ხარჯთაღრიცხვა - საინვესტიციო ხარჯები. აუცილებელია დაფინანსების ყველა შესაძლო წყაროს მითითება (ბიუჯეტი, გარე წყაროები, მაგალითად გრანტები და ა.შ.). შესაძლებლობის შემთხვევაში ხარჯები უნდა დაიყოს ნაწილებად: პროექტის მოსამზადებელი ხარჯები, მიწის შესყიდვა, სამშენებლო სამუშაოები, მოწყობილობა/დანადგარების შესყიდვა. უფრო დახვეწილ განაცხადებში შეტანილი უნდა იყოს დაფინანსების წყაროების მიხედვით წარმოდგენილი ხარჯები ცხრილის სახით.

მაგალითი

ძირითადი ფაზები	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
მომზადების ფაზა - დოკუმენტაცია (50% - ბიუჯეტის სახსრები)			100 000	919 460			
იმპლემენტაციის ფაზა - მშენებლობა (50% - ბიუჯეტის სახსრები)					1 000 000	5 000 000	5 000 000

სურათი 5: პროექტის ხარჯები სხვადასხვა ფაზაში

- საინვესტიციო დანახარჯის დაფინანსების წყაროები:
- მუნიციპალური ბიუჯეტი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეზოლუციით დარეზერვებული სახსრები
- დოკუმენტაციის შემუშავებისთვის გამოყოფილი ევროკავშირის სახსრები - აპლიკაცია მომზადების პროცესშია

o პროექტის იმპლემენტაციისთვის გამოყოფილი ევროკავშირის სახსრები - არსებობს ფონდების მოძიების უკვე ნაცნობი შესაძლებლობები, შესაბამისი აპლიკაცია მომზადდება სამომავლოდ

ამ ნაბიჯის მთავარი ამოცანაა შეამოწმონ იდეა რამდენად აგვარებს პრობლემას, რამდენადაა პროექტი განხორციელებადი და რამდენად რაციონალურია ის მოსალოდნელ ხარჯებთან და სარგებელთან მიმართებაში.

პროექტის კონცეფცია უნდა პასუხობდეს შერჩევის წინა კრიტერიომთან დაკავშირებულ ძირითად შეკითხვებს.

პროექტები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მოსალოდნელ შედეგებს, შეიძლება შეჩერდეს ამ ეტაპზე ასე რომ მათ არ მიეცემათ სრული საპროექტო წინადადების სახე.

პროექტის კონცეფცია ჩვეულებრივ მზადდება მუნიციპალიტეტის თანამშრომლების (და აპლიკანტების) მიერ ჩატარებულ კვლევებსა და ანალიზზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე არავითარი გარე მხარდაჭერა არაა საჭირო.

PCN-ების (პროექტის კონცეფციის ბარათების) ჩაბარება

CIP პროცედურაში მითითებული უნდა იყოს პროექტის კონცეფციის ბარათის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები.

ხშირ შემთხვევაში საპროექტო კონცეფციების განმცხადებლები არიან ქალაქის დაწესებულებათა ერთეულები, მაგალითად: მერიის სხვადასხვა დეპარტამენტი, კერძოდ ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი, ხანდახან სხვადასხვა საორგანიზაციო ერთეული თუ მათ ეხებათ ინფრასტრუქტურის მართვა. ამ ეტაპზე CIP-ის მიზნობრივ მოდელში უნდა შევიდეს მეტი ერთეული, რომელიც კომპეტენტური იქნება სხვადასხვა დარგში (მაგ: განათლება, სოციალური ინფრასტრუქტურა). აღნიშნულის საშუალებას იძლევა უკეთ გამოვიცნოც საჭიროებები და უფრო ადეკვატურად აღვწეროთ შემოთავაზებული გადაწყვეტილებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონცეფციის ბარათის მომზადება საჭიროებს უფრო მეტ ძალისხმევასა და ცოდნას ვიდრე საპროექტო იდეის აღწერა (მოცემული თავში 2.1.). ეს გახლავთ მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა შევადგინოთ სავარაუდო განმცხადებლების მ.შ. ქალაქის ადმინისტრაციის ყველაზე კომპეტენტური წარმომადგენლების სია.

შესაძლო განმცხადებლების ჩამონათვალი:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები (მაგ: საკრებულოს სხვადასხვა კომიტეტი, თუმცა ისინი უფრო საინვესტიციო იდეის ავტორები არიან, რაც შემდგომ იხვეწება ქალაქის მერიის ან სხვა საორგანიზაციო ერთეულების თანამშრომელთა მიერ);
- მუნიციპალიტეტის მერიის დეპარტამენტები;
- მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ერთეულები;
- საბიუჯეტო ერთეულები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ);
- არაკომერციული და არასამეწარმეო იურიდიული პირები;
- კომუნალური სამსახურები.


რიგ შემთხვევებში განმცხადებლებს შორის შეიძლება იყვნენ მაცხოვრებლებიც, თუმცა, პროფესიული ცოდნის არ ქონის გამო მათ სავარაუდოდ დასჭირდებათ დახმარება/კონსულტაცია PCN-ის შესამუშავებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში უნდა არსებობდეს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი, რომელიც გაუწევს მოქალაქეებს მსგავს მომსახურებას.

იდეების წარდგენა/ჩაბარება ახალი PCN-ების სახით უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. განმცხადებლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩააბარონ წინადადებები მთელი წლის მანძილზე. თუმცა, საბიუჯეტო წელიწადში დადგენილია გარკვეული ბოლო ვადა, რის შემდეგაც არ მოხდება PCN-ის მიღება და განხილვა მიმდინარე წელს (შეადარეთ პრაქტიკული რჩევები თავში 2.2.).

რეკომენდებულია ყველა პროექტმა გაიაროს შეფასების პროცესი. ასევე, რეკომენდებულია ყველა პროექტის შეფასება. თუმცა, წინა წელს უკვე ჩაბარებული პროექტები, რომლებიც ვერ შევიდნენ CIP-ში, საჭიროებენ არა PCN-ების მომზადებას, არამედ უკვე ჩაბარებულ ვერსიებში ცვლილებების შეტანას. აქედან გამომდინარე, PCN უნდა ჩაბარდეს, როგორც ახალი, ასევე ე.წ. მიმდინარე პროექტებისთვის.

2.4. პროექტის კონცეფციის შეფასება (ნაბიჯი 4)

რეკომენდებულია შეფასების კრიტერიუმებში შევიდეს სულ მცირე შემდეგი:



განზომილება/კრიტერიუმები	PCN-ის შეფასების საფუძველი	შეფასება (კი/არა)
A. ზოგადი მიმოხილვა		
1. PCN მომზადებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ფორმის ყველა ნაწილი შევსებულია.	მთლიანად PCN	
2. PCN-ში მოცემული ინფორმაცია ადეკვატურია წინასწარი შერჩევითვის .	მთლიანად PCN	
B. პროექტის რაციონალურობა და საჭიროებების შეფასება		
3. არსებობს გადაუდებელი საჭიროება, მაგ: მომსახურების ან ობიექტების შექმნის აუცილებლობა მომდევნო 3 წლის ფარგლებში, რაც დასტურდება ერთი ან მეტი ქვემოთ წარმოდგენილი პუნქტით: <ul style="list-style-type: none"> ობიექტის ან მომსახურების არსებული ან პროგნოზირებული მოთხოვნა, რაც აღემატება არსებული ინფრასტრუქტურის შესაძლებლობებს (საჯარო ობიექტი არის პატარა ან ტექნოლოგიურად მოძველებული); მოთხოვნა ახალი ტიპი მომსახურებაზე, რაც აქამდე არ არსებობდა; ობიექტებისა და დანადგარების/მოწყობილობების ცუდი ტექნიკური მდგომარეობა. 	7,8	
4. შემოთავაზებული გზა აკმაყოფილებს საჭიროებებს და ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრას.	7,12	
5. პროექტის უკუგდების შედეგები უფრო ძვირადღირებულია.	11	
C. პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი და ალტერნატივები		
6. პროექტით დაგეგმილი სარგებელი მიმართულია მოქალაქეთა დიდ ჯგუფზე (მთელი უბნის ან ქალაქის მოსახლეობაზე) ან მთავრობისთვის პრიორიტეტულ ჯგუფებზე (მაგ: ბავშვები, უნარშეზღუდული პირები).	9,14	
7. არსებობს სხვა სახის სარგებელიც, როგორცაა ეკონომიკური და/ან ეკოლოგიური.	14,15	
D. პროექტის შესაბამისობა/თანხვედრა სტრატეგიულ მიზნებთან		
8. პროექტი ხელს შეუწყობს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას, კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> ეროვნული ან რეგიონული ან სექტორული სტრატეგიული გეგმები; მუნიციპალური სტრატეგია. 	16	
9. პროექტი თანხვედრაშია მომდევნო წლის პრიორიტეტებთან.	17	

სურათი 6: პროექტის კონცეფციების შეფასების კრიტერიუმების მაგალითი.

E. ფინანსური ხელმისაწვდომობა		
10. არსებობს პროექტის დაფინანსების გარე წყაროები. თანადაფინანსების ყველა მოთხოვნა დადგენილია და დიდი ალბათობით დაკმაყოფილდება.	19,22	
11. პროექტი დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე (პროგნოზირებულია ტექ. მომსახურების ხარჯების კლება ან თანხების დაზოგვა ან საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა).	18	

შეფასების ეტაპზე ზედამხედველობა ევალება CIP კოორდინატორს, რომელიც პასუხისმგებელია CIP-ის მოსამზადებლად საჭირო ყველა ეტაპის ინიცირებაზე (წამოწყებაზე). პროექტების საწყისი შეფასება შეიძლება დაიგეგმოს სხვადასხვანაირად. ეს დამოკიდებულია შემოტანილი პროექტების რაოდენობაზე. CIP კოორდინატორმა პირადად უნდა გადაამოწმოს PCN სიზუსტისა და სისრულის კუთხით. თუ რომელიმე მონაცემი აკლია, CIP კოორდინატორი უნდა დაუკავშირდეს შესაბამის განმცხადებელს, რათა მოიძიოს საჭირო ინფორმაცია ან აუხსნას სრულად შევსებული ფორმების ჩაბარების საჭიროება.

შინაარსის შესაფასებლად კოორდინატორმა შეიძლება ჩართოს მაგალითად ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი, რათა დაადგინოს/დაასაბუთოს პროექტის ეკონომიკური და სოციალური სარგებელი. ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურის დეპარტამენტსაც შეუძლია დახმარება დამატებითი მონაცემების მოძიების თვალსაზრისით.

ქვემოთ მოცემულია მოსაზრება, რომელიც მოიცავს შეფასებასა და რეკომენდაციას პროექტებისთვის კონცეფციის ბარათზე დაყრდნობით. მოწოდებულია, რომ შეფასება და რეკომენდაცია უნდა მოიცავდეს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის მოსაზრებას პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შემოთავაზებული მასშტაბის შესახებ.

მაგალითები

<p>პროექტი 1: პროექტის დასახელება - ვაშლოვანის ქუჩის რეაბილიტაცია, პასუხისმგებელი - ეკონომიკის დეპარტამენტი</p>
<p>1. პროექტზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.</p> <p>2. არსებობს მაღალი მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან - ფეხით მოსიარულეები და ადგილობრივი მაღაზიების მეპატრონეები - ვინაიდან ხალხს არ შეუძლია კომფორტულად გადაადგილება ქუჩაზე (არც ფეხით და არც მანქანით); აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება საზოგადოების შეხედულებებს, მაცხოვრებლებთან გასაუბრებას (შესაძლებელია აღნიშნულის დადასტურება გარკვეული მონაცემებით).</p> <p>3. პროექტის მასშტაბი უნდა განისაზღვროს სხვა დაგეგმილ მიწისქვეშა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად. არსებობს გარკვეული რისკი მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის მდგომარეობის არ ცოდნის გამო. რეკომენდებულია დაცდა სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო პროექტის დასრულებამდე (ის ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია);</p> <p>4. იდეა განხორციელებადია და ამის ძირითადი მიზეზებია: ეს არის არსებული გზა, ანუ მუნიციპალიტეტი ფლობს ამ მიწას, არ არსებობს რისკი ნიადაგის მდგომარეობის კუთხით, მაგრამ ტექნოლოგიისა და პრიორიტეტის შერჩევასა გასათვალისწინებელია, რომ გრძელი საინვესტიციო პროცესი ზარალის მომტანი იქნება მაღაზიის მფლობელებისთვის.</p> <p>5. პროექტის მოსალოდნელი შედეგები სიღრმისეულია, ვინაიდან არსებობს მოსალოდნელი სარეგებელი მთლიანად საზოგადოებისთვის, ამიტომ შესაძლებელია სხვა სოციალური პრიორიტეტების დაბალანსება.</p>
<p>საბოლოო რეკომენდაციაა საპროექტო წინადადების მომზადება შემდეგის გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none">• აუცილებელია გზის ქვეშ არსებული ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და შესაძლებლობიდან გამომდინარე მისი მდგომარეობის შეფასება;• საჭიროა ინვენტარიზაციას დაქვემდებარებული ინფრასტრუქტურის მფლობელებთან დაკონტაქტება და კავშირის დამყარება;• შესაძლოა საჭირო გახდეს სახსრების 'დარეზერვება' ბიუჯეტში პროექტის დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად, რომელმაც შეიძლება იჩინოს თავი ზემოთ ხსენებულ ინფრასტრუქტურასთან მიმართებით;• გზის საფარის ტექნოლოგია უნდა იყოს ხარჯთ-ეფექტური, ეს ნიშნავს იმას, რომ საინვესტიციო ხარჯები არ უნდა იყოს ძალიან მაღალი, რომ პროექტის აღსრულებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამარტივდეს.• უნდა დადგინდეს იარსებებს თუ არა სხვა მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის საჭიროება მომავალში და ასეთის არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი შეტანა პროექტში (მა: ტექნიკური არხის აშენება);

- განხორციელების გეგმა-გრაფიკში გასათვალისწინებელია ადგილობრივი მეწარმეებისა და მაცხოვრებლების ინდივიდუალური საჭიროებები, ამიტომ ეს უნდა მომზადდეს უფრო დეტალურად (მ.შ. მოსამზადებელი სამუშაოები);
- პროექტის პრიორიტეტულობა მაღალია.

პროექტი 2: პროექტის დასახელება - საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ვაშლოვანში, პასუხისმგებელი - ეკონომიკურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი

1. პროექტზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.
2. არსებობს **მაღალი მოთხოვნა** საზოგადოების მხრიდან –პატარა ბავშვებიანი სოფლის მაცხოვრებლები - აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება სოფლის მცხოვრებთა შეხედულებებსა და დედების დასაქმების მონაცემებს (შესაძლებელია აღნიშნულის დადასტურება გარკვეული მონაცემებით);
3. პროექტის მასშტაბი უნდა განისაზღვროს სხვა საჭირო ინფრასტრუქტურასთან ერთად (გზები, წყალმომარაგება და წყალარინება, ელექტრომომარაგება და ა.შ.), ადგილმდებარეობიდან გამომდინარე;
4. **იდვის განხორციელებადობა რთული შესაფასებელია** - აღნიშნულის მთავარი მიზეზია გახლავთ ის, რომ ადგილმდებარეობა დასადგენი და პროექტის ტექნიკური ვარაუდები შესამუშავებელია. არ ჩატარებულა ანალიზი ალტერნატიულ გზებთან შედარებით პროექტის ეფექტიანობის კუთხით, რაც გულისხმობს ბავშვების ჩაყვანას სხვა სოფლებში.
5. პროექტის მოსალოდნელი შედეგებით ისარგებლებს მხოლოდ ერთი სოფლის მაცხოვრებელთა ჯგუფი, ამიტომ საჭიროა **დამტკიცდეს, რომ შესაძლებელია მთლიანად ქალაქის სხვა სოციალური პრიორიტეტების დაბალანსება.**


საბოლოო რეკომენდაციაა საპროექტო წინადადების მომზადება შემდეგის გათვალისწინებით:

- აუცილებელია საჯარო მხარდაჭერის უფრო დეტალურად შესწავლა მთლიანად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებთან შედარებით და მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული ტენდენციების ჭრილში;
- შემოსათავაზებელია საბავშვო ბაღის ადგილმდებარეობა - მიწის კონკრეტული ნაკვეთი, სადაც შესაძლებელია შენობის აშენება;
- დეტალურად არის გასაანალიზებელი ალტერნატიული გზები და ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის ეფექტურობა (ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა თუ ბავშვების ჩაყვანა არსებულ ბაღებში ან ფართის დაქირავება აღნიშნული დანიშნულებით);
- დამატებითი ინფრასტრუქტურის საჭიროება საბავშვო ბაღის გარშემო (გზები, წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელები, ელექტროენერგია და ა.შ.);
- ამ ეტაპზე პროექტის პრიორიტეტულობა დაბალია.

შეფასების პროცესის საბოლოო შედეგი უნდა იყოს დამტკიცებული პროექტების სია ანუ რანჟირებული PCN-ები. სია შეიძლება განსხვავებული ფორმით იყოს წარმოდგენილი, მაგალითად ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული პროექტების სია, უშუალოდ განმცხადებლებისთვის გაგზავნილი წერილები.

უნდა მოხდეს დამტკიცებული კონცეფციების შემდგომი განხილვა და გარდაქმნა საპროექტო წინადადებად. თუ პროექტის შემდგომი განხილვა არ არის რეკომენდებული, განმცხადებელს უნდა გაეგზავნოს წერილობითი ახსნა-განმარტება/დასაბუთება.

პროექტის კონცეფციის მომზადებისა და მისი შეფასების პროცესი მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ სქემაში.



2.5. როლები, პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

პროექტის წინასწარი შერჩევის პროცესის მიზანია გამორიცხოს პროექტები, რომლებიც არ შეესაბამებიან სამთავრობო პრიორიტეტებს ან კონკრეტულ სექტორს, რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტს, ან რომლებიც დიდი ალბათობით არ იქნებიან ხარჯ ეფექტური და/ან ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად ეფექტური საბიუჯეტო შეზღუდვის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია სათანადო უნარებისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლების ჩართვა შეფასების პროცესში. როგორც აღინიშნა PCN-ის ჩაბარება შეუძლიათ სხვადასხვა ერთეულებს ან სუბიექტებს. მნიშვნელოვანია განმცხადებლების (პროექტის განმახორციელებლების) ფუნქციის გამიჯვნა შემფასებლების (CIP -ის გუნდი) ფუნქციებისგან.

შემთხვევათა უმრავლესობაში საპროექტო კონცეფციების შემუშავება მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული დეპარტამენტების პასუხისმგებლობაში შევა ან ისინი დაეხმარებიან გარე დაინტერესებულ პირებს PCN-ების შემუშავებაში.

CIP გუნდმა ყველა მუნიციპალიტეტში უნდა შეასრულოს შემფასებლის როლი. რეკომენდებულია, რომ გუნდი დაკომპლექტებული იყოს 3-5 ადამიანით სხვადასხვა ერთეულიდან, რომელიც უშუალოდ ანგარიშვალდებული იქნება ინვესტიციებზე პასუხისმგებელ მერთან და მის მოადგილესთან.



ის თუ რამდენად უნდა ჩართოს გუნდმა გარე პირები აღნიშნულ საქმიანობაში ღია ტიპის შეკითხვად რჩება. ხშირ შემთხვევაში მიზანშეწონილად ითვლება გარკვეული გარე ექსპერტების მოწვევა, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება წინადადებების ტექნიკურ შეფასებაში, განსაკუთრებით როცა ეს ეხება პროექტის მოსალოდნელ შედეგებს/ზემოქმედებას. აღნიშნული უფრო მეტად მოწოდებულია მსხვილი პროექტების შემთხვევაში.


გუნდის როლი მდგომარეობს ადგილობრივი და დეტალური მეთოდოლოგიის შემუშავებაში და საბოლოო რეკომენდაციების წარდგენაში, რაც შევა კაპიტალურ საინვესტიციო გეგმასა და ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს გარე ექსპერტების ჩართვა პროექტების შეფასების პროცესში. მეორეს მხრივ, სამუშაო შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ.

3. პროექტის შეფასება

3.1. შესავალი: პროექტის შეფასების მიზნები

პროექტის შეფასება მიზნად ისახავს პასუხი გასცეს საპროექტო წინადადებასთან დაკავშირებულ



შემდეგ ძირითად შეკითხვებს:

- რა არის შემოთავაზებული პროექტის ამოცანა?
- არ არსებობს შემოთავაზებულ პროექტზე უკეთესი გზა ამოცანის მისაღწევად?
- არ შეიძლება ამ პროექტისთვის საჭირო რესურსის უკეთ გამოყენება?

3.2. საპროექტო წინადადებების შემუშავება (ნაბიჯი 5)

სანამ პროექტის დამტკიცებული კონცეფციის ბარათები „გარდაისახებიან“ ღირებულ საპროექტო წინადადებად საჭიროა გარკვეული სამუშაოს ჩატარება. აღნიშნული ძირითადად გულისხმობს დამატებითი ინფორმაციის თავმოყრას პროექტის შესახებ და რიგ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, იმისთვის, რომ შეივსოს საპროექტო წინადადების ფორმა. ფორმა მე-2 დანართის სახით მოყვება წინამდებარე სახელმძღვანელოს - დანართი 2: საპროექტო წინადადების ნიმუში. საპროექტო წინადადების ფორმა მოიცავს პროექტის კონცეფციის ფარგლებში თავმოყრილ ინფორმაციასა და მონაცემებს, მაგრამ ეს უფრო დეტალურია. საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო წინადადების მონაცემები შეიძლება დაეფუძნოს დამატებით ანალიზს, მაგალითად ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას.

საპროექტო წინადადებები უნდა მომზადდეს **მუნიციპალიტეტის მერიის დეპარტამენტების** (ან მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული სხვა ერთეულების) მიერ, თავიანთ პასუხისმგებლობაში შემავალი სფეროების მიხედვით, რაც ნახსენებია პროექტის კონცეფციის ბარათებში. ხშირ შემთხვევაში ეს იქნება ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი.

შერჩეული პროექტებისთვის - (სავალდებულოა თუ კაპიტალური დანახარჯი აღემატება 5 მლნ ლარს) - ამ ეტაპზე შეიძლება საჭირო გახდეს **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების** ჩატარება. ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევის პოტენციური ხარჯიდან გამომდინარე ინდივიდუალურად უნდა განვიხილოთ პატარა პროექტებისთვის მსგავსი კვლევის საჭიროება. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების მასშტაბი და მეთოდოლოგიური მიდგომა წარმოდგენილია დანართში 5.


პროექტის მომზადების ამ ეტაპზე წარდგენილი უნდა იყოს პროექტის საერთო ხარჯი. საპროექტო წინადადებების ტექნიკურ-ეკონომიკური, საინჟინრო, მშენებლობისა და სხვა მოსამზადებელი სამუშაოების ხარჯი უნდა შევიდეს კაპიტალურ ხარჯებში.

საპროექტო წინადადების მთავარი ამოცანებია: პროექტის ეფექტურობის შეფასება სხვა პროექტებთან შედარებით, მომზადება ბიუჯეტირებისთვის და ასევე გარე წყაროებთან მიმართვა დაფინანსების მოსაპოვებლად.

ინფორმაციას თითოეული შემოთავაზებული პროექტის შესახებ აქვს ზეგავლენა მუნიციპალიტეტის სამომავლო ბიუჯეტზე. ინვესტიციის განხორციელების შემდეგ ახლად აშენებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯი შეიძლება გაიზარდოს. ზოგიერთი პროექტის მიზანია საოპერაციო ხარჯების შემცირება ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ან გამოცვლის გზით. გადაწყვეტილების მიღებისას პროექტის დამტკიცების შესახებ ასევე გასათვალისწინებელია დაგეგმილი დანაზოგები ან დამატებითი შემოსავლები.

3.3. საპროექტო წინადადებების შეფასება და რანჟირება (ნაბიჯი 6)

პროექტების შეფასებისა და რანჟირების პროცესმა უნდა მიგვიყვანოს საინვესტიციო საჭიროებებამდე (პოტენციური პროექტებამდე) სტრუქტურირებული სიისითა და კაპიტალური საინვესტიციო გეგმით, რომელშიც შევა შერჩეული ინვესტიციები.



საუკეთესო ინვესტიციის შესარჩევად და რანჟირებისათვის, საპროექტო წინადადებების შედარების რამდენიმე მეთოდი არსებობს.

წინამდებარე ნაწილში ჩვენ შევეხებით შემდეგს:

- მრავალი კრიტერიუმის ანალიზი
- ხარჯისა და სარგებლის ანალიზი
- ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზი.

მრავალი კრიტერიუმის ანალიზი

აღნიშნული მეთოდით საპროექტო წინადადებები ლაგდება პრიორიტეტების მიხედვით (კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით). უშუალოდ

მუნიციპალიტეტის საქმეა კრიტერიუმების ნაკრების დადგენა და გარკვეული „წონის“ მინიჭება თითოეული მათგანისთვის. კრიტერიუმების აღნიშნული „კომპლექტი“ მორგებული უნდა იყოს ადგილობრივ გარემოებებზე, მაგრამ პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად უნდა იყოს რაც შეიძლება ზუსტი. გამჭვირვალობა მოითხოვს, რომ კრიტერიუმები და ცალკეული პროექტების შეფასება იყოს საჯარო.



ცხრილში ნაჩვენებია ორი პროექტის საერთო ქულის დაანგარიშების მაგალითი. ორი პროექტი შეფასებულია ქულებით 3 კრიტერიუმის მიხედვით, რომელთა შორისაც ზეგავლენას სიღარიბეზე მინიჭებული აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა. მნიშვნელობა ‘იზომება’ სტატისტიკური ტერმინით - ‘წონა’. მან უნდა ასახოს პრიორიტეტი სხვადასხვა კრიტერიუმს შორის, მაგალითად ერთი მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი იქნება ისეთი პროექტების შერჩევა, რომელსაც მაღალი სოციალური ეფექტი ექნება, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტისთვის უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ეკოლოგიური საკითხები. მნიშვნელობა შეიძლება გამოისახოს პროცენტით ან ციფრებით (რაც უნფო მნიშვნელოვანია კრიტერიუმში, მით მაღალია ციფრი). თითოეული პროექტის ჯამური ზემოქმედების მისაღებად ქულები გამრავლებულია წონაზე³.

კრიტერიუმი	ქულა	წონა*	ზემოქმედება/ზეგავლენა ქულების რაოდენობა
პროექტი A			
ზეგავლენა სიღარიბეზე	2	60%	1.2
ზეგავლენა ბიზნეს ინვესტიციაზე	1	20%	0.2
ზეგავლენა გარემოს დაცვით/ეკოლოგიურ ხარისხზე	4	20%	0.8
საერთო შეწონილი ზემოქმედება			2.2
პროექტი B			
ზეგავლენა სიღარიბეზე	4	60%	2.4
ზეგავლენა ბიზნეს ინვესტიციაზე	1	20%	0.2
ზეგავლენა გარემოს დაცვით/ეკოლოგიურ ხარისხზე	2	20%	0.4
საერთო შეწონილი ზემოქმედება			3.0

* ‘მნიშვნელობის საზომი’. ციფრული გამოხატულება გახლავთ აღნიშნულის მაგალითი. პროცედურაში მოცემული უნდა იყოს პროექტის შეფასების წესები კრიტერიუმების ჩამონათვალთან და კონკრეტული მუნიციპალიტეტისთვის მათ მნიშვნელობასთან ერთად, რაც გამოიხატება წონაში.

³ მნიშვნელობა.

როგორც აღწერილი იყო წინასწარი შერჩევის ეტაპისთვის, ამ საფეხურზეც უნდა მოხდეს ჩაბარებული პროექტების შეფასება და რანჟირება. ეს ძირითადად CIP გუნდის პრეროგატივაა, მაგრამ ასევე მიზანშეწონილია გარე ექსპერტების დანიშვნა, რომლებიც დაგეხმარებიან გარკვეული რთული ან ტექნიკური კრიტერიუმების შეფასებაში.

მრავალი კრიტერიუმის ანალიზში გამოყენებულია სხვადასხვა კრიტერიუმი და თითოეულ მათგანს მინიჭებული აქვს ქულა. მინიჭებული ქულების ჯამი ავტომატურად „გარდაისახება“ შეფასებული პროექტების რანჟირებულ სიაში.

კრიტერიუმებისა და ქულების სისტემის შესაძლო მოდელი მოცემულია დანართში 3-ში. აღნიშნული მოდელი არ უნდა მიიღოს, როგორც საბოლოო ვარიანტი, რომელშიც არ უნდა შევიდეს ცვლილებები, არამედ ის უნდა მიიჩნიოს, როგორც ადგილობრივი ვითარებას მოსარგები და შემდგომ განხილვას დაქვემდებარებული მასალა/მაგალითი. ზოგიერთი კრიტერიუმი შედარებით მარტივია და მათი გამოყენება მექანიკურად შეიძლება, მაგრამ არის გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც ყოველთვის საჭიროებს შეფასებას ექსპერტის მიერ, რაც გარკვეულწილად სუბიექტურია (სტრატეგიულ მიზნებთან თანხვედრის შეფასება და მოსალოდნელი შედეგები ეკონომიკური და სოციალური განვითარების კუთხით). აქედან გამომდინარე CIP გუნდმა პროცესში უნდა ჩართოს აღიარებული ექსპერტები, ან შეფასებისას მიმართოს გარე ექსპერტებს მათი მოსაზრებების მისაღებად. აღნიშნული ექსპერტების მომსახურებს ხარჯებიც შესატანია პროექტის ხარჯებში.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია პროექტების შეფასების კრიტერიუმების მაგალითები. უფრო მეტი მაგალითი შეტანილია მე-3 დანართში.

No	კრიტერიუმი	წონა	ქულები და შეფასების წესები
1.	პრობლემის გადაჭრის ეფექტიანობა	30%	პროექტი სრულად აგვარებს პრობლემას – 3 ქულა პროექტი ნაწილობრივ აგვარებს პრობლემას – 2 ქულა პროექტი დროებით აგვარებს პრობლემას – 1 ქულა
2.	პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი	35%	მოსალოდნელი სარგებელი სოციალური ან ეკონომიკური ხასიათისაა და ის მოიცავს მთლიანად მუნიციპალიტეტს– 3 ქულა მოსალოდნელი სარგებელი სოციალური ან ეკონომიკური ხასიათისაა, მაგრამ არ მოიცავს მხოლოდ ერთ სოფელს – 2 ქულა მოსალოდნელი სარგებელი სოციალური ან ეკონომიკური ხასიათისაა, მაგრამ მოიცავს მხოლოდ ერთ სოფელს – 1 ქულა

No	კრიტერიუმი	წონა	ქულები და შეფასების წესები
3.	შესაბამისობა სტრატეგიულ მიზნებთან	15%	პროექტს წვლილი შეაქვს შესაბამისი სტრატეგიული მიზნის განხორციელებაში ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე – 3 ქულა პროექტს წვლილი შეაქვს შესაბამისი სტრატეგიული მიზნის განხორციელებაში ეროვნულ დონეზე – 2 ქულა პროექტს წვლილი შეაქვს შესაბამისი სტრატეგიული მიზნის განხორციელებაში მუნიციპალურ დონეზე – 1 ქულა
4.	ფინანსური ხელმისაწვდომობა	20%	პროექტის დაფინანსება 50%-ით და მეტით შესაძლებელია გრანტებით - 3 ქულა პროექტის დაფინანსება შესაძლებელია გრანტებით, რომელიც 50%-ზე ნაკლები, მაგრამ 20%-ზე მეტი – 2 ქულა პროექტის დაფინანსება შესაძლებელია, მაგრამ 20%-ზე ნაკლები გრანტებით – 1 ქულა
-	-	100%	-

სურათი 8: პროექტების შესაფასებელი კრიტერიუმების მაგალითები

ზემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით ჩვენს მიერ თავში 2.4 მაგალითის სახით მოყვანილი ორი პროექტის შეფასება შესაძლებელია ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის სახით. აქ შეტანილია ქულები თითოეული კრიტერიუმის ერთიანი დასაბუთებით.

	პრობლემის მოგვარების ეფექტიანობა	პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი	შესაბამისობა სტრატეგიულ მიზნებთან	ფინანსური ხელმისაწვდომობა	სულ
პროექტი 1: ქუჩის რეაბილიტაცია	პროექტი ბოლომდე აგვარებს ქუჩაში კომფორტულად გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემას	ეკონომიკური ტიპის სარგებელი მთლიანად მუნიციპალიტეტისთვის	შესაბამისობა სტრატეგიულ მიზნებთან მუნიციპალიტეტის დონეზე	დაფინანსების გარე წყაროების არ არსებობა	-
ქულების რაოდ.	3	3	1	0	-
ქულების რაოდ. წონის ჩათვლით	$30\% * 3 = 0,9$	$35\% * 3 = 1,05$	$15\% * 1 = 0,15$	$20\% * 0 = 0,0$	2,1
პროექტი 2: საბავშვო ბაღის მშენებლობა	პროექტი სრულად აგვარებს სოფლის პრობლემას	სოციალური ტიპის სარგებელი მუნიციპალიტეტის 1 სოფელში	შესაბამისობა სტრატეგიულ მიზნებთან ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე	შესაძლო თანადადაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან	-
ქულების რაოდ.	3	1	3	1	-
ქულების რაოდ. წონის ჩათვლით	$30\% * 3 = 0,9$	$35\% * 1 = 0,35$	$15\% * 3 = 0,45$	$20\% * 1 = 0,2$	1,9

სურათი 9: პროექტის შეფასების ნიმუში

ზემოთ მოცემული შეფასების შედეგია, რომ გზის პროექტი უნდა განხორციელდეს საბავშვო ბაღის პროექტამდე, რადგან მან ყველა კრიტერიუმისთვის ერთად მიიღოს მეტი ქულა. განსხვავებულ შედეგებს მივიღებთ თუ საწინააღმდეგო წონა მიენიჭება კრიტერიუმებს, რომლებიც ასახევენ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს.

მაგალითად, თუ მუნიციპალიტეტი შეამცირებს პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებლის მნიშვნელობას 15%-მდე და მიანიჭებს უფრო მაღალ პრიორიტეტულობას შესაბამისობას სტრატეგიასთან (35%), მაშინ საბავშვო ბაღი მიიღებს გზის პროექტზე მეტ ქულას. კრიტერიუმები და მათი წონები⁴ ზედმიწევნით გასათვალისწინებელია და უნდა წარმოადგენდეს CIP პროცედურის ნაწილს.

პროექტის შეფასების ყველაზე დახვეწილი/მოწინავე მეთოდი გახლავთ ქვემოთ განხილული ხარჯისა და სარგებლის ანალიზი (CBA). გაითვალისწინეთ, რომ მე-3 დანართში მოცემული ზოგიერთი კრიტერიუმი ახლოსაა საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებელ ინდიკატორებთან (KPI), რომელიც გამოიყენება CBA-ის ფარგლებში და ავტომატურად ჩართულია აღნიშულ ანალიზში. თუ CBA ჩატარდება და მოხდება NPV-ის (ინვესტიციის წმინდა მიმდინარე ღირებულების) დაანგარიშება თითოეული პროექტისთვის, აზრი ეკარგება „პროექტის განსახორციელებლად საჭირო დროისა“ და „ბიუჯეტზე სამომავლო ზეგავლენის“ გამოყენებას ცალკე კრიტერიუმების სახით, ვინაიდან ორივე მათგანი NPV-ის ნაწილია. მსგავს შემთხვევებში კრიტერიუმების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს და NPV-ის ან IRR-ს (შიდა უკუგების კოეფიციენტს) მიენიჭოს წამყვანი როლი ქულებით შეფასების სისტემაში.

ხარჯისა და სარგებლის ანალიზი (CBA)

ეკონომიკური ხარჯისა და სარგებლის ანალიზი (შემდგომში CBA) არის პროექტის შეფასების ცენტრში მოქცეული ძირითადი ინსტრუმენტი. CBA გულისხმობს პროექტის




ყველა ხარჯისა და სარგებლის დაანგარიშებას ფულად განზომილებაში და წმინდა სარგებლის (ან ხარჯების) განსაზღვრას (დისკონტირების გზით)

მიმდინარე ღირებულების ჭრილში. სხვა სიტყვებით, ხარჯისა და სარგებლის ეკონომიკური ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს ყველა ხარჯსა და სარგებელს

⁴ ასევე შესაძლებელია 'წონების' გვერდზე გადადება და მხოლოდ ქულების გამოყენება. კრიტერიუმების გამიჯვნის მიზნით, უნდა დავადგინოთ მათი სხვადასხვა მასშტაბი, მაგალითად ქულები 6-დან 1-მე სარგებლისთვის და 3-დან 1-მდე გარე დაფინანსებისთვის.

მთლიანობაში, იმისდა მიუხედავად თუ სად ექცევიან ისინი და უნდა სცდებოდეს მხოლოდ კონკრეტული უწყების (მაგ: მუნიციპალიტეტის) ანგარიშებზე ზემოქმედების ვიწრო ხედვას. ეკონომიკური ანალიზის კუთხით სარგებელი და ხარჯები უნდა იყოს რელევანტური და მატერიალური.



სურათი 10: ხარჯები და სარგებელი პროექტის მაგალითზე

ეკონომიკური სარგებელი გახლავთ ნებისმიერი სახის მატება საზოგადოების ან ცალკეული პირების კეთილდღეობაში, რაც მიიღწევა შემოთავაზებული პროექტის განხორციელებით. აღნიშნული გულისხმობს, რომ ნებისმიერი მიღწევა მოიცავს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს (კერძო ბიზნესი, საქველმოქმედო და საზოგადოებრივი სექტორები) და ამავდროულად ცალკეულ პირებს. საჯარო ღონისძიებებით მიღებული სარგებელი მეტწილად ასახვას ჰპოვებს თითოეულ ადამიანზე.

სათანადო ეკონომიკური ხარჯის განსაზღვრის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი გახლავთ ის, რომ (i) უნდა მოხდეს ეკონომიკური რესურსის რეალური გამოყენება და (ii) აისახოს ალტერნატიულ გამოყენებაზე უარის თქმის ხარჯი, რომლისთვისაც შეიძლება რესურსების გამოყენება. ეკონომიკური ხარჯი მოიცავს პროექტში ჩადებულ ისეთ რესურსებს, როგორცაა საჯარო მფლობელობაში არსებული კაპიტალური აქტივები, მაგალითად მიწა, შენობები, მოწყობილობები და მანქანები, რაც გამოიყენება პროექტისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ ხარჯი მოითხოვს ჩადებული რესურსების შეფასებას (ღირებულების დადგენას) მათი ალტერნატიული გამოყენების ხარჯების ჭრილში. ეს უკანასკნელი ხარჯი წარმოადგენს საუკეთესო ფასს, რაც შეიძლება მივიღოთ მათი ალტერნატიული გამოყენების გზით. სხვა სიტყვებით, ეს

წარმოადგენს პოტენციურ შესაძლებლობებს, რაც დაიკარგა გადაწყვეტილების მიღების შედეგად (პრობლემის მოგვარების გზის შერჩევით).

პირველი ნაბიჯი ხარჯისა და სარგებლის ანალიზისას არის **ფინანსური ანალიზი**, რომელიც მოიცავს: პროექტის **მომგებიანობასთან** დაკავშირებულ ყველა სარგებელსა და ხარჯს, როგორცაა მომახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები, კაპიტალური პროექტების ე.წ. 'სასიცოცხლო ციკლის' ხარჯები ანუ საოპერაციო/საექსპლუატაციო და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე საწყისი კაპიტალდაბანების ხარჯი და, საჭიროებიდან გამომდინარე, ჩანაცვლებითი ინვესტიციების ხარჯები. შემდეგი საფეხურია სხვა ხარჯებისა და სარგებლის დადგენა, რასაც წვლილი შეაქვს პროექტის **ეფექტიანობაში**. თითოეული მათგანი უნდა დაითვალოს და დაანგარიშდეს ფულა გამოსახულებაში.

<p>ხარჯისა და სარგებლის ფინანსური ანალიზი 'უყურებს' პროექტს მის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირის / საწარმოს ფინანსური ანგარიშებისა და ფინანსური ეფექტურობის გადმოსახედიდან.</p>	<p>ხარჯისა და სარგებლის ეკონომიკური ანალიზი 'უყურებს' პროექტს მთლიანად მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების გადმოსახედიდან და ითვალისწინებს სოციო-ეკონომიკურ ხარჯებსა და სარგებელს, რომელიც არ არის ასახული ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირის/საწარმოს ფინანსურ ანგარიშებში.</p>
--	--

მნიშვნელოვანი განსხვავებაა პროექტის წმინდა ფინანსურ ანალიზსა და ეკონომიკურ ანალიზს შორის. უკანასკნელი ითვალისწინებს არა მხოლოდ ფინანსურ „დინებას“ ინვესტორებისთვის (მაგ: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი), არამედ სხვა პირების ხარჯებსა და სარგებელსაც (ე.წ. **გარე ფაქტორები**), რომელიც პროექტის შედეგად იჩენს თავს. ეკონომიკური ხარჯებისა და სარგებლის დასაანგარიშებლად აუცილებელია **ალტერნატიული ღირებულების** (რესურსის ღირებულება თავისი საუკეთესო ალტერნატიული გამოყენების შემთხვევაში) გათვალისწინება. ამას გარდა, ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია საქონლისა და მომსახურების ნამდვილი ეკონომიკური ღირებულების შეფასება (**რესურსის ღირებულება**), რაც ხანდახან განსხვავდება ფინანსური „ხარჯისგან“. ფულადი ნაკადები შეიძლება მოიცავდეს საგადასახადო ან საბაჟო მოსაკრებელს, რაც არ გახლავთ ხარჯი

ეკონომიკისთვის, არამედ ამ შემთხვევაში ხდება თანხის გადადინება საზოგადოების ერთი ჯგუფიდან მეორისკენ.

ყველა სარგებელის და ხარჯის მიმდინარე ღირებულებებს შორის სხვაობას **წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV)** ეწოდება. დადებითი NPV მიუთითებს, რომ პროექტის საერთო საგებელი გადაწონის საერთოს ხარჯებს, მას შემდეგ, რაც განსხვავებულ წლებში მიღებული სარგებელი და ხარჯები გამოისახება ერთიანად დისკონტირების მეთოდის გამოყენებით.

NPV არის პროექტის ეკონომიური „სიცოცხლისუნარიანობის“ დადგენის ძირითადი კრიტერიუმი, როცა ყველა მატერიალური სარგებელ და ხარჯი შეფასებულია.

NPV-ის მათემატიკური განტოლებაა:

$$NPV = \sum_{t=0}^t \frac{(B_t - C_t)}{(1 + d)^t}$$

სადაც:

B = სარგებელი (ანუ ფულადი ნაკადი/დინება)

C = ხარჯი (ანუ ფულადი სახსრების გადინება)

B-C = წმინდა სარგებელი (ანუ წმინდა ფულადი ნაკადი)

t = დრო (გამოხატული წლებში).

d = დისკონტირების განაკვეთი.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ წაიკითხოთ: „საქართველოს საჯარო ინვესტიციების პროექტების წინასწარი შერჩევის, შეფასების, შერჩევისა და ბიუჯეტირების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“.

შესაძლებელია ეკონომიკური „სიცოცხლისუნარიანობის“ სხვა მაჩვენებლების დაანგარიშებაც, მაგრამ ზოგადად, ისინი უნდა მოვიაზროთ, როგორც მეორადი ან დამატებითი NPV-ისთან შედარებით.

ეკონომიკური შიდა უკუგების კოეფიციენტი (EIRR) არის დისკონტირების განაკვეთი, რომლის დროსაც კონკრეტული წლიური სარგებლის წმინდა მიმდინარე ღირებულება ნულის ტოლია (განაკვეთი, რომელიც ათანაბრებს დისკონტირებული ხარჯებისა და დისკონტირებული სარგებლის ჯამს). ზოგადად, თუ EIRR აღემატება დისკონტირების ოფიციალურ განაკვეთს პროექტი ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია / აზრიანია (NPV უნდა იყოს დადებითი).

სარგებლისა და ხარჯის თანაფარდობა (BCR) კიდევ ერთი გზაა გამოიხატოს ბალანსი სარგებლის მიმდინარე ღირებულებასა და ხარჯების მიმდინარე ღირებულებას შორის. ზოგადად, ეკონომიკურად ეფექტიანი პროექტების BCR უნდა იყოს 1-ზე მეტი.

$$BCR = \frac{\text{სარგებლის არსებულ ღირებულებათა ჯამი (ფულადი სახსრების შემოდინება)}}{\text{ხარჯების არსებულ ღირებულებათა ჯამი (ფულადი სახსრების გადინება)}}$$



პროექტი ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია თუ:

- NPV დადებითია (აღემატება ნულს)
- EIRR აღემატება დისკონტირებულ განაკვეთს
- BCR თანაფარდობა აღემატება ერთს.

ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი პროექტის შეფასების ყველაზე მოწინავე მეთოდია და საჭიროებს კონკრეტულ კომპეტენციასა და გამოცდილებას; აღნიშნულ ანალიზს ატარებენ პროფესიონალები და როგორც წესი მუნიციპალიტეტებს ამ საქმის შესრულება გააქვთ გარე კონტრაქტზე.

ხარჯისა და სარგებლის ანალიზი მუნიციპალიტეტის განვითარების პროექტების ფარგლებში

მუნიციპალიტეტში მიმდინარე განვითარების პროექტებისთვის ყველაზე რთულ ასპექტს სარგებლის განსაზღვრა წარმოადგენს. ამისთვის მუნიციპალიტეტმა, პირველ რიგში, პასუხი უნდა გასცეს შემდეგ ძირითად შეკითხვებს:

- რა სარგებელს მიიღებენ ინფრასტრუქტურის უშუალო მომხმარებლები? (განსაკუთრებით გამოვლენილ პრობლემასთან მიმართებით)
- სდევს თუ არა ხარჯი მომხმარებლებისთვის (გარე ხარჯები, რომელიც ტვირთად აწვევა პროექტის შედეგად შექმნილი ინფრასტრუქტურის პირდაპირი მომხმარებელს)?
- რა სარგებელი და/ან უარყოფითი გავლენა (დისკომფორტი) აღინიშნება სხვა ადამიანებისთვის (ვინც უშუალოდ არ სარგებლობს ინფრასტრუქტურით)?
- რით ჯობს მოცემული პროექტის სარგებელი სხვა ალტერნატივების პოტენციურ სარგებელს?

- რა ტიპური სარგებელია მოცემული სექტორისთვის (ტრანსპორტი, წყალმომარაგება, გარემოს დაცვა, სოციალური სექტორი და ა.შ.)?

- სხვა რა სარგებელი და ხარჯია მ.შ. არამატერიალური სარგებელი? მაგ: როგორ აისახება ინვესტიცია (დადებითად თუ უარყოფითად) სხვა სექტორებზე?

NPV არის საკვანძო კრიტერიუმი მუნიციპალური პროექტის ეკონომიკური 'სიცოცხლისუნარიანობის' განსასაზღვრად, როცა შესაძლებელია ყველა მატერიალური სარგებლისა და ხარჯის შეფასება. ზოგადად, უნდა შეირჩეს ყველაზე მაღალი NPV-ს მქონე პროექტი (ან იდეა) მისი განხორციელების მიზნით. თუმცა, საჯარო სექტორის მრავალი პროექტისთვის ეს შესაძლოა არ იყოს უმჯობესი ალტერნატივა თუ სხვა ალტერნატივებს აქვთ მნიშვნელოვნად არამატერიალური სარგებელი, რომლის შეფასებაც (ღირებულების დადგენა) შეუძლებელია.

მაგალითი:

გზაგამტარის მშენებლობა სარკინიგზო მაგისტრალის თავზე

მომხმარებლები (მძღოლები და ფეხით მოსიარულეები):

- **გაუმჯობესებული უსაფრთხოება** - უბედური შემთხვევების რაოდენობის კლება, იმის გამო, რომ ფეხით მოსიარულეები აღარ გადაკვეთენ შლაგბაუმებს.

- **დროის დაზოგვა მძღოლებისთვის** - ლოდინის დრო შლაგბაუმებთან პიკის საათებში შეადგენს დაახლოებით 23 წუთს.

არა-პირდაპირი მომხმარებლები:

- **გარემოს დაზინძურებისა და სათბურის გაზის ემისიების შემცირება, ასევე ხმაურის შემცირება**

- **ქალაქის მიმზიდველობის ზრდა ბიზნესებისათვის** - ინვესტიციებისათვის პოტენციურად მიმზიდველი ადგილების (რაოდენობის) ზრდა ქალაქში, ადგილობრივი ბიზნესების ეფექტურობის გაზრდა.

- **ქალაქის მიმზიდველობის ზრდა ტურისტებისათვის** - მის (ქალაქის) ტერიტორიაზე მგზავრობის ეფექტურობა ერთ-ერთი მთავარი ასპექტია, რომელიც გავლენას ახდენს ქალაქის აღქმაზე პოტენციური სტუმრების მიერ.

სხვა, არამატერიალური სარგებელი: გაუმჯობესებული მგზავრობის კომფორტი; მოქალაქეთა გაზრდილი კმაყოფილების დონე; გაზრდილი ცხოვრების დონე (კომფორტი).

დადგენილი სარგებლიდან უნდა ამოვარჩიოთ ისეთი სარგებელი, რომელიც CBA-ის დანიშნულებით, შეფასდება ფულადი ღირებულების თვალსაზრისით. უფრო დეტალური ანალიზი უნდა ჩატარდეს მონაცემთა შესაძლო წყაროების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს გარე სარგებელსა და ხარჯებს.


ქვემოთ მოცემულია ტიპური გარე ფაქტორები სატრანსპორტო პროექტებისთვის (*BlueBook Road Infrastructure-ის მიხედვით; Jaspers; 2015*):

- **მანქანის საოპერაციო ხარჯი:** საწვავის ხარჯი, სხვა ხარჯები, როგორცაა ზეთი, საბურავები, მანქანის მოვლა-პატრონობა და ასევე ცვეთა;
- **გზის ინფრასტრუქტურის მომხმარებლების დროსთან დაკავშირებული ხარჯები:** ბიზნესმენები, კომიუტერები, ტურისტები და ა.შ.
- **უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები:** ავტოსაგზაო შემთხვევებისას გარდაცვლილ პირებთან დაკავშირებული ხარჯები, ავტოსაგზაო შემთხვევებში დაზარალებული პირების ხარჯები, ავტოსაგზაო შემთხვევებში სერიოზულად დაზარალებული პირების ხარჯები და მატერიალურ ზიანთან დაკავშირებული ხარჯები (გაწეული უბედური შემთხვევებისა და / ან ფატალური შემთხვევების დროს);
- **ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული ხარჯები:** აქვს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე (გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებები, გამოწვეული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებებით), მატერიალური დანაკარგები, ეკოლოგიური ზიანი (ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებზე);
- **კლიმატური ცვლილებები:** სათბურის გაზების ზემოქმედება, რაც გამოიხატება CO₂-ის ეკვივალენტით (სათბურის აირების გაფრქვევის ერთეულის ეკონომიკური ხარჯი ანუ CO₂-ის ეკვივალენტი, რაც დამოკიდებულია საწვავის მოხმარებაზე და აქედან გამომდინარე სიჩქარეზე, ავტომანქანის კატეგორიაზე და ასევე გზის საფარის მდგომარეობასა და გზის გეომეტრიაზე);

- ხმაურთან დაკავშირებული ხარჯები (პროექტის შედეგად ხმაურის კლების ან მატების ხარჯი და სარგებელი): ხარჯები დაკავშირებული არასასურველი ინტენსივობისა და ხანგრძლივობის ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებასთან, რომელიც ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებს ადამიანებს.

ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზი

ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზი ხარჯისა და სარგებლის ანალიზის მსგავსია, მაგრამ ის არ მოიცავს ფულადი ღირებულების მიკუთვნებას პროექტის ძირითადი სარგებლის კომპონენტებზე. ამის ნაცვლად, სარგებელი გამოხატულია ფიზიკურ ერთეულებში და არა ფულად განზომილებაში. ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზი ადარებს იგივე შედეგისა თუ გამოსავლის ალტერნატიული მიღწევის გზების ხარჯებს. შედეგები შეიძლება გამოისახოს, როგორც ხარჯი (ლარში) ერთ ერთეულზე. ხარჯისა და სარგებლის ანალიზის მსგავსად, ხდება პროექტის სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული ხარჯების დისკონტირება პროექტის მიმდინარე ღირებულებისა და წმინდა მიმდინარე ხარჯის მისაღებად ⁵.



სურათი 11: პროექტის სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული ხარჯების მაგალითი - ვარიანტების ანალიზი

ერთეულის ხარჯის დაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

⁵ „საქართველოს საჯარო ინვესტიციების პროექტების წინასწარი შერჩევის, შეფასების, შერჩევისა და ბიუჯეტირების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ შესაბამისად: “PIM-ის სახელმძღვანელოს მიხედვით დისკონტირების ჩვეული განაკვეთი უნდა გამოვიყენოთ ყველა ეკონომიკური პირისთვის საინვესტიციო პროექტების ანალიზისას ყველა სამთავრობო სექტორში (ცენტრალური და ადგილობრივი), რათა გავამარტივოთ პროექტების თანმიმდევრული შედარება. სამთავრობო სექტორის ყველა სამინისტრომ და დეპარტამენტმა უნდა გამოიყენოს დისკონტირების 5.0%-იანი განაკვეთი ევროპის კომისიის მითითების დაცვით და მგრძობელობის სათანადო ტესტირებით ამ განაკვეთს ორივე მხარეს მაგ: 4.0% და 6.0%-ზე.


$$DGC = \frac{\sum_{t=0}^T \frac{LCC_t}{(1+d)^t}}{\sum_{t=0}^T \frac{O_t}{(1+d)^t}}$$

LCC_t - პროექტის სასიცოცხლო ციკლის ხარჯები მოცემულ დროს (t)
 O_t - პროექტის შედეგი/გამოსავალი მოცემულ დროს (t)
 d - დისკონტირების განაკვეთი (ევროკომიის მიერ წვერი ქვეყნებისა და ევროკავშირის რეგიონებისთვის რეკომენდებულია 5%).

აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია დავიანგარიშოთ თუ რა ჯდება 1 მ³ საკანალიზაციო წლის გაწმენდა ან საბავშვო ბაღში ერთ ბავშვის მოვლა 1 წლის მანძილზე.

თუმცა, აღნიშნულ მეთოდს ვერ გამოვიყენებთ სხვადასხვა სექტორის პროექტების შესადარებლად (მაგ: წყალმომარაგება და გზები, კულტურა და განათლება). აქედან გამომდინარე, ხარჯთ-ეფექტურობის მეთოდი განსაკუთრებით ღირებულია სხვადასხვა ვარიანტების შესაფასებლად ერთი პროექტის ან ერთი სექტორის ფარგლებში.

საპროექტო წინადადებების მომზადების და მათი შეფასების პროცესი აღწერილია სქემაში:



სურათი 12: საპროექტო წინადადების მომზადების სქემა

სიტუაციური ამოცანა: წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის როლი კასპის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მაგალითზე


ქალაქი კასპი შიდა ქართლის რეგიონში მდებარეობს. აღმოსავლეთ-დასავლეთ მიმართულებით მუნიციპალიტეტს კვეთს მთავარი გზა (ავტობანი) და სარკინიგზო მაგისტრალი 4 სადგურით. ქალაქს გააჩნია ფართე წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელი, რომელსაც ყოფს მდ. ლეხურა. ადრე კასპში



სურათი 1: ძველი გამწმენდი ნაგებობის ნაგრევები

ფუნქციონირებდა, 1978 წელს აშენებული, მექანიკური გამწმენდი ნაგებობა. ობიექტი მდებარეობდა ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდინარე მტკვართან ახლოს. 2000 წელს იყო გეგმა მომხდარიყო გაფართოება და აშენებულიყო ობიექტის ბიოლოგიური დამუშავების ნაწილი, მაგრამ მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო (ეკონომიკის კოლაფსი) აღნიშნული გეგმა ვერ განხორციელდა. შედეგად მთლიანად გაჩერდა ობიექტის ექსპლუატაცია. ამჟამად საკანალიზაციო წყლები პირდაპირ მდინარეში ჩაედინება. მუნიციპალიტეტს განზრახული აქვს ორი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა:

- ერთის აშენება ძველი ნაგებობის (WWTP1) ადგილზე და
- და მეორის (WWTP2) ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდინარე მტკვართან ახლოს.



სურათი 13: კაპიტალური ხარჯი კასპის CIP-ში (ძირითადი კატეგორიები ათას ლარში)

მიწა ორივე ადგილას მუნიციპალიტეტის მფლობელობაშია და როგორც ჩანს საკმარისი სივრცეა გამწმენდი ნაგებობების ასაშენებლად. მიმდებარე


ტერიტორიებზე ამ ეტაპისთვის არ არის შენობები. ორივე ადგილმდებარეობა

კარგია: მოშორებულია საცხოვრებელი უბნებისგან, მდებარეობს მდინარესთან და ახლოსაა ინდუსტრიულ ზონასთან და ამავდროულად ობიექტებთან, რომლებიც დიდი ოდენობით საკანალიზაციო წყლებს გამოყოფენ. ორ ადგილმდებარეობას შორის დაახლოებით 3.5 კილომეტრია და WWTP2 მდებარეობს WWTP1-ზე მაღლა (509 და 518,14 მეტრის სხვაობა). როგორც ჩანს მარტივია მთელი საკანალიზაციო წყლის მიწოდება მხოლოდ ერთ ობიექტზე (WWTP1), მაგრამ ამისთვის საჭიროა ქსლის სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირება. ამ ეტაპისთვის ძირითადი შეკითხვებია:

- რა სიმძლავრის ობიექტი(ები) არის საჭირო?
- მიახლოებითი ხარჯები?

- უნდა აშენდეს ერთი გამწმენდი ნაგებობა მთლიანად ქალაქისთვის თუ ორი ქალაქის თითოეული ნაწილისთვის?

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ადგილობრივი ოფისის მონაცემებსა და რიგ ვარაუდებზე დაყრდნობით წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევით დადგინდა, რომ გამწმენდ ნაგებობაში შესული საკანალიზაციო წყლის მოცულობამ შესაძლოა მიაღწიოს



სურათი 14: 1-ლი ვარიანტის სასიცოცხლო ციკლის ხარჯი (მხოლოდ 1 WWTP-ის აშენება) ლარებში (ათასი)



1.7 მ.მ³-ს/წელიწადში. ობიექტის სიმძლავრედ შეფასდა 2.1 მ.მ³/წელიწადში. ქალაქმა გაითვალისწინა გარკვეული თანხა 2021 წლის სამოქმედო გეგმაში (იხ. სურათი). თუმცა, ანალიზმა აჩვენა, რომ ეს არ არის საკმარისი კაპიტალური ხარჯის დასაფარად. მიახლოებითმა ხარჯთაღრიცხვამ „ბენჩმარკინგის“ მეთოდზე დაყრდნობით, აჩვენა, რომ ხარჯმა შესაძლოა მიაღწიოს 8-10 მილიონ ლარს. ეს არის მიმანიშნებელი ქალაქისთვის იმის შესახებ, რომ მათ უნდა შეეცვალონ სამოქმედო გეგმა ან მოიძიონ დაფინანსების გარე წყაროები.

ამას გარდა, ფინანსური პროგნოზები მიუთითებს იმაზე, რომ სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული ხარჯების დაბალი იქნება მხოლოდ ერთი გამწმენდი ნაგებობის აშენების შემთხვევაში. 1 მ³ საკანალიზაციო წყლის გაწმენდის ერთეულის ხარჯი შეადგენს 0.96 თეთრს, განსხვავებით მეორე ვარიანტის 2 ლართან.

4. პროექტის შერჩევა და ბიუჯეტირება

4.1. CIP-ის სამუშაო/წინასწარი ვერსია

ხელმისაწვდომი სახსრები საინვესტიციო პროექტებისთვის



წარმოადგენს თანხას, რომელიც შედის მუნიციპალიტეტში საოპერაციო საქმიანობის შედეგად. ნამატს პლიუს კაპიტალური შემოსავლები (ძირითადად მუნიციპალური აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი) ქმნის ე.წ. მთლიან საოპერაციო ბალანსს. აღნიშნულიდან მუნიციპალიტეტმა უნდა დაფაროს ვალები, ხოლო დანარჩენი მოიხსენიება, როგორც წმინდა საოპერაციო ბალანსი. ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობის გასაზრდელად მუნიციპალიტეტს შეუძლია შეიტანოს განაცხადი გრანტებზე ან მოიზიდოს ახალი სესხი.

მთლიანი საოპერაციო ბალანსი წარმოადგენს ბიუჯეტის ნაწილს, რომლითაც შეგვიძლია ინვესტიციების დაფინანსება მუნიციპალიტეტის სახსრებით და არსებული სესხის დაფარვა (პროცენტი + ძირი თანა). მთლიანი საოპერაციო ბალანსის ზომა და მისი წილი მუნიციპალიტეტის შემოსავლებში განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას/პოზიციას. რაც უფრო დიდია ბალანსი და მაღალია მისი

წილი მუნიციპალიტეტის შემოსავლებში, მით უკეთესია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობა.

ამას გარდა, კაპიტალური ინვესტიციებისთვის განკუთვნილია გარკვეული სახსრები გარე წყაროებიდან (ე.წ. კაპიტალური ტრანსფერები). როგორც წესი ესენია გრანტები, იშვიათად სესხები⁶. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების უმეტესობა მეტწილად დამოკიდებულია გრანტებზე. ამ შემთხვევაში მთავარ როლს თამაშობს რეგიონული ფონდი (რეგ. ფონდი), რომელმაც გასულ წლებში დააფინანსა მუნიციპალური პროექტების დიდი ნაწილი, მაგრამ გარკვეულ მუნიციპალიტეტებში დაფინანსება გასცა ასევე მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდმა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორებმა იციან, რომ წინასწარი CIP (რისი გაკეთება გვინდა!) შესაძლოა განსხვავდებოდეს შესწორებული CIP-ისგან (რისი გაკეთება შეგვიძლია, ფინანსების ხელმისაწვდომობიდან და თანადაფინანსების წყაროებიდან გამომდინარე). შესწორებულ CIP-ში გასათვალისწინებელია ფინანსური შესაძლებლობები.

რამდენი ფული უნდა დავხარჯოთ ინვესტიციებზე?

ამ შეკითხვაზე სწორი პასუხი არ არსებობს. თითოეულ მუნიციპალიტეტში კაპიტალური ინვესტიციების დონე მორგებული უნდა იყოს საჭიროებებზე და მუნიციპალური ბიუჯეტის შესაძლებლობებზე. ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს სურთ რაც შეიძლება მეტი ინვესტირება საზოგადოების საჭიროებების ან კომუნალური აქტივების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამას გარდა, კაპიტალური ხარჯების დონე განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, რომელიც საქართველოს ორგანულ კანონს წარმოადგენს. აღნიშნული კანონი ადგენს არა-ფინანსური აქტივების ზრდის მინიმუმს (მუხლი 155) და აცხადებს, რომ „საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი არა-ფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი იმავე საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო გადასახდელების საერთო მოცულობაში არ უნდა იყოს დასაგეგმი წლის წინა 3 წლის ანალოგიურ წლიურ

⁶ სესხების გამოყენება/ათვისება არ ექვევება წინამდებარე სახელმძღვანელოს განხილვის საგანში, ვინაიდან საქართველოს მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ აქვს ან შეზღუდულად აქვს წვდომა ფინანსურ ბაზრებთან.

საშუალო მაჩვენებელზე ნაკლები. ამ შემთხვევაში არ გაითვალისწინება მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების სახით მიღებული/მისაღები ფინანსური სახსრები“.

პროექტების რანჟირება და ხელმისაწვდომი სახსრების საწყისი გამოყოფა

პასუხ გასაცემია შეკითხვა თუ რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მუნიციპალიტეტმა (i) შექმნას სახსრების ერთიანი ფონდი ინვესტიციებისთვის (და შეადაროს ყველა ტიპის პროექტი შეფასების ერთი პროცესის ფარგლებში) თუ (ii) დაყოს ხელმისაწვდომი



სახსრები რამდენიმე პროგრამად (მაგ: გზები, წყალმომარაგება, სოციალური ინფრასტრუქტურა) და შემდეგ თითოეული პროგრამისთვის დაწესებული ლიმიტის ფარგლებში შეარჩიოს საუკეთესო ინვესტიციები.

გასათვალისწინებელი ვარიანტები: სახსრების ერთიანი ფონდი ყველა ინვესტიციისთვის თუ ცალკეული პროგრამები (და ბიუჯეტები) სხვადასხვა სექტორისთვის.

ორივე ალტერნატივას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე. პირველი მიდგომის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ოფიციალურ პირებს მოქნილობის მეტი შესაძლებლობა ეძლევათ გადაანაწილონ რესურსი ერთი სექტორიდან მეორეში. მეორეს მხრივ, სხვადასხვა ტიპის პროექტი

ერთმანეთის კონკურენტია საჭირო სახსრების მიღების კუთხით და მსგავს სიტუაციებში ყოველთვის რთულია პროექტების შედარება. მეორე მიდგომისას მუნიციპალიტეტს შეუძლია ქულებით შეფასების სისტემის შემოღება, რომელიც მორგებული იქნება თითოეულ სექტორზე. თანხის გარკვეული ოდენობის თითოეული სექტორისთვის/პროგრამისთვის გამოყოფა უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს არცერთი სექტორის უგულვებელყოფა.

პირველი მოდელი, მე-7 დანართში მოცემულ მაგალითზე დაყრდნობით, ამოღებულია ხმარებიდან. ჩვენ წარმოგიდგინეთ რესურსების დადგენილი ლიმიტის შესადარებლად საჭირო საფეხურები, რაც მოიცავს პროექტების რანჟირებას მათი შეფასების შედეგად. რეკომენდებულია, რომ კაპიტალური საინვესტიციო გეგმის პირველ (წინასწარ) ვერსიაში შევიდეს უმაღლესი ქულების მქონე ყველა პროექტი მათ მიერ გარე დაფინანსების მოზიდვის შანსების მიუხედავად. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ

ხშირად არსებობს ფაქტორები, რომლებიც არ არის ასახული ქულებით შეფასების სისტემაში, მაგრამ მათი გათვალისწინება მაინც ხდება პოლიტიკოსების მიერ.

პროექტების ქულებით შეფასების სისტემის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ქულებით შეფასების შემდეგ მიღებული მაქსიმალური ქულა არ უნდა იყოს საბოლოო რეკომენდაციისა და გადაწყვეტილების მთავარი საფუძველი, რაც საბოლოოდ მიიღება მთავრობის ან საკრებულოს მიერ.



4.2. განაცხადის შეტანა გარე დაფინანსებაზე და ბიუჯეტირება (ნაბიჯი 7)

CIP-ის წინასწარ ვერსიაში მუნიციპალიტეტმა უნდა შეიტანოს ყველაზე მაღალი ქულების მქონე პროექტები და პროექტები, რომლებსაც შეუძლიათ წვლილის შეტანა მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

საქართველოს რეალობაში საქმეს კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ინვესტიციების მსხვილი წილი ფინანსდება არა საკუთარი სახსრებით ან ადგილობრივი შემოსულობებით, არამედ გარე წყაროებიდან, ძირითადად გრანტების სახით, რომელიც მოდის რეგ. ფონდიდან (RDF- რეგიონული განვითარების ფონდი) და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან. აღნიშნული გრანტები იყოფა სხვადასხვა პროგრამებში (მაგალითად გრანტები საბინაო ფონდში ინვესტირებისთვის, ინვესტიციები გარემოს დაცვის კუთხით და ა.შ.), რომლებიც ექვემდებარებიან კონკრეტულ პირობებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ჩვენს მიერ რანჟირებული პროექტებისთვის არ გვქონდეს გარე დაფინანსების ხელმისაწვდომი წყარო. შესაბამისად, პროექტების რანჟირებას ვერ მივიჩნევთ კაპიტალური საინვესტიციო გეგმის ერთადერთ საფუძვლად. „პირველი N რაოდენობა პროექტების რანჟირების“ ნაცვლად ჩვენ უნდა შევადაროთ ჩვენი რანჟირების სისტემა სხვადასხვა სამთავრობო (ან სხვა) პროგრამების გრანტების გამოყოფის კრიტერიუმებს. რანჟირების სიაში არსებული თითოეული პროექტისთვის უნდა დავაკონკრეტოთ იმ პროგრამის კრიტერიუმები, რომელსაც ის აკმაყოფილებს და შემდეგ თითოეული პროგრამის (მაგ:

გრანტის) მიხედვით გადავხედოთ დასაშვებ პროექტებს და ვნახოთ თუ რომელს უკავია ყველაზე მაღალი ადგილი რანჟირებულ ჩამონათვალში.

აშკარაა, რომ მუნიციპალიტეტის მიზანია მაქსიმალურად აითვისოს ხელმისაწვდომი გარე დაფინანსება. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა სპეციალიზირებული დონორი ორგანიზაციებისგან (მაგ: მგვ ან მსოფლიო ბანკი) შეიძლება მიიღონ სესხი. აღნიშნული ორგანიზაციები კი შესაძლოა ემსახურობოდნენ მხოლოდ კონკრეტული ტიპის პროექტების დაფინანსებას. აქედან გამომდინარე დაფინანსება შეიძლება მიუწვდომელი იყოს CIP-ის წინასწარ ვერსიაში მოცემული ყველა ან თუნდაც მაღალი პრიორიტეტულობის მქონე პროექტებისთვისაც. ამის მიუხედავად, მსგავსი ორგანიზაციები შეიძლება დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცეს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის. თუმცა, გარე დაფინანსების მოზიდვა არ უნდა იყოს თვითმიზანი, ვინაიდან საბოლოოდ მაინც მნიშვნელოვანია ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც საუკეთესოდ ასახავს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს. პროექტები, რომლებისთვისაც მუნიციპალიტეტი შეიტანს განაცხადს გარე დაფინანსებაზე, მოითხოვს უფრო საგულდაგულო და დეტალურ მომზადებას („შეფუთვას“) სპონსორისთვის წარსადგენად, ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით დაფინანსების შემთხვევაში. გასათვალისწინებელია, რომ პროექტის CIP-ში შეტანის შემდეგ, საჭირო გახდება მეორე, უფრო სიღრმისეული შეფასება და დამატებითი დოკუმენტაციის მომზადება (მაგ: ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, საგრანტო განაცხადის შევსება და ა.შ.).

დაფინანსების შესაძლებლობების ძიება და განაცხადების შეტანა გარე წყაროებთან თანამედროვე თვითმმართველობის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მოწოდებულია, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტში სათანადოდ გადამზადებული და შესაფერისი უნარების მქონე პირი (ან პატარა ერთეული) იყოს პასუხისმგებელი აღნიშნულ საქმიანობაზე.




4.3. შესწორებული CIP

პროექტების ბიუჯეტირების შემდეგ, კაპიტალურ საინვესტიციო გეგმაში უნდა შევიდეს შემოთავაზებული პროექტების სია ყველა ხარჯის დასაფარი დაფინანსების წყაროების

მითითებით. მუნიციპალიტეტის მიერ დასაფინანსებელი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური დეპარტამენტის მიერ დადგენილ ლიმიტს. შესწორებული CIP შესაძლოა განსხვავდებოდეს საწყისი ვერსიისგან, ისევე როგორც პროექტები.


4.4. მუნიციპალური ბიუჯეტის მიღება და დამტკიცებული CIP (ნაბიჯი 8)



უნდა დამტკიცდეს ადგილობრივი მთავრობის საკანონმდებლო ორგანოების მიერ - ჯერ მთავრობა, შემდეგ შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო. ბიუჯეტი ყოველთვის პოლიტიკური დოკუმენტია და აღნიშნულ ორგანოებს, არჩევნებით მინიჭებული დემოკრატიული ლეგიტიმურობიდან გამომდინარე, უფლება აქვთ შეიტანონ ნებისმიერი სახის ცვლილება CIP გუნდის მიერ წარდგენილ რეკომენდაციებში. თუმცა, რაც უფრო გამჭვირვალეა მომზადების პროცესი და რაც უფრო კარგადაა დასაბუთებული ჩვენი არჩევანი, მით უფრო ნაკლებია ალბათობა (ან პოლიტიკურად რთულია) იმისა, რომ შევიდეს ცვლილებები, რომელიც არ დაემყარება საზოგადოებისთვის პოტენციური სარგებლის საფუძვლიან ანალიზს. ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის უფრო რთულია ახალი პროექტის შემოთავაზება პროგრამისთვის, თუ წინასწარი ვერსია კარგად არგუმენტირებულია და ეფუძნება ნათელ და მიღებულ კრიტერიუმებს.

5. კაპიტალური საინვესტიციო გეგმის განახლება

კაპიტალური საინვესტიციო გეგმის დამტკიცების შემდეგ საჭიროა მისი განახლება და ახალი ვერსიის მომზადება მომდევნო წელს. ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე ნაჩვენებია იდეა ამ განახლების უკან.



სურათი 15: კაპიტალური საინვესტიციო გეგმის განახლების სქემა

CIP-ის დამტკიცება პირველი წლის ბოლოს ამავდროულად არის მომენტი, როცა მუნიციპალიტეტი იწყებს CIP-ის ახალ ვერსიაზე მუშაობას. ვინაიდან ეს „მცოცავი“ გეგმაა, CIP-ის პერიოდი ინაცვლებს წლიდან წლამდე. პროექტის სკრინინგისა და წინასწარი შერჩევის, შეფასების, ამორჩევისა და ბიუჯეტირების სრული პროცესი იწყება თავიდან. კაპიტალური საინვესტიციო გეგმის მომზადების ფორმალური პროცედურა უკვე უნდა არსებობდეს მუნიციპალიტეტში. თუმცა, პროცედურის გაძლიერებაზე შერჩეულ პერსონალს უნდა შეეძლოს საჭირო ცვლილებების შეტანა საინვესტიციო პროექტების შერჩევისა და დამტკიცების პროცესში.

ამასობაში მოხდება CIP-ის პირველ გამოცემაში შეტანილი პროექტების განხორციელება, რაც ნიშნავს იმას, რომ მეორე წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას მოუწევს გეგმის ორ გამოცემასთან შეხება - საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს არსებულ ვერსიაში (მაგ: კონკრეტული პროექტების მაჩვენებლების

კორექტირება), და მოამზადებს ახალს. CIP-ის ახალი ვერსიის დამტკიცების შემდეგ ძველი დაკარგავს ძალას.

CIP პროცესი კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც საჭიროებს ჩართულობას თითქმის 12-ვე თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ენთუზიაზმისა და ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერის შენარჩუნება საქმის ბოლომდე მისაყვანად. შედეგები ხილვადი გახდება განხორციელების დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში.

6. დასკვნები

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვას მრავალი სარგებელი აქვს, რაც აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოში. აღნიშნულ სარგებელს შორის გამოსაყოფია შემდეგი:

- **სათემო საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილება** - უკეთ მომზადებული პროექტები (უკეთესი შერჩევა, დოკუმენტაციის კარგი ხარისხი, საჭიროებების შესაბამისი პროექტები), რაც ხელს უწყობს სათემო საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას.
- **CIP ხელს უწყობს მიმართვას დაფინანსების გარე წყაროებთან** - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული პროექტები შეიძლება წარედგინოს საერთაშორისო დონორებს თანადაფინანსებისთვის.
- **მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია მოსახლეობაში** - CIP, როგორც დოკუმენტი წარმოადგენს თანამდებობის პირთა ხედვასა და განზრახვებს მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ის არის ე.წ. PR-ის საშუალება.
- **მუნიციპალიტეტის წარდგენა კერძო ინვესტორებისთვის** - კერძო ბიზნესები გაიგებენ მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვას და გაეცნობიან მუნიციპალიტეტისა და მისი მიმართველობის საინვესტიციო პრიორიტეტებს.
- **CIP გახლავთ ინსტრუმენტი განვითარების სტრატეგიის (და პრიორიტეტების) განხორციელებისთვის** - ვერცერთი სტრატეგია განხორციელდება სათანადო სახსრების გარეშე. თანხების გამოყოფა სტრატეგიის ხელშემწყობი კაპიტალური ინვესტიციებისთვის წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ მუნიციპალიტეტი სერიოზულად უდგება თავისი პრიორიტეტების მიღწევის საკითხს.

კაპიტალური საინვესტიციო დაგეგმვა დანართები





დანართი 1: პროექტის კონცეფციის ბარათის ნიმუში

შესატანი ინფორმაცია	დონე 1 პროექტის კონცეფცია	დონე 2 პროექტის კონცეფცია	დონე 3 პროექტის კონცეფცია
A. ადმინისტრაციული ინფორმაცია			
1. პროექტის დასახელება			
2. პროექტის წარმდგენი ეკონომიკური უწყება/პირი			
3. პროექტზე პასუხისმგებელი უფროსი თანამდებობის პირი ეკონომიკურ უწყებაში			
4. პროექტსა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დაქვემდებარებული პირი/უწყება (თუ განსხვავდება პასუხისმგებელი პირისგან/უწყებისგან)			
5. პირი დაქვემდებარებულ უწყებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში)			
6. პროექტი ახალია თუ მიმდინარე	გთხოვთ მიუთითოთ პროექტი ახალია თუ მიმდინარე	გთხოვთ მიუთითოთ პროექტი ახალია თუ მიმდინარე	გთხოვთ მიუთითოთ პროექტი ახალია თუ მიმდინარე
B. პროექტის დასაბუთება/რაციონალურობა და საჭიროების შეფასება			
7. აღწერეთ კონკრეტული პრობლემა, რომლის გადაჭრისკენაც მიმართულია პროექტი და ამ პრობლემის სიმწვავე/სიმძიმე.	<p>სად არის პრობლემის ადგილმდებარეობა (უბანი, ქუჩა, ტერიტორია, შენობა და ა.შ.)?</p> <p>უშუალოდ ვის აწუხებს აღნიშნული პრობლემა (ადამიანთა ჯგუფი, მოქალაქეები და ა.შ.)?</p> <p>რამდენი ხანია არსებობს აღნიშნული პრობლემა?</p> <p>რა არის პრობლემით გამოწვეული შედეგები და მძიმე გამოსავალი?</p>	მიუთითეთ რა განაპირობებს პრობლემის სიმძიმეს/ აქტუალურობას (მომსახურებაზე მაღალი მოთხოვნა - მეტი მომხმარებელი დაბალი მწარმოებლურობის ფონზე, მოთხოვნა ახალი ტიპის მომსახურებაზე, ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობა და ა.შ.)?	მიუთითეთ რა განაპირობებს პრობლემის სიმძიმეს/ აქტუალურობას (მომსახურებაზე მაღალი მოთხოვნა - მეტი მომხმარებელი დაბალი მწარმოებლურობის ფონზე, მოთხოვნა ახალი ტიპის მომსახურებაზე, ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობა და ა.შ.)?
8. ახსენით თუ როგორ შეამსუბუქებს პროექტი აღნიშნულ პრობლემას.	<p>რას ვთავაზობთ პრობლემის მოსაგვარებლად?</p> <p>რატომ ვთავაზობთ აღწერილ გზას/გამოსავალს (როგორ შეძლებს თქვენს მიერ</p>	<p>წინა დონეზე მოცემულ ინფორმაციაზე დამატებით:</p> <p>ინფორმაცია შესაძლო ალტერნატიული</p>	<p>იგივე ინფორმაცია რაც მოცემული იყო წინა დონეზე:</p> <p>ინფორმაცია შესაძლო ალტერნატიული გზების</p>

შესატანი ინფორმაცია	დონე 1 პროექტის კონცეფცია	დონე 2 პროექტის კონცეფცია	დონე 3 პროექტის კონცეფცია
	შემოთავაზებული მიდგომა გამოვლენილი პრობლემის შემცირებას?	გზების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა. რეკომენდებული ალტერნატივა, რომელიც საჭიროებს უფრო დეტალურ ანალიზს.	შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა. რეკომენდებული ალტერნატივა, რომელიც საჭიროებს უფრო დეტალურ ანალიზს.
9. მიუთითეთ კონკრეტული სამიზნე ჯგუფი , რომელიც მიიღებს სარგებელს აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად.	ვინ იქნება პროექტის უშუალო მომხმარებელი/ბენეფიციარი(მაგ ხოვრებელთა რომელი ჯგუფი)?	დამატებითი ინფორმაცია სხვა ბენეფიციარებზე (მაგ: მცხოვრებელთა რაოდენობა), მ.შ. არაპირდაპირ ბენეფიციარებზე.	დამატებითი ინფორმაცია სხვა ბენეფიციარებზე (მაგ: მცხოვრებელთა რაოდენობა), მ.შ. არაპირდაპირ ბენეფიციარებზე.
10. მიუთითეთ დაახლოებით რამდენი საბოლოო მომხმარებელი ეყოლება პროექტის შედეგად შექმნილ მომსახურებას. დააკონკრეტეთ საზომი ერთეული (მაგ: ადამიანები, ოჯახები, ბიზნესები).	/	/	წინა პუნქტში გათვალისწინებული ინფორმაციის დამატებით. დაიანგარიშეთ ინფრასტრუქტურის მომხმარებელთა შესაძლო ან პროგნოზირებული რაოდენობა (დაყავით არსებულ და ახალ მომხმარებლებად)
11. პროექტის უკუგდების შედეგები.	რა „დაგვიჯდება“ პროექტის უკუგდება (ანუ სარემონტო სამუშაოების ხარჯი)? ეს ინფორმაცია შეიძლება შეიტანოთ აღწერის სახით .	რა „დაგვიჯდება“ პროექტის უკუგდება (ანუ სარემონტო სამუშაოების ხარჯი)? ეს ინფორმაცია შეიძლება შეიტანოთ აღწერის სახით .	რა „დაგვიჯდება“ პროექტის უკუგდება (ანუ სარემონტო სამუშაოების ხარჯი)? ეს ინფორმაცია შეიძლება შეიტანოთ აღწერის სახით .
12. სამუშაოების მასშტაბი.	აღწერეთ პროექტის სამუშაოების პროგნოზირებული მასშტაბი (ანუ დაგეგმილი ღონისძიებები).	აღწერეთ პროექტის სამუშაოების პროგნოზირებული მასშტაბი და თუ საჭიროა დამატებითი შემდეგ: 1. პროექტის მომზადება (კონცეპტუალური დიზაინი, სამშენებლო დიზაინი, დამატებითი ანალიზი და კვლევები, საჭიროებისდა მიხედვით, მაგ: გეოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა);	წინაზე დონისთვის მოცემულ ინფორმაციაზე დამატებით: დააკონკრეტეთ შემოთავაზებული ობიექტების მიახლოებითი ფიზიკური მწარმოებლურობა/სიმძლავრე და მიუთითეთ საზომი ერთეული, მაგ: კუბური მეტრი წყალი/დღეში, მანქანები/დღეში, მომხმარებელი/დღეში, მ ² /გამოუყენებელი ფართის.

შესატანი ინფორმაცია	დონე 1 პროექტის კონცეფცია	დონე 2 პროექტის კონცეფცია	დონე 3 პროექტის კონცეფცია
		2. მიწის შესყიდვა (საჭიროებიდან გამომდინარე); 3. სამშენებლო სამუშაოები; 4. მოწყობილობების შესყიდვა.	
13. კავშირი სხვა ინვესტიციებთან.	მიუთითეთ კავშირი სხვა დაგეგმილ ან საჭირო ინვესტიციებთან. მიუთითეთ კავშირი სივრცით გეგმებთან (საჭიროებიდან გამომდინარე)	მიუთითეთ კავშირი სხვა დაგეგმილ ან საჭირო ინვესტიციებთან. მიუთითეთ კავშირი სივრცით გეგმებთან (საჭიროებიდან გამომდინარე)	მიუთითეთ კავშირი სხვა დაგეგმილ ან საჭირო ინვესტიციებთან. მიუთითეთ კავშირი სივრცით გეგმებთან (საჭიროებიდან გამომდინარე)
C. პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი			
14. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სხვადასხვა ტიპის სარგებელი: - სოციალური (ჯანდაცვა, სიცოცხლის ხარისხი, სიღარიბე, უსაფრთხოება და ა.შ.); - ეკონომიკური (შრომის ბაზარი, ეკონომიკური განვითარება, უძრავი ქონების ბაზარი, ტურიზმი და ა.შ.); - კულტურული მემკვიდრეობა.	მიუთითეთ პროექტის განხორციელების მთავარი სარგებელი.	მიუთითეთ სარგებელი და ხარჯი უშუალო მომხმარებლებისთვის და პროექტთან დაკავშირებული სხვა სარგებელი და ხარჯი, მ.შ. არამატერიალური სარგებელი და ხარჯი.	წინაზე დონისთვის მოცემულ ინფორმაციაზე დამატებით: მიუთითეთ პროექტის დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებები , რომელთა შეფასებაც რთული იქნება.
15. ზემოქმედება გარემოზე - გამონახობა, ენერჯო მოხმარება, - წყლის მოხმარება, ნარჩენები და ა.შ.	დაადგინეთ პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული მთავარი ეკოლოგიური ზემოქმედებები.	დაადგინეთ პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული მთავარი ეკოლოგიური ზემოქმედებები.	აღწერეთ პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული მთავარი ეკოლოგიური ზემოქმედებები.
D. პროექტის თანხვედრა სტრატეგიულ მიზნებთან			
16. აღწერეთ თუ როგორ შეიტანს პროექტი წვლილს სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.	მიუთითეთ შესაბამისი სტრატეგიული მიზნები და საოპერაციო პროგრამები, იმ შემთხვევაში თუ პროექტს შეაქვს წვლილი მათ განხორციელებაში.	მიუთითეთ შესაბამისი სტრატეგიული მიზნები და საოპერაციო პროგრამები, იმ შემთხვევაში თუ პროექტს შეაქვს წვლილი მათ განხორციელებაში.	აღწერეთ თუ როგორ შეუწყობს ხელს პროექტი სტრატეგიული მიზნების და/ან საოპერაციო პროგრამების განხორციელებას.

შესატანი ინფორმაცია	დონე 1 პროექტის კონცეფცია	დონე 2 პროექტის კონცეფცია	დონე 3 პროექტის კონცეფცია
17. ესადაგება თუ არა პროექტი მომდევნო წლის პროგრამულ ბიუჯეტებს.	მიუთითეთ ბიუჯეტში გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამა.	მიუთითეთ ბიუჯეტში გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამა.	მიუთითეთ ბიუჯეტში გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამა.
E. ხელმისაწვდომობა			
18. ზეგავლენა ბიუჯეტზე	მიუთითეთ რა შედეგია მოსალოდნელი ბიუჯეტზე - ანუ, პროექტი შეამსუბუქებს თანხების ხარჯვას თუ პირიქით დამატებით ტვირთად დააწვება ბიუჯეტს.	<p>აღწერეთ, საოპერაციო ფაზაში პროექტის პროგნოზირებული ზემოქმედება ბიუჯეტზე (პროგნოზირებული „ტვირთი“/სარგებელი/შემამსუბუქებელი ფაქტორი ბიუჯეტისთვის. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> - ახალი ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხარჯი (რაც ახალი ხარჯია ბიუჯეტისთვის); - პოტენციური შემოსავლები - მომსახურების გადასახედებით შემოსული თანხა; - მუნიციპალური კომპანიების სუბსიდირებასთან დაკავშირებული პოტენციური ხარჯები, თუ ეს კომპანიები იქნებიან პასუხისმგებელი ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობაზე. 	<p>აღწერეთ და შეაფასეთ, საოპერაციო ფაზაში პროექტის პროგნოზირებული ზემოქმედება ბიუჯეტზე (პროგნოზირებული „ტვირთი“/სარგებელი/შემამსუბუქებელი ფაქტორი ბიუჯეტისთვის. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> - ახალი ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხარჯი (რაც ახალი ხარჯია ბიუჯეტისთვის); - პოტენციური შემოსავლები - მომსახურების გადასახედებით შემოსული თანხა; - მუნიციპალური კომპანიების სუბსიდირებასთან დაკავშირებული პოტენციური ხარჯები, თუ ეს კომპანიები იქნებიან პასუხისმგებელი ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობაზე.
19. პროექტის დაფინანსების დამატებითი/გარე წყაროები.	დაადგინეთ პროექტის დაფინანსების სხვა პოტენციური წყაროები ბიუჯეტის გარდა და მათი მოსალოდნელი შენატანის წილი.	<p><u>წინაზე დონისთვის მოცემულ ინფორმაციაზე დამატებით:</u></p> <p>აღწერეთ ნებისმიერი შემდგომი ქმედება ან გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებაც საჭირო იქნება დამატებითი სახსრების უზრუნველსაყოფად და აღწერეთ მოსალოდნელი ვადები.</p>	<p><u>წინაზე დონისთვის მოცემულ ინფორმაციაზე დამატებით:</u></p> <p>შეაფასეთ გარე წყაროებიდან დაფინანსების მიღების შანსი, ქვემოთ მოცემულ კატეგორიებზე დაყრდნობით:</p> <p>ვარაუდი - ჩვენ ვიცით, რომ შესაძლებელია გარე დაფინანსებაზე განაცხადის შეტანა თუ</p>

შესატანი ინფორმაცია	დონე 1 პროექტის კონცეფცია	დონე 2 პროექტის კონცეფცია	დონე 3 პროექტის კონცეფცია
			შეასრულებთ გარკვეულ მოთხოვნებს; განაცხადი – განაცხადი შეტანილია და ახლა ის გადის შეფასებას; დაპირება – სახსრები გამოყოფილია პროექტისთვის; ხელშეკრულება – თანხის მიღება გარანტირებულია ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.
F. მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხები			
20. ექსპლუატაცია და ტექ. მომსახურება (მოვლა-პატრონობა)		მიუთითეთ პროექტის შედეგად შექმნილი/განახლებული აქტივებისა და ობიექტების ექსპლუატაციაზე და ფლობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია.	მიუთითეთ პროექტის შედეგად შექმნილი/განახლებული აქტივებისა და ობიექტების ექსპლუატაციაზე და ფლობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია.
21. დამატებითი საჭირო კონსულტაციები			
G. პროექტის ხარჯები			
22. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.	აღნიშნეთ პროექტის ჯამური ღირებულება მიმდინარე ფასებში. მიუთითეთ ხარჯების აღნიშნული შეფასების საფუძველი (რის საფუძველზე მიიღეთ ხარჯის ეს მაჩვენებელი).	აღნიშნეთ პროექტის ჯამური ღირებულება მიმდინარე ფასებში და დაყავით შემდეგნაირად: 1. პროექტის მომზადება (კონცეპტუალური დიზაინი, სამშენებლო დიზაინი, დამატებითი ანალიზი და კვლევები); 2. მიწის შესყიდვა (საჭიროებიდან გამომდინარე); 3. სამშენებლო სამუშაოები; 4. მოწყობილობების შესყიდვა. მიუთითეთ ხარჯების აღნიშნული შეფასების საფუძველი (რის საფუძველზე მიიღეთ	შეიტანეთ რეალური და ფინანსური განრიგი (ქვემოთ მოცემული ცხრილი 1-ის მიხედვით).

შესატანი ინფორმაცია	დონე 1 პროექტის კონცეფცია	დონე 2 პროექტის კონცეფცია	დონე 3 პროექტის კონცეფცია
		ხარჯის ეს მაჩვენებელი).	



ცხრილი 1: რეალური და ფინანსური განრიგი

წელი	პროექტის რეალური მასშტაბის აღწერა წლების მიხედვით	ოდენობა სულ
1-ელ წლამდე		
1-ლი წელი		
მე-2 წელი		
მე-3 წელი		
მე-4 წელი		
მე-4 წლის შემდეგ		
საერთო ხარჯი		

დანართი 2: საპროექტო წინადადების ნიმუში

შესატანი ინფორმაცია	საპროექტო წინადადება
H. ადმინისტრაციული ინფორმაცია	
1. პროექტის დასახელება	
2. პროექტის წარმდგენი ეკონომიკური უწყება/პირი	
3. პროექტზე პასუხისმგებელი უფროსი თანამდებობის პირი ეკონომიკურ უწყებაში	
4. პროექტსა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დაქვემდებარებული პირი/უწყება (თუ განსხვავდება პასუხისმგებელი პირისგან/უწყებისგან).	
5. პირი დაქვემდებარებულ უწყებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
6. პროექტი ახალია თუ მიმდინარე	გთხოვთ მიუთითოთ პროექტი ახალია თუ მიმდინარე
I. პროექტის დასაბუთება/რაციონალურობა და საჭიროების შეფასება	
7. აღწერეთ კონკრეტული პრობლემა, რომლის გადაჭრისკენაც მიმართულია პროექტი და ამ პრობლემის სიმწვავე/სიმძიმე.	<p>სად არის პრობლემის ადგილმდებარეობა (უბანი, ქუჩა, ტერიტორია, შენობა და ა.შ.)?</p> <p>უშუალოდ ვის აწუხებს აღნიშნული პრობლემა (ადამიანთა ჯგუფი, მოქალაქეები და ა.შ.)?</p> <p>რამდენი ხანია არსებობს აღნიშნული პრობლემა?</p> <p>რა არის პრობლემით გამოწვეული შედეგები და მძიმე გამოსავალი?</p> <p>მიუთითეთ რა განაპირობებს პრობლემის სიმძიმეს/ აქტუალურობას (მომსახურებაზე მაღალი მოთხოვნა - მეტი მომხმარებელი დაბალი მწარმოებლურობის ფონზე, მოთხოვნა ახალი ტიპის მომსახურებაზე, ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობა და ა.შ.)?</p> <p>დამატებითი აღწერა, რომელშიც შედის პრობლემის გამომწვევი მიზეზისა და მისი შედეგების ანალიზი.</p>
8. ახსენით თუ როგორ შეამსუბუქებს პროექტი აღნიშნულ პრობლემას.	<p>რას ვთავაზობთ პრობლემის მოსაგვარებლად?</p> <p>რატომ ვთავაზობთ აღწერილ გზას/გამოსავალს (როგორ შეძლებს თქვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომა გამოვლენილი პრობლემის შემცირებას)?</p> <p>დამატებითი აღწერა, რომელშიც შედის მიზნების ანალიზი შემოთავაზებულ ქმედებებთან მიმართებით.</p> <p>ინფორმაცია შესაძლო ალტერნატიული გზების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა, პლიუს მონაცემები რეკომენდებული ალტერნატივის შესახებ და შესაძლო ხარჯის ანალიზი.</p>

შესატანი ინფორმაცია	საპროექტო წინადადება
	რეკომენდებული ალტერნატივა, რომელიც საჭიროებს უფრო დეტალურ ანალიზს.
9. მიუთითეთ/დაადგინეთ კონკრეტული სამიზნე ჯგუფი , რომელიც მიიღებს სარგებელს აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად.	ბენეფიციართა ანალიზი, მ.შ. კონკრეტული სარგებლის მითითება ბენეფიციართა თითოეული ჯგუფისთვის (რომლებიც მიიღებენ პირდაპირ სარგებელს პროექტით, მაცხოვრებელთა რაოდენობა, მეწარმეები, მ.შ. არაპირდაპირი ბენეფიციარები).
10. მიუთითეთ დაახლოებით რამდენი საბოლოო მომხმარებელი ეყოლება პროექტის შედეგად შექმნილ მომსახურებას. დააკონკრეტეთ საზომი ერთეული (მაგ: ადამიანები, ოჯახები, ბიზნესები).	მოთხოვნის ანალიზი. დაიანგარიშეთ ინფრასტრუქტურის მომხმარებელთა შესაძლო რაოდენობა (დაყავით არსებულ და ახალ მომხმარებლებად) ან მიწოდებული/მისაწოდებელი მომსახურებების პროგნოზირებული რაოდენობა და ა.შ.
11. პროექტის უკუგდების შედეგები.	რა „დაგვიჯდება“ პროექტის უკუგდება (ანუ სარემონტო სამუშაოების ხარჯი)? ეს ინფორმაცია უნდა შეიტანოთ აღწერის სახით .
12. სამუშაოების მასშტაბი.	სამუშაოს კონცეფცია და პარამეტრები ობიექტებისა, რომელთა განახლება/აშენება იგეგმება; საჭიროებიდან გამომდინარე კონცეპტუალური დიზაინი (ასევე საჭიროებისდა მიხედვით დამატებითი კვლევები, როგორცაა გეოლოგიური ექსპერტიზა). დააკონკრეტეთ შემოთავაზებული ობიექტების მიახლოებითი ფიზიკური მწარმოებლურობა/სიმძლავრე და მიუთითეთ საზომი ერთეული, მაგ: კუბური მეტრი წყალი/დღეში, მანქანები/დღეში, მომხმარებელი/დღეში, მ ² /გამოუყენებელი ფართი. სამუშაოების პროგნოზირებული მასშტაბი პროექტში, რაც საჭიროების შემთხვევაში მოიცავს შემდეგს: 1. პროექტის მომზადება (კონცეპტუალური დიზაინი, სამშენებლო დიზაინი, დამატებითი ანალიზი და კვლევები); 2. მიწის შესყიდვა (საჭიროებიდან გამომდინარე); 3. სამშენებლო სამუშაოები; 4. მოწყობილობების შესყიდვა.
13. კავშირი სხვა ინვესტიციებთან.	აღწერეთ კავშირი სხვა დაგეგმილ ან რეკომენდებულ ინვესტიციებთან.
J. პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი	
14. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სხვადასხვა ტიპის სარგებელი:	მიუთითეთ სარგებელი და ხარჯი უშუალო მომხმარებლებისთვის და პროექტთან

შესატანი ინფორმაცია	საპროექტო წინადადება
<ul style="list-style-type: none"> - სოციალური (ჯანდაცვა, სიცოცხლის ხარისხი, სიღარიბე, უსაფრთხოება და ა.შ.); - ეკონომიკური (შრომის ბაზარი, ეკონომიკური განვითარება, უძრავი ქონების ბაზარი, ტურიზმი და ა.შ.); - კულტურული მემკვიდრეობა 	<p>დაკავშირებული სხვა სარგებელი და ხარჯი, მ.შ. არამატერიალური სარგებელი და ხარჯი.</p> <p>დაადგინეთ პროექტის დადებითი და უარყოფითი შედეგები, რომელიც იმოქმედებს კავშირის არ მქონე მესამე მხარეზე (მაგ: ჰაერის დაბინძურება, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება, საგანმანათლებლო ზეგავლენა მუშახელზე და ა.შ.)</p>
<p>15. ზემოქმედება გარემოზე</p> <ul style="list-style-type: none"> - გამონახობა, ენერჯო მოხმარება, - წყლის მოხმარება, - ნარჩენები და ა.შ. 	<p>აღწერეთ პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული მთავარი ეკოლოგიური ზემოქმედებები.</p>
K. პროექტის თანხვედრა სტრატეგიულ მიზნებთან	
<p>16. აღწერეთ თუ როგორც შეიტანს პროექტი წვლილს სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.</p>	<p>აღწერეთ თუ რა გზით შეუწყობს ხელს აღნიშნული პროექტი ამა თუ იმ სტრატეგიული მიზნის და/ან საოპერაციო პროგრამის განხორციელებას.</p>
<p>17. ესადაგება თუ არა პროექტი მომდევნო წლის პროგრამის ბიუჯეტებს.</p>	<p>მიუთითეთ ბიუჯეტში გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამა.</p>
L. ხელმისაწვდომობა	
<p>18. ზეგავლენა ბიუჯეტზე</p>	<p>აღწერეთ, საოპერაციო ფაზაში პროექტის პროგნოზირებული ზემოქმედება ბიუჯეტზე (დასრულებიდან სულ მცირე 5 წლის მანძილზე, ქვემოთ მოცემული ცხრილი 1-ის მიხედვით);</p> <p>გათვალისწინეთ შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> - ახალი ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხარჯი (რაც ახალი ხარჯია ბიუჯეტისთვის); - პოტენციური შემოსავლები - მომსახურების გადასახედებით შემოსული თანხა; - მუნიციპალური კომპანიების სუბსიდირებასთან დაკავშირებული პოტენციური ხარჯები, თუ ეს კომპანიები იქნებიან პასუხისმგებელი ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობაზე.
<p>19. პროექტის დაფინანსების დამატებითი/გარე წყაროები.</p>	<p>პროექტის გარე დაფინანსებასთან დაკავშირებული ვარაუდების დეტალური აღწერა, მ.შ. გარე წყაროებიდან დაფინანსების მიღების შანსი და ვადები.</p> <p>გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კატეგორიები:</p> <p>ვარაუდი – ჩვენ ვიცით, რომ შესაძლებელია გარე დაფინანსებაზე განაცხადის შეტანა თუ შევასრულებთ გარკვეულ მოთხოვნებს;</p> <p>განაცხადი – განაცხადი შეტანილია და ახლა ის გადის შეფასებას;</p>

შესატანი ინფორმაცია		საპროექტო წინადადება
		<p>დაპირება –სახსრები გამოყოფილია პროექტისთვის;</p> <p>ხელშეკრულება – თანხის მიღება გარანტირებულია ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.</p>
M. მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხები		
20.	ექსპლუატაცია და ტექ. მომსახურება (მოვლა-პატრონობა) .	აღწერეთ საოპერაციო/საექსპლუატაციო ფაზა (ვინ იქნება პასუხისმგებელი პროექტის შედეგად შექმნილი აქტივებისა და ობიექტების მართვასა და მოვლა-პატრონობაზე).
21.	დამატებით საჭირო კონსულტაციები.	აღწერეთ ფორმალური თუ არაფორმალური კონსულტაციების საჭიროება შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე (მაგ: მაცხოვრებელთა აზრი ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობის შესახებ).
N. პროექტის ხარჯები		
22.	პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.	<p>შეიტანეთ რეალური და ფინანსური განრიგი (ქვემოთ მოცემულ მე-2 ცხრილზე დაყრდნობით).</p> <p>უნდა შევიდეს შემდეგი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პროექტის მომზადება (კონცეპტუალური დიზაინი, სამშენებლო დიზაინი, დამატებითი ანალიზი და კვლევები); 2. მიწის შესყიდვა (საჭიროებიდან გამომდინარე); 3. სამშენებლო სამუშაოები; 4. მოწყობილობების შესყიდვა. <p>დაასაბუთეთ ხარჯების შეფასებით მიღებული მაჩვენებლები.</p> <p>შეიტანეთ პროექტის დაფინანსების განრიგი მ.შ. დაფინანსების სხვა წყაროები (ქვემოთ მოცემულ მე-3 ცხრილზე დაყრდნობით).</p> <p>მიუთითეთ რეკომენდებული ალტერნატივის ხარჯი.</p>

ცხრილი 1: საბიუჯეტო ანალიზის შეჯამება

	წელი 1	წელი 2	წელი 3	წელი 4	წელი 5	წელი
საბიუჯეტო ხარჯები						
კაპიტალური ხარჯები						
წმინდა განმეორებადი ხარჯები *						
<ul style="list-style-type: none"> • ექსპლუატაცია • ტექ. მომსახურება 						
ჯამური ხარჯი						
პროგნოზირებული საბიუჯეტო შემოსავლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)						
წმინდა საბიუჯეტო ზემოქმედება						

* რაც საშუალებას გვაძლევს დავზოგოთ ინვესტიციასთან დაკავშირებული თანხა.

ცხრილი 2: რეალური და ფინანსური განრიგი

წელი	პროექტის რეალური მასშტაბი წლების მიხედვით - აღწერა	ჯამური ოდენობა
1-ელ წლამდე		
1-ლი წელი		
მე-2 წელი		
მე-3 წელი		
მე-4 წელი		
მე-4 წლის შემდეგ		
ხარჯები სულ		

ცხრილი 3: დაფინანსების განრიგი

პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითადი ფაზები	წელი 1	წელი 2	წელი 3	წელი 4	მე-4 წლის შემდეგ	ჯამური ოდენობა
პროექტის მომზადების ფაზა						
დონორების მიერ დაფინანსება ეროვნული ბიუჯეტის გავლით						
საბიუჯეტო დაფინანსება						
ეროვნული კერძო კაპიტალი						
სხვა სესხები						
სამშენებლო სამუშაოები/პროექტის განხორციელება						
დონორების მიერ დაფინანსება ეროვნული ბიუჯეტის გავლით						
საბიუჯეტო დაფინანსება						
ეროვნული კერძო კაპიტალი						
სხვა სესხები						
მოსალოდნელი ჯამური დაფინანსება ყველა წყაროდან						

დანართი 3. საპროექტო წინადადების შეფასების ბარათი (ნიმუში)

განზომილება/შეფასების კრიტერიუმი	PCN-ში შეფასების საფუძველი	შეფასება (კი/არა)	შეფასება (ქულების მიხედვით)
A. ზოგადი მიმოხილვა			
1. პროექტის კონცეფციის ბარათი (PCN) შემუშავებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ფორმის ყველა ნაწილი შევსებულია.	მთლიანი PCN	X	
2. PCN-ში წარმოდგენილი ინფორმაცია ადეკვატურია შეფასების შესახებ არის შესაქმნელად.	მთლიანი PCN	X	
3. პროექტი არის მიმდინარე.	6		6 ქულა
B. პროექტის დასაბუთება/რაციონალურობა და საჭიროებები შეფასება			
4. პროექტი ლოგიკურია და გვამღევეს საშუალებას დავუშვათ, რომ შემოთავაზებული მიდგომა სრულად გადაჭრის პრობლემას და დააკმაყოფილებს გამოვლენილ საჭიროებებს.	7,8		3 ქულა
5. პროექტი ლოგიკურია და გვამღევეს საშუალებას დავუშვათ, რომ შემოთავაზებული მიდგომა ნაწილობრივ გადაჭრის პრობლემას და დააკმაყოფილებს გამოვლენილ საჭიროებებს.	7,8		2 ქულა
6. პროექტის ლოგიკურობა უფრო დეტალურად უნდა გაიშიფროს და დამტკიცდეს.	7,8		1 ქულა
7. შემოთავაზებული ალტერნატივები ვერეჭრის პრობლემას.	8,11		3 ქულა
8. შემოთავაზებული ალტერნატივები უფრო ძვირადღირებული ჩანს და აგვარებს პრობლემას დროებით ან მხოლოდ რიგ შემთხვევებში.	8,11		2 ქულა
9. შემოთავაზებული ალტერნატივები არ არის ძვირადღირებული, მაგრამ აგვარებს პრობლემას დროებით ან მხოლოდ რიგ შემთხვევებში.	8,11		1 ქულა
10. პროექტი დაკავშირებულია ეროვნული ან რეგიონული მნიშვნელობის ინვესტიციებთან.	13		3 ქულა
11. პროექტი დაკავშირებულია მუნიციპალური ან ადგილობრივი მნიშვნელობის ინვესტიციებთან.	13		2 ქულა
C. პროექტის განხორციელებით მიღებული სარგებელი და ალტერნატიული საშუალებები			
12. შემოთავაზებული პროექტი სარგებელ მოუტანს მთელს ქალაქს.	9,14		3 ქულა
13. შემოთავაზებული პროექტი მიზნად ისახავს სარგებელი მოუტანოს სოფელთა/უბანთა გარკვეული ჯგუფს.	9,14		2 ქულა
14. შემოთავაზებული პროექტი მიზნად ისახავს სარგებელი მოუტანოს ერთ სოფელს/უბანს.	9,14		1 ქულა
15. ნავარაუდევია, რომ პროექტის სარგებელი და დადებითი გავლენა, მ.შ. ეკოლოგიური, გადაჭარბებს/გადაწონის პროექტის ხარჯებსა და უარყოფით ზეგავლენას.	14,15		3 ქულა

განზომილება/შეფასების კრიტერიუმი	PCN-ში შეფასების საფუძველი	შეფასება (კი/არა)	შეფასება (ქულების მიხედვით)
16. ნავარაუდევია, რომ პროექტის სარგებელი და დადებითი გავლენა, მ.შ. ეკოლოგიური, თითქმის გაუტოლდება პროექტის ხარჯებსა და უარყოფით ზეგავლენას.	14,15		2 ქულა
17. ნავარაუდევია, რომ პროექტის სარგებელი და დადებითი გავლენა, მ.შ. ეკოლოგიური, იქნება ნაკლები პროექტის ხარჯებსა და უარყოფით ზეგავლენაზე.	14,15		1 ქულა
D. პროექტის თანხვედრა სტრატეგიულ მიზნებთან			
18. პროექტი ხელს შეუწყობს ეროვნული და მუნიციპალური სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას და მომდევნო წლის პრიორიტეტებს.	16,17		3 ქულა
19. პროექტი ხელს შეუწყობს ეროვნული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას და მომდევნო წლის პრიორიტეტებს.	16,17		2 ქულა
20. პროექტი ხელს შეუწყობს მუნიციპალური სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას და მომდევნო წლის პრიორიტეტებს.	16,17		1 ქულა
E. ფინანსური ხელმისაწვდომობა			
21. პროექტის დაფინანსება გარე წყაროებიდან სრულად უზრუნველყოფილია (დაპირება, ხელშეკრულება, საგრანტო რეზოლუცია).	19,22		3 ქულა
22. პროექტის დაფინანსება გარე წყაროებიდან არ არის სრულად უზრუნველყოფილი (განაცხადი, ვარაუდი)	19,22		1 ქულა
23. პროექტის გავლენა ბიუჯეტზე დადებითია (პროგნოზირებული შემოსავლები და დანაზოგი აღემატება ტექ. მომსახურების სავარაუდო ხარჯებს).	18		3 ქულა
24. პროექტის გავლენა ბიუჯეტზე ნეიტრალურია (პროგნოზირებული შემოსავლები და დანაზოგი უტოლდება ტექ. მომსახურებისთვის პროგნოზირებულ დამატებით ხარჯს).	18		1 ქულა

დანართი 4: კაპიტალური საინვესტიციო გეგმის ნიმუში

შენიშვნა: როგორც წესი კაპიტალური საინვესტიციო გეგმა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღნიშნული გეგმის მიღებასთან დაკავშირებით გამოცემული რეზოლუციის დანართი. შესაბამისი რეზოლუციების საიდენტიფიკაციო ნომერი მითითებული უნდა იყოს მთავარ (პირველ) გვერდზე.

1. სამოტივაციო წერილი

ვინაიდან კაპიტალური საინვესტიციო გეგმა (CIP) ფორმალური/ოფიციალური დოკუმენტია, რომელშიც შეტანილია მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტები, მერმა უნდა წარუდგინოს ის საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებს სამოტივაციო წერილის ფორმით.

როგორც წესი, აღნიშნულ წერილში მითითებულია მუნიციპალიტეტის სამომავლო ხედვა და გეგმის მოკლე დასაბუთება მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების მიერ დადგენილი პრიორიტეტების ჭრილში.

2. რეზიუმე

ეს გახლავთ მონაცემების შეჯამება, რომელიც წარმოდგენილი იქნება მომდევნო ნაწილებში. რეკომენდებულია რეზიუმე პასუხობდეს შემდეგ შეკითხვებს:

- როგორ შემუშავდა CIP?
- ვინ იყო ჩართული მის მომზადებაში?
- ვისთან მოხდა კონსულტაციების გავლა?
- როგორ ჩაერთვნენ მოქალაქეები აღნიშნულ პროცესში?
- რა კრიტერიუმები იყო გამოყენებული პროექტების შესარჩევად?
- სხვა პროცედურული საკითხები საჭიროებიდან გამომდინარე.

რეზიუმეში განსაზღვრული უნდა იყოს თუ რა თანხის გამოყოფას გეგმავს მუნიციპალიტეტი კაპიტალური ინვესტიციებისთვის (გეგმის პერიოდში - საჭიროებიდან გამომდინარე) და სახსრების რა წილს ველით გარე წყაროებიდან.

თუ გეგმაში ცოტა პროექტია შესაძლებელია მათი მოკლე აღწერა (ან ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების აღწერა) და ახსნა იმისა თუ საზოგადოების რა საჭიროებები დაკმაყოფილდება აღნიშნული წამოწყებით.

საუკეთესო ვარიანტში დაგეგმილი დანახარჯები უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს. ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით CIP-იმ უნდა დაამტკიცოს, რომ მუნიციპალიტეტი მიჰყვება თავისივე სტრატეგიას.

3. საინვესტიციო გეგმის წარდგენა

ეს როგორც წესი არის ცხრილებად წარმოდგენილი ნაწილი. ყველა პროექტი მოცემულია ცხრილში, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის დასახელება,
- განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეული,
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი დავალებები/სამუშაოები (მაგ: დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო სამუშაოები, მოწყობილობების შესყიდვა და ა.შ.),
- ხარჯები ლარში CIP-ის პერიოდისთვის კონკრეტული წლების მიხედვით,
- დაფინანსების წყაროები.

შესაძლებელია ცხრილში სხვა ინფორმაციის მოქცევაც, მაგალითად:

- პროექტის განხორციელებით მიღებული უპირატესობები,
- მომხმარებლები/ბენეფიციარები (ვისზეა პროექტი ორიენტირებული),
- მონიტორინგის ინდიკატორები.

მუნიციპალიტეტის ზომიდან გამომდინარე აღნიშნული ნაწილი შეიძლება დაიყოს:

- პროგრამების მიხედვით (ვარიანტი 1).

პროგრამები გამიზნულია მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტების ასახვისთვის. ერთ პროგრამაში შეიძლება რამდენიმე ტიპის პროექტი შედიოდეს. მაგალითად პროგრამისთვის „ტურისტული მიმზიდველობის ამაღლება“ -

მუნიციპალიტეტს შეიძლება ჰქონდეს გზების რეაბილიტაციასთან, ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრების შექმნასთან და სხვ. დაკავშირებული ინვესტიციები.

- სექტორების/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით (ვარიანტი 2)
ამ შემთხვევაში საინვესტიციო პროექტები წარდგენილია კანონით დადგენილი სექტორების მიხედვით ანუ საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. აქედან გამომდინარე ცხრილის „წყობა“ ასახავს და ემთხვევა ბიუჯეტის „წყობას“.

- განხორციელების ეტაპის ან პროექტის სტატუსის მიხედვით (ვარიანტი 3)
ამ შემთხვევაში საინვესტიციო პროექტების წარდგენა ხდება ორ ჯგუფად:
 - მიმდინარე პროექტები (რომელიც ამჟამად ხორციელდება),
 - ახალი პროექტები (რომელიც უნდა შევიდეს მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტში).

- სხვა კრიტერიუმების მიხედვით (ვარიანტი 4)
მაგალითად, დიდ მუნიციპალიტეტში შესაძლებელია ყველა პროექტის დაყოფა/გამიჯვნა „სტრატეგიულ ინვესტიციებად“ - რამდენიმე მსხვილ პროექტად და „სხვა პროექტებად“, რომელშიც შევა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის პატარ-პატარა გაუმჯობესებები.

რეკომენდებულია, რომ საინვესტიციო პროექტები აისახოს მუნიციპალიტეტის რუკაზე.

4. მესამე მხარის მიერ განხორციელებული ინვესტიციები

თუ მიზანშეწონილად ჩაითვალა, მუნიციპალიტეტის მომდევნო წლებში განვითარების პერსპექტივის შესახებ უფრო ფართე სურათის მისაღებად, შესაძლებელია CIP დოკუმენტში სხვა პირების მიერ განსახორციელებელი/განხორციელებადი საინვესტიციო გეგმების შეტანაც. შესაძლებელია საჯარო ინვესტიციების (მაგრამ არა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული) დამატება, მაგალითად: სამთავრობო ან კომუნალური სამსახურების მიერ დაგეგმილი ინვესტიციები.

5. CIP-ის მონიტორინგი

თუ საქმე გვაქვს CIP-ის მეორე ან შემდგომ გამოცემასთან, უნდა ავხსნათ როგორ განხორციელდა წინა გეგმა და რა ძირითადი ცვლილებები შევიდა წინა წლის ვერსიაში.

დანართი: საინვესტიციო პროექტის ბარათი

ბარათებში დეტალურად არის აღწერილი პროექტი და მოცემულია მე-3 ნაწილში წარმოდგენილ ინფორმაციაზე მეტი. როგორც წესი ბარათის შაბლონი/ნიმუში CIP-ის მომზადების ჩაბარების ფაზაში გამოყენებული განაცხადის ფორმის შაბლონის მსგავსია.

დანართი 5: ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის თემატური სფერო და მეთოდოლოგიური მიდგომა



ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა ანალიტიკური კვლევა გახლავთ, რომელიც ტარდება შეფასების ეტაპზე და აერთიანებს საპროექტო წინადადებების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ, სოციალურ და ეკოლოგიურ შეფასებებს, რათა შეგვექმნას წარმოდგენა პოტენციური კაპიტალური საინვესტიციო პროექტის განხორციელებადობისა და მდგრადობის შესახებ.

სხვა სიტყვებით, ეს არის ანალიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება პროექტის დაგეგმვის პროცესში და გვაჩვენებს თუ როგორ იმუშავებს პროექტი გარკვეული ვარაუდების/დაშვებების პირობებში. ის ამავდროულად არის დამხმარე ინსტრუმენტი გადაწყვეტილებების მისაღებად: ის იკვლევს პროექტის პრაქტიკულობას. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში მითითებულია შემდეგი ნაბიჯები:

ნაბიჯი 1: პროექტის ამოცანისა და მასშტაბის განსაზღვრა;

ნაბიჯი 2: პროექტის ალტერნატივების დადგენა და შერჩევა შემდგომი შეფასებისთვის;

ნაბიჯი 3: პროექტით შექმნილ მომსახურებაზე მოთხოვნისა და ალტერნატივების ჩვენება;

ნაბიჯი 4: ეკონომიკური ანალიზის მომზადება

ნაბიჯი 4.1 სარგებლისა და ხარჯების დადგენა;

ნაბიჯი 4.2: ეკონომიკური სარგებლისა და ხარჯების განსაზღვრა;

ნაბიჯი 4.3: პროექტის ალტერნატივების წმინდა მიმდინარე ღირებულების დაანგარიშება.

ნაბიჯი 5: რისკების ანალიზი და მათი მართვის გეგმის შემუშავება;

ნაბიჯი 6: ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის ანალიზი;

ნაბიჯი 7: პროექტზე უმჯობესი ალტერნატივების დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის.

როგორც წესი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩასატარებლად მიმართავენ სპეციალიზირებულ კომპანიებს, ხოლო მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ევალებათ

სათანადო ტექნიკური დავალების შემუშავება, ხელშეკრულების გაფორმება და საბოლოო შედეგების გადამოწმება. PCN-ისა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისთვის შეჯერებული ტექნიკური დავალების შედგენა.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის სავალდებულო სტრუქტურა არ არსებობს. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ზუსტი შინაარსიც შეიძლება განსხვავებული იყოს სექტორებს შორის. თუმცა, ზემოთ ხსენებულ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ კვლევის ანგარიშში უნდა შევიდეს შემდეგი თავები:

1. რეზიუმე

- რეზიუმეში შეჯამებულია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მაღალი რანგის თანამდებობის პირთათვის.

2. პროექტის არსებული კონტექსტის ანალიზი

- აქ მიმოხილულია პროექტის კონტექსტი, მ.შ. არსებული ინსტიტუციური წყობა/ჩარჩო.
- შეჯამებულია სექტორის/ქვე-სექტორის სამთავრობო პოლიტიკა, რომელსაც ეკუთვნის პროექტი და განხილულია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის როლები.
- აღწერილია ეკონომიკური უწყების/პირის როლი სექტორში/ქვე-სექტორში და თუ როგორ ჩაერთო ის პროექტში. თუ ადრე იყო პროექტის წამოწყების მცდელობები, ახსნილია მისი წარუმატებლობის მიზეზები.
- შეჯამებულია ყველა წინასწარი და ადრე ჩატარებული კვლევების მიგნებები და დასკვნები, მ.შ. წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები (საჭიროებიდან გამომდინარე).

3. პროექტის ალტერნატივების შესწავლა

- პროექტის მიერ გასაუმჯობესებელი, უკვე არსებული მომსახურებების დონისა და ხარისხის შეფასება და ხარვეზების, ნაკლოვანებების დადგენა, მაგალითად - მომსახურების დაბალი ხარისხი, სირთულეები ან შეფერხებები მის მიწოდებაში.

- დადგენა თუ ვინ იყენებს და ვის სჭირდება მომსახურება, რათა გამოვლინდეს სამიზნე ჯგუფი; მაგალითად: სამიზნე მომხმარებლები შეიძლება დავყოთ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ან სოციო-ეკონომიკური კატეგორიის მიხედვით.
- ალტერნატიული საშუალებების გამოკვლევა დადგენილ მომსახურებაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ალტერნატივებში შეიძლება შევიდეს: სარეგულაციო ცვლილებები ან სექტორის მართვის გაუმჯობესებული პრაქტიკა; არსებული ობიექტების რეაბილიტაცია ან სრულიად ახალი ობიექტების მშენებლობა.

4. ბაზრის შეფასება და მოთხოვნის ანალიზი

- პროგნოზები განსაზღვრული მომსახურების პოტენციურ მოთხოვნაზე პროექტის სამიზნე მომხმარებლებს შორის და - პროექტის მსვლელობისას მოთხოვნის მოსალოდნელ ზრდაზე. შეიტანეთ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია მომსახურების არასაკმარისი მიწოდებით ან ხარისხით (მაგ: საბავშვო ბაღის 'ტევადობა' საკმარისია დემოგრაფიული მაჩვენებლის კუთხით, მაგრამ დასწრება დაბალია და მშობლები არ არიან მოწადინებული მომსახურების გამოყენებით, ზოგი მშობელი დაინტერესდებოდა ბავშვის საბავშვო ბაღში გაგზავნით თუ მომსახურების ხარისი იქნებოდა გაცილებით უკეთესი).
- შეიტანეთ შეფასება მომსახურების პოტენციური მომხმარებლების მზაობისა და უნარის შესახებ გადაიხადონ გადასახადი აღნიშნული სერვისისთვის.
- წარადგინეთ პროგნოზები შესაძლო სცენარის სახით, რომელშიც ასახული იქნება სხვადასხვა შედეგი, მ.შ. ყველაზე მოსალოდნელი და ყველაზე ცუდი ვარიანტი.

5. ტექნიკური კვლევებისა და პროექტის ხარჯების შეჯამება

- აღწერეთ პროექტის საინჟინრო და არა საინჟინრო ასპექტები. აქ შეჯამებული უნდა იყოს პროექტის ტექნიკური განხორციელებადობისა და ალტერნატივების შესაფასებლად ჩატარებული ტექნიკური და ტექნოლოგიური კვლევები. კვლევების დეტალური აღწერა დანართის სახით უნდა მოჰყვეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ანგარიშს.
- პროექტისთვის საჭირო რესურსის პარამეტრებისა და მათი ფასების დადგენა, მ.შ. მუშახელის ხარჯი მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის.

- შეიტანეთ კაპიტალური, საოპერაციო და საექსპლუატაციო ხარჯების შეფასება. კაპიტალური ხარჯების მაჩვენებელი დაეფუძნება წინასწარ ტექნიკურ დიზაინს.

6. სივრცითი დაგეგმვა

- სივრცითი მოწყობის საკითხების მიმოხილვა პროექტისა და მისი ადგილმდებარეობის ჭრილში. პროექტზე ეროვნული და ადგილობრივი სივრცითი გეგმების ზეგავლენის შეჯამება.
- აღწერეთ გეგმებთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად შემოთავაზებული ნაბიჯები. დაადგინეთ თუ რა ტიპის ოფიციალური დამტკიცება გესაჭიროებათ პროექტის წამოსაწყებად.
- დაადგინეთ პროექტისთვის მიწის შესყიდვის მოთხოვნები და ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო პროცედურები და ვადები. მიწის შესყიდვა და დამტკიცებების მიღება გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის განხორციელების გეგმაში.

7. ეკონომიკური ანალიზი

- წარადგინეთ ეკონომიკური ანალიზის მიდგომა - ეკონომიკური ხარჯისა და სარგებლის ანალიზი ან (სადაც მიესადაგება) ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზი;
- დაადგინეთ და შეაფასეთ მატერიალური ხარჯი და სარგებელი;
- აღწერეთ შეყვანილი მონაცემები, გამოყენებული შეფასების მეთოდები და ვარაუდები;
- წარადგინეთ შემოთავაზებული პროექტის ეკონომიკური ანალიზის შედეგები პროექტის რეალურ ალტერნატივებთან და „არაფრის გაკეთების“ ვარიანტთან შედარებით;
- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოს დეტალური აღწერა და ინფორმაცია ჩატარებული ეკონომიკური მოდელირების შესახებ დანართის სახით შეიტანეთ მთავარ ანგარიშში.

8. რისკების ანალიზი და მართვა

- დაადგინეთ პროექტის რისკები, მათი განვითარების ალბათობა და შეაფასეთ მათი ზემოქმედება პროექტის ეკონომიკურ განხორციელებადობასა და ფინანსურ მდგრადობაზე.

- გეგმის წარდგენა ძირითადი რისკების მართვის შესახებ, მ.შ. შემამსუბუქებელი ღონისძიებები და რეაქტიული (მყისიერი) ქმედებები რისკის გამოვლენის შემთხვევაში.

9. ფინანსური და ფისკალური ანალიზი

- წარადგინეთ შემოთავაზებული პროექტის ფინანსური ანალიზი და ოპერირებაზე პასუხისმგებელი ერთეულის ფინანსური მდგრადობის შეფასება, აღწერეთ შეტანილი მონაცემები და აღნიშნული შედეგების მისაღებად გამოყენებული ვარაუდები.
- წარადგინეთ საჯარო ფინანსებზე წმინდა ზემოქმედების შეფასება, მ.შ. შემოთავაზებული პროექტით გამოწვეული ცვლილებები საშემოსავლო გადასახადებში, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს.
- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოს დეტალური აღწერა და ინფორმაცია ჩატარებული ეკონომიკური მოდელირების შესახებ დანართის სახით შეიტანეთ მთავარ ანგარიშში.

10. გარემოზე ზემოქმედება და სოციალური ზემოქმედებები

- შეაჯამეთ პროექტის ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებები (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი).
- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ანგარიშს დაურთეთ ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებების სრული შეფასება.

11. განხორციელებასთან და ოპერირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

- წარადგინეთ პროექტის განხორციელებაზე და/ან ოპერირებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცი(ებ)ის შესაძლებლობების შეფასება.
- შეიმუშავეთ პროექტის განხორციელების გეგმისა და განრიგის მონახაზი დაგეგმვის, დამტკიცებისა და მშენებლობის ძირითადი ეტაპების მითითებით.
- აღწერეთ პროექტის მართვის მ.შ. საორგანიზაციო საკითხები და პასუხისმგებლობების გადანაწილება სხვადასხვა ჩართულ მხარეს შორის.
- აღწერეთ საორგანიზაციო და პროექტის დასრულების შემდეგ ობიექტის ოპერირებაზე და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხები.

12. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასკვნები

- შეჯამეთ და შეაჯერეთ ჩატარებული ანალიზი, რათა მიხვიდეთ საბოლოო დასკვნებამდე პროექტის ტექნიკური და ეკონომიკური განხორციელებადობის, მისი მდგრადობისა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.
- მიაწოდეთ რეკომენდაციები გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს.

დანართი 6: კაპიტალური ინვესტიციის დაგეგმვის პროცედურა (ნიმუში)



..... მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეზოლუცია კაპიტალური საინვესტიციო გეგმის მომზადებისა და მიღების წესის შესახებ.

§ 1

რეზოლუციის მიზანი

ამ რეზოლუციის საფუძველზე ამოქმედდება კაპიტალური საინვესტიციო გეგმის შემუშავებისა და მიღების პროცედურა.

§ 2

ტერმინთა განმარტება

კაპიტალური საინვესტიციო გეგმა (CIP) - მუნიციპალური ბიუჯეტიდან მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების ხარჯების გეგმა. გეგმა წარმოადგენს მიმდინარე საბიუჯეტო წლის და რამდენიმე მომდევნო წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ პროექტების საბიუჯეტო ხარჯებს.

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის (CIP) კოორდინატორი – განსაზღვრული ადამიანი (ან ორგანიზაციული ერთეული) რომელიც კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მთელი პროცესის კოორდინირებაზე არის პასუხისმგებელი. ასევე ახდენს კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებას და უზრუნველყოფს / აკონტროლებს რომ ყველა ჩართული მხარე ახორციელებს თავის ამოცანებს გრაფიკის მიხედვით (CIP პროცედურის შესაბამისად).

აპლიკანტი – ადამიანი ან ორგანიზაციული ერთეული, რომელიც უფლებამოსილია წარადგინოს საპროექტო იდეები პროექტის კონცეფციის ბარათის ფორმატით.

პროექტის კონცეფციის ბარათი - წინასწარი შერჩევის ეტაპზე, პროექტის იდენტიფიცირების შემდეგ და სიღრმისეულ ანალიზის ჩატარებაზე გადაწყვეტილების

მიღებამდე მომზადებული პროექტის კონცეფციის მონახაზი. პროექტის კონცეფციების წარმოდგენა ხდება სპეციალური ფორმით რომელიც წარმოდგენილია პროცედურის (რეზოლუციის) დანართი 1-ის სახით.

საპროექტო წინადადება – საპროექტო წინადადების ფორმის საფუძველზე მომზადებული შესაძლო საინვესტიციო პროექტის აღწერა. საპროექტო წინადადებების წარმოდგენა ხდება შეფასებისა და კაპიტალური საინვესტიციო გეგმაში ჩართვის მიზნით.

კაპიტალური პროექტი - ქმედებათა ერთობლიობა განსაზღვრული ამოცანებითა და შედეგებით, რომელიც ხორციელდება დროის ფიქსირებულ მონაკვეთში გეგმა-გრაფიკის მიხედვით და გარკვეული (შესაძლოა დროებითი) ორგანიზაციული სტრუქტურის მიერ. კაპიტალური პროექტი მოიცავს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურის შექმნას ან არსებული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ჯგუფი – ჯგუფი, რომელიც შედგება CIP კოორდინატორისგან, ფინანსური დეპარტამენტის, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის, [...] წარმომადგენლებისგან, და მერის მოადგილისგან (რომელიც პასუხისმგებელია საინვესტიციო პოლიტიკაზე).

§ 3

კაპიტალური საინვესტიციო გეგმის შინაარსი

1. კაპიტალური საინვესტიციო გეგმა მოიცავს საინვესტიციო პროექტებისა და კაპიტალური შეკეთების (რემონტის) ხარჯებს. ასევე, ფიქსირებული აქტივების შემენის ხარჯებს.
2. კაპიტალური საინვესტიციო გეგმა მოიცავს 4 საბიუჯეტო წელს. მასში ასევე ასახულია ამ ჰორიზონტის მიღმა მოსალოდნელი ხარჯები / გასავალი (თუ ეს შესაძლებელია / ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP-ის) პირველი წელი ამავედროულად წარმოადგენს ბიუჯეტის საინვესტიციო ნაწილს.
4. კაპიტალური საინვესტიციო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალურ ბიუჯეტსა და გრძელვადიან ფინანსურ პროგნოზს.

§ 4

მოქმედი პირები აღნიშნულ პროცესში

1. კაპიტალური საინვესტიციო გეგმაში შესატანად საინვესტიციო პროექტების წარდგენის, შეფასებისა და შერჩევის პროცესი გამჭვირვალეა.
2. ბატონი / ქალბატონი [.....] არჩეულია კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის (CIP) კოორდინატორად.
3. ქვემოთ მითითებული ერთეულების / დეპარტამენტების წარმომადგენლები არჩეულნი არიან კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ჯგუფის წევრებად:
 - ა)
 - ბ)
 - გ)
4. ქვემოთ მითითებული ორგანიზაციული ერთეულები (და მათი წარმომადგენლები) არიან აპლიკანტები რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარადგინონ პროექტის კონცეფციის ბარათები:
 - ა) მერი და მერის მოადგილეები,
 - ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულო (საკრებულოს წევრები, საკრებულოს კომისიები),
 - გ) მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ერთეულები,
 - დ) მუნიციპალური საწარმოები,
 - ე) მოსახლეობა (ინდივიდუალურად ან წარმოდგენილი სათემო ჯგუფებად),
 - ვ) ადგილობრივი ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა საჯარო დაწესებულებები, ადგილობრივი ბიზნეს ორგანიზაციები.
5. კაპიტალური საინვესტიციო გეგმას მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენამდე იწონებს მუნიციპალიტეტის მერი.

§ 5

პროექტის იდეების წარდგენასთან დაკავშირებული ძირითადი წესები

1. პროექტის იდეების განსახილველად წარდგენა მუნიციპალიტეტისთვის ხდება ორ ეტაპზე / ორი სახით:
 - (1) როგორც უფლებამოსილი განმცხადებლების მიერ წარდგენილი პროექტის კონცეფციის ბარათები და
 - (2) როგორც მუნიციპალიტეტის მერიის დეპარტამენტების მიერ შემუშავებული საპროექტო წინადადებები.
2. პროექტის კონცეფციის ბარათები და საპროექტო წინადადებები უნდა შეიცავდეს საიმედო მონაცემებს.
3. პროექტების მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს პროექტის კონცეფციის ბარათის (PCN) ფორმის საფუძველზე. (იხილეთ რეზოლუციის დანართი). არ უნდა მოხდეს სხვა ფორმით წარმოდგენილი პროექტების მოთხოვნების განხილვა.
4. პროექტის კონცეფციის ბარათის და საპროექტო წინადადების ფორმები უფლებამოსილი აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.
5. პროექტის კონცეფციის ბარათების შეგროვება მუდმივი პროცესია, თუმცა 15 მაისის შემდგომ მიღებული ბარათების შეფასება აღარ უნდა მოხდეს იმავე საბიუჯეტო წელს.
6. პროექტის კონცეფციის ბარათების მიღება შეიძლება მოხდეს ახალი (რომლის წარდგენაც არ მომხდარა წარსულში) ან არსებული საპროექტო იდეებისათვის.
7. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის (CIP) კოორდინატორი, კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ჯგუფთან ერთად მიღებული კრიტერიუმების საფუძველზე მოიწონებს ან სათანადო დასაბუთების ფონზე დაიწუნებს პროექტის კონცეფციის ბარათს. ამის შემდგომ კოორდინატორი აპლიკანტებს მიაწვდის ინფორმაციას გადაწყვეტილების თაობაზე.
8. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის (CIP) ჯგუფი აფასებს საპროექტო წინადადებებს და გასცემს რეკომენდაციებს კაპიტალური საინვესტიციო გეგმაში შესატანად.

9. დაწუნებული პროექტის კონცეფციის ბარათები შეიძლება იქნას თავიდან წარდგენილი აპლიკანტების მიერ აუცილებელი ცვლილებების განხორციელების შემდეგ.

10. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის (CIP) კოორდინატორი აწარმოებს მიღებული პროექტის კონცეფციის ბარათების და საპროექტო წინადადებების ჟურნალს (მონაცემთა ბაზას) და ანიჭებს თითოეულ პროექტს ინდივიდუალურ ნომერს.

11. მიღებული პროექტის კონცეფციის ბარათების და საპროექტო წინადადებების ჟურნალის (მონაცემთა ბაზის) წარმოება, ოპერირება და შენახვა ხდება შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში (კომპიუტერულ პროგრამაში).

§ 6

კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP) სამუშაო გრაფიკი

ქვემოთ მოცემულია კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP) სამუშაო გრაფიკი, სადაც ასახულია პასუხისმგებელი პირები და ვადები თითოეული ნაბიჯისათვის.

N	ნაბიჯი	პასუხისმგებელი პირი	შესრულების ვადა
1.	საინვესტიციო საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება	ინფრასტრუქტურის სამსახური	მუდმივად
2.	საინვესტიციო საჭიროებების პირველადი შეფასება და ყველაზე მნიშვნელოვანი საინვესტიციო საჭიროებების (საპროექტო იდეების) ჩამონათვალის შემუშავება	ინფრასტრუქტურის სამსახური	31 მარტი
3.	საინვესტიციო გეგმის პირველ / ახალ გამოცემაზე სამუშაოების დასაწყებად დაინტერესებული / ჩართული მხარეების ინფორმირება, პროექტის კონცეფციის ბარათების მოთხოვნა (მიღების გამოცხადება)	CIP კოორდინატორი	31 მარტი
4.	პროექტის კონცეფციის ბარათების მიღება	აპლიკანტები	15 მაისი
6.	წარმოდგენილი პროექტის კონცეფციის ბარათების განხილვა / შემოწმება, შემდგომი განხილვისათვის მოწონებული პროექტის კონცეფციის ბარათების სიის შექმნა	CIP კოორდინატორი, CIP ჯგუფი	30 მაისი
7.	პროექტის კონცეფციის ბარათების ჟურნალის (მონაცემთა ბაზის) განახლება	CIP კოორდინატორი	5 ივნისი
8.	საპროექტო წინადადებების შემუშავება მოწონებული პროექტის კონცეფციის	ინფრასტრუქტურის სამსახური და სხვა სამსახურები	30 ივნისი

	ბარათებზე დაყრდნობით; საპროექტო წინადადებების ფორმების შევსება		
9.	გრძელვადიანი ფინანსური პროგნოზის შემუშავება და ინვესტიციებისათვის ხელმისაწვდომი თანხის ლიმიტის განსაზღვრა	ფინანსური სამსახური	30 ივნისი
10.	საპროექტო წინადადებების შეფასება და პროექტების პირველი რანჟირების შექმნა	CIP ჯგუფი	31 ივლისი
11.	კაპიტალური საინვესტიციო გეგმის სამუშაო ვერსიის შექმნა და მერისთვის წარდგენა	CIP ჯგუფი	31 აგვისტო
12.	გარე დაფინანსებაზე მიმართვა და პროექტების ბიუჯეტირება	ფინანსური სამსახურის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია გარე დაფინანსების მოპოვებაზე	30 სექტემბერი
13.	გადახედილი კაპიტალური საინვესტიციო გეგმის შემუშავება და მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენა	CIP ჯგუფი, მერი ან ინვესტიციებზე პასუხისმგებელი მერის მოადგილე	31 ოქტომბერი
14.	მუნიციპალური ბიუჯეტის და კაპიტალური საინვესტიციო გეგმის მიღება	მუნიციპალიტეტის საკრებულო	15 ნოემბერი

§ 7

საბიუჯეტო წლის მანძილზე კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP) განახლება

1. კაპიტალური საინვესტიციო გეგმის განახლება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ წაირმოიშვა მნიშვნელოვანი ცვლილებები საინვესტიციო პროექტების მასშტაბის, განსახორციელებელი სამუშაოების ან ფინანსური მაჩვენებლების კუთხით.
2. კაპიტალურ საინვესტიციო გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილია შესაბამისი დაფინანსება. დროის ნებისმიერ მომენტში სავალდებულოა რომ აღნიშნული გეგმა ასახავდეს დაფინანსების საიმედო წყაროებს თითოეული საინვესტიციო პროექტისთვის.
3. კაპიტალურ საინვესტიციო გეგმაში ცვლილებების შეტანისთვის აუცილებელია მერისა და საკრებულოს გადაწყვეტილება რომელიც გამოცემული უნდა იყოს რეზოლუციის სახით.

§ 8

კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP) ახალი რედაქცია / გამოცემა

ყოველ წელს კაპიტალური საინვესტიციო გეგმის ჰორიზონტის გადაჩოჩება ხდება ერთი წლით და ხდება კაპიტალური საინვესტიციო გეგმის (CIP) ახალი რედაქციის / გამოცემის მიღება. კაპიტალური საინვესტიციო გეგმის ახალი გამოცემებში განახლებულია რეალური და ფინანსური გრაფიკები. ასევე, გამომდინარე მუნიციპალური ბიუჯეტის ფინანსური შესაძლებლობებიდან, ხდება ახალი საინვესტიციო პროექტების ჩართვაც.

§ 9

რეზოლუციის ამოქმედება

რეზოლუცია ძალაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღების მომენტიდან.



დანართი 7: პროექტების რანჟირება (ნიმუში)

დავუშვათ, რომ 2017 წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში საპროექტო წინადადებების ზედმიწევნით მიმოხილვის შემდეგ **CIP გუნდმა** მიანიჭა ქულები ყველა ჩაბარებულ პროექტს და დადებითად შეაფასა ისინი. რვა პროექტი ეხებოდა სამ სექტორს: წყალმომარაგება და კანალიზაცია, გზები და საბავშვო ბაღები.

პროექტების ჩამონათვალი, საბოლოო ქულები და ხარჯები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში. ასევე ნაჩვენებია ხარჯების გეგმა-გრაფიკი კაპიტალური საინვესტიციო გეგმის პერიოდისთვის წლების მიხედვით (3 წელი).

პროექტების ჩამონათვალი

პროექტის დასახელება	სექტორი	ქულა	სულ ხარჯი (ათასი ლარი)	1-ლი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი
A	წყალმომარაგება და კანალიზაცია	72	400	200	200	
B	გზები	87	250	250		
C	საბავშვო ბაღები	53	450	200	200	50
D	წყალმომარაგება და კანალიზაცია	89	150	50	100	
E	წყალმომარაგება და კანალიზაცია	62	350	150	200	
F	გზები	66	400	300	100	
G	გზები	49	600	200	200	200
H	საბავშვო ბაღები	68	150	100	50	

ამასობაში ფინანსურმა დეპარტამენტმა წარადგინა მუნიციპალური ბიუჯეტის გრძელვადიანი პროგნოზი. ამ პროგნოზის მიხედვით ინვესტიციებისთვის ხელმისაწვდომ სახსრებზე დაწესდა წლიური ზღვარი 850 ათასი ლარის ოდენობით.

მიღებულ ქულებზე დაყრდნობით ჩვენ მარტივად შეგვიძლია პროექტების რანჟირება: ვიწყებთ **D** პროექტით (89 ქულა), შემდეგ გადავდივართ **B** პროექტზე (87 ქულა) და ა.შ. რადგან ხელთ გვაქვს თითოეული პროექტის ხარჯი (სვეტი 4) ჩვენ შეგვიძლია გადავწყვიტოთ რომელი პროექტი შევიტანოთ კაპიტალური საინვესტიციო გეგმის

წინასწარ ვერსიაში. ჩვენ შეგვიძლია პროექტების დამატება ფინანსური რესურსის ამოწურვამდე. ჩვენი მაგალითის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია 1-დან 4-მდე პროექტის დაფინანსება (მაგ: პროექტები D, B, A და H), ვინაიდან მათი საერთო ხარჯი პირველ წელს შეადგენს 600-ს და მე-2 წელს 350-ს, ანუ ნაკლებია ჩვენ წლიურ შეზღუდვაზე (850). ჩვენ ასევე შეგვიძლია F პროექტის ნაწილობრივ დაფინანსება (მე-5 პოზიცია), რომელიც ჯამში 400 000 ჯდება. მაგრამ ამ პროექტის დამატებით ჩვენ გადავჭარბებთ პირველ წელს ხელმისაწვდომი სახსრების ლიმიტს.

კაპიტალური საინვესტიციო გეგმა (სამუშაო/წინასწარი ვერსია)

პროექტი	სექტორი	ქულა	შეფასებული ხარჯი ლარში (ათასი)	1-ლი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი
D	წყალმომარაგება და კანალიზაცია	89	150	50	100	
B	გზები	87	250	250		
A	წყალმომარაგება და კანალიზაცია	72	400	200	200	
H	საბავშვო ბაღი	68	150	100	50	
		ხარჯი სულ	950	600	350	0
		ლიმიტი		850	850	850

სარეზერვო სია

პროექტი	სექტორი	ქულა	შეფასებული ხარჯი ლარში (ათასი)	1-ლი წელი	მე-2 წელი	მე-3 წელი
F	გზები	66	400	300	100	
E	წყალმომარაგება და კანალიზაცია	62	350	150	200	
C	საბავშვო ბაღი	53	450	200	200	50
G	გზები	49	600	200	200	200

უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: შეგვიძლია გადავავადოთ ამ პროექტთან დაკავშირებული ზოგი ხარჯი და დავხარჯოთ მეტი თანხა მომდევნო საბიუჯეტო პერიოდში ან დაველოდოთ D, B, A და H პროექტების ტენდერების შედეგებს, რომელმაც (თუ გაგვიმართლა) შეიძლება მოგვცეს გარკვეული დანაზოგი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ მიღებული დანაზოგიდან თანხის გამოყოფას F პროექტისთვის. C, E და G პროექტები უკუგდებული იქნება არასაკმარისი ფინანსური რესურსის გამო.